

საქართველოს იბლიონთა კა

კულტურულ-სამანანათლებლო, სამეცნიერო-პოპულარული
და მთოდური უნივერსიტეტი



დედა ენა - 140



უურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; უურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; უურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყნიაშვილი
გულნარა სტურუა
მაია მიქაბერიძე
ყდის დიზაინი - თამარ ბაქრაძე

მირიან ხოსიტაშვილი
რუსულან ასათიანი
ირინა ალიაშვილი
დაკაბადონება - მიხეილ თვარაძე

საქართველოს ბიბლიოთეკა N2 (63) - 2016; გამოიცემა 2000 წლიდან
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ISSN 1512-0880
www.gela.org.ge

„სრულყოფილად რომ ვთლობდეთ ქართულ ენას, უნდა ვიკითხოთ ქართული წიგნები. გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, არც ერთმა დღემ არ განვლოს ისე, რომ რაიმე არ წაიკითხოთ ქართული ლიტ-ერატურიდან. აუცილებლად უნდა ვიკითხოთ ჩვენი კლასიკა, ამ წიგნებში არის დიდი სიღრმე“.

უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

საქართველოს ბიბლიოთეკა №2 (63) - 2016

შინაგანი

ირინა ალიაშვილი - ბიბლიოთეკების როლი საინფორმაციო-ციფრულ ერაში 2

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე - პანს პალტეინი და მისი მინიატურული ესტამპები 5
გიორგი ქავთარაძე - ბერლინში ახლადაღმოჩენილი სამი ქართული ხელნაზერის მოკლე აღწერა 8

ბიბლიოგრაფიული ძიებანი

გიორგი გაბუნია - რეპლიკა 10
გურამ თავნიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის შეხედულებები ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ და
ქართული ბიბლიოგრაფიის თანამედროვე პრობლემები 11
მაია მიქაბერიძე - გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული კრებულის ორი ვერსია 15

ბიბლიოთეკათმცოდნეობა

ნილ გეიმანი - წიგნზე, კითხვისა და ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე 17

ფილოლოგიური ძიებანი

გულნარა სტურუა - თუ ნამდვილი ადამიანი ხარ! 22

მოგონებანი

იური სიხარულიძე - სიმდერა დავით გურამიშვილზე 25

სკოლა და ბიბლიოთეკა

ნანა ყარაულაშვილი - სასკოლო ბიბლიოთეკების როლი სწავლებისა და აღზრდის საქმეში 26
გიორგი კილაძე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტის
„სასკოლო ლიტერატურის“ შესახებ 29

ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი

რუსულან წაქაძე - შიო მდვიმელი - ბავშვების საყვარელი მწერალი 31
გურამ თავნიაშვილი - ლუარსაბ ბოცვაძე - „დედაენის“ დიდი მოჭირნახულე 33

ისტორიის ფურცლებიდან

მირიან ხოსიერაშვილი - ქალაქ ართვინისა და მისი მიმდებარე ეთნოგრაფიული ქართველებით დასახლებული
ტერიტორიის ისტორიული დემოგრაფიის საკითხები 36

პგირეული - 2016

ბიბლიოთეკები მოდერნიზაციის გზაზე 41

რეცენზიები

ალექსანდრე ლორია - წიგნი სიმართლის სადარაჯოზე („ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედიის“
ერიტორიული ანალიზის გამო) 46

ინფორმაციები

მცირე ენათა გამოძახილი 49
ნაშრომი „დედაგნის“ შესახებ 51
„ვეფხისტებაოსნის გამოცემათა ილუსტრირებული ბიბლიოგრაფიის პრეზენტაცია 52
მაია მიქაბერიძე - „ემიგრანტის წერილი 2016“ 53

გამოხმაურება

მაგდა სოლოდაშვილი - ემიგრანტის ერთი ლექსი 54

ქორესპონდენციები

მედეა მოსიავა - ახალი ტექნოლოგიები ჩვენი სკოლის საბიბლიოთეკო საქმიანობის უკეთ წარმართვაში 55

ლია მაისურაძე, ქეთევან აფაქიძე - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დონისძიებები
თბილისის 129-ე საჯარო სკოლაში 57

კოტე ალიბეგაშვილი - იური სიხარულიძის 90-ე წლის იუბილე საპატიორქოს ბიბლიოთეკაში 59

სულიკო სვანიძე - დღეები სიტყვის სამოსელში 63

ციური ბერიძე - დიდი მამულიშვილის სახელის უკვდავსაყოფად 62

მანანა გვარამია - დვაწლი დაუგიტარი 64

ბიბლიოგრაფიული ეტიუდები

საყურადღებო საბიბლიოთეკო მოვლენები 66

იუბილე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა-75 68

იჩინა აღიაშვილი

ბიბლიოთეკების როლი საინფორმაციო ციფრულ ერაში

იფრედ გპოქაში, როცა ეკონომიკური, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა თუ სოციალური წინსვლა უფრო და უფრო ხდება დამოკიდებული ინტერნეტთან წვდომის ხარისხსა და სიმარტივებზე, მისი არარსებობა უკვე სტაგნაციას ნიშნავს. ინტერნეტს დღეს მსოფლიოს მოსახლეობის 35%-ზე ნაკლები იყენებს და, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრებ, გაჭირვებულ ფენას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ სასურველ ინფორმაციაზე ოპერატორები მიუწვდებოდეს ხელი, მაშინ, როცა ქაოტურ ციფრულ სამყაროში მანევრირებას განსხვავებული უნარ-ჩვეულები სჭირდება. დღეს ადარავისთვისაა საიდუმლო ის, რომ ინტერნეტის მეშვეობით ადამიანები ეძებენ სამუშაოს, იდეებს და ბაზარს ბიზნესის გასაყითარებლად და თავიანთი პროდუქტის გასაყიდად, სწავლობენ დისტანციურად, იძენენ ახალ უნარებს და ცოდნას; ეძებენ საჭირო ინფორმაციას სამედიცინო საკითხებზე და ურთიერთობენ თჯახის წევრებთან და ახლობლებთან შორ მანძილზე.

ინტერნეტმა არსებული შესაძლებლობები ძალიან გააფართოვა და მსოფლიო ერთმანეთს დაუკავშირა. მასზე წვდომა კი იმდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა, რომ 2011 წელს გაეროს უფლებათა საბჭოს ანგარიშში ადამიანის უფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გზად გამოცხადდა. ზოგიერთმა სახელმწიფომ ინტერნეტზე წვდომა, როგორც ადამიანის ძირული უფლება, თუციალურად გამოაცხადა. ასეთებია: კოსტა რიკა, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი და ესპანეთი. იგი განსაზღვრულია შესაძლებლობების თანასწორობის უფლებად - ციფრულ ერაში დირსეულად ცხოვრება მოითხოვს, რომ ადამიანებს, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველ, დარიბულებას, შეეძლოს ონლაინში სასურველი ინფორმაციის მოძებნა.

შველაფერ ამის გათვალისწინებით, დღეს-დღეობით საკვანძო როლს საჯარო ბიბლიოთეკები ასრულებენ. ბიბლიოთეკები ტრადიციული გაგებიდან გარდაიქმნებიან საჯარო საინფორმაციო სივრცეებად, რომელთა მეშვეობითაც ხდება ადამიანის ამ უფლების სრულფასოვანი განხორციელება.

დღეს მსოფლიოში 320 000-ზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. მათგან 73% მოდის განვითარებად და გარდამავალი

ეპონომიკის მქონე ქვეყნებზე. ბევრ საზოგადოებაში საჯარო ბიბლიოთეკა პრაქტიკულად ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანი, განათლებისა და სოციალური ფენის მიუხედავად, ეძებს ინფორმაციას ინტერნეტში და ყოველდღიურად ხვეწავს ონლაინ-ქსელში ნავიგაციის უნარებს.

სწორედ ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ბიბლიოთეკები პასუხობდნენ დღევანდებლობის გამოწვევებს.



ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, საზოგადოების მოთხოვნილებები ყოველწლიურად და ამიტომაც მნიშვნელოვანია მათვის მოწევების ინფორმაციის ინფორმაციური ცენტრი და პროფესიონალი კადრი.

შესაძლებელია

შესაძლებელია თუ არა, რომ საჯარო ბიბლიოთეკამ ხელი შეუწყოს კონკრეტულ ადამიანს წინსვლასა და განვითარებაში? შესაძლებელია. დღესდღეობით უამრავი ონლაინ-კურსი თუ სახელმძღვანელო არსებობს, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში. თუკი ტექნიკური აღჭურვილობა და შესაბამისი პროფესიონალი ბიბლიოთეკარი შესაძლებლობას მისცემს, ბიბლიოთეკას შეუძლია ადამიანებს არამხოლოდ სასურველი ინფორმაცია გადასცეს, არამედ შესთავაზოს საჯარო სივრცე თავშეყრისთვის, გუნდური მუშაობისთვის და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ბიბლიოთეკები საჯუთარ როლს ახლიდან გაიაზრებენ, მათი გავლენა ინდივიდებსა თუ საზოგადოებაზე ერთიორად მოიმატებს. დღეს მსოფლიოში საჯარო ბიბლიოთეკები ასწავლიან ცერმერებსა და მეოვეზეებს, თუ როგორ მართონ თვითითი საქმიანობა და როგორ იკვლიონ

ბაზარი ინტერნეტით. წყვილები ბიბლიოთეკას მიმართავენ იმისთვის, თუ როგორ დაგეგმონ სწორად ოჯახი, მიიღონ დეკრეტული დაზღვევა, როგორ მოუარონ ჩვილებს და კვებონ სწორად, აგრეთვე მიიღონ ინფორმაცია შიდსსა და აიგ ვირუსზე და დაიცვან თავი და ა.შ. მომხმარებლები ინტერნესდებიან ასევე კლიმატური ცვლილების, ტყეების მასიური გაჩეხვის საკითხებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე მეთოდებით და ა.შ.

ყოველწლიურად, აშშ-ს საჯარო ბიბლიოთეკები 14-77 წლის ასაკის ხალხს ემსახურებიან, რომელთა რაოდენობა მილიონს აჭარბებს. კვლევები აჩვენებს, რომ ბიბლიოთეკების ინტერნეტს მომხმარებლები იყენებენ უფრო მეტად ჯანდაცვის, სახელმწიფო მმართველობის, ენის, კულტურის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად, ვიდრე სხვა საჯარო სივრცეებიდან. გარდა ამისა, საჯარო ბიბლიოთეკების მკითხველები აღნიშნავენ, რომ მათ ცხოვრებაზე ინტერნეტი დადებით ზეგავლენას ახდენს.

ჩილეში, ციფრული წიგნიერების ეროვნულმა პროგრამამ დაატერნიზება ასეულ ათასობით ადამიანი ელექტრონულ კომპიუტერული უნარ-ჩვევების ათვისებაში. პროგრამაში დაახლოებით სამასამდე საჯარო ბიბლიოთეკა ჩაერთო. მექსიკაში საჯარო ბიბლიოთეკები ხშირად ერთადერთი სივრცეა, სადაც თავისუფალი ინტერნეტია და ის მექსიკის რეგიონების ორ მესამედს ეხება. ბოვნანაში საჯარო ბიბლიოთეკები მცირე ბიზნესმენებს ემსახურება და ეხმარება საქმიანობაში, რათა მათი ბიზნესი უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს. მაგალითად, უკრაინაში, საჯარო ბიბლიოთეკებმა ფაქტობრივად, მირეულად შეცვალა მეწარმეობის პრინციპები პომიდვრისა და ხორბლის წარმოების დარგებში.

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა და განათლება არის ძალიან დიდი ბერკეტი, რომელიც საზოგადოებამ უნდა გამოიყენოს. იგი ამდიდრებს და ამარტივებს ადამიანების ცხოვრებას სოფლად თუ ქალაქად, ამრავალფეროვნებს და ინფორმირებულს ხდის მათ არჩევანს და ადამიანებს დასასაქმებლად ამზადებს.

გილ და მელინდა გეითსების ზორე

სწორედ ამ მიზნების განხორციელებას ისახავს მიზნად ბილ და მელინდა გეითსების ფონდი. მათი პირველი გრანტები 1997 წელს გაიცა, რითაც მსოფლიოს გაჭირვებულმა მოსახლეობამ შეძლო და უფასოდ და შეუზღუდავად მიიღო ინტერნეტზე და მის

უსაზღვრო შესაძლებლობებზე წვდომა. ფონდის მუშაობის მასშტაბების გაფართოებასთან ერთად საბიბლიოოთები ინიციატივებიც შეიცვალა და გაფართოვდა. 2002 წლიდან აშშ-ს ბიბლიოთეკების გამოცდილებამ საფუძველი დაუდო მსოფლიოს ბიბლიოთეკების განვითარებას.

ფონდის გლობალური საბიბლიოთეკო პროგრამა იმისთვის მუშაობს, რომ მსოფლიო დაეხმაროს ბიბლიოთეკებს განვითარებასა და ციფრულ რელსებზე გადასვლაში. ბილ და მელინდა გეითსები თანამშრომლობენ სხვადასხვა ხელისუფლებებთან, სახელმწიფო თუ კერძო ფონდებთან და ბიზნესებთან, რათა ტექნოლოგიებზე წვდომა უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჯარო ბიბლიოთეკაში, დაქარდეს ინოვაციები, გადამზადდნენ ბიბლიოთეკარები და ა.შ.

ფონდი არამხოლოდ ტექნოლოგიურ აღჭურვაზე თრიენტირებული, არამედ დიდ უურადღებას აქცევს ლიდერი ბიბლიოთეკარების გადამზადებას, რათა სწორად გატარდეს ბიბლიოთეკების ახალი პოლიტიკა. ლიდერობის ტრენინგების გავლის შემდეგ, ბიბლიოთეკარები იკვლევენ აქამდე უცნობ გზებს, თუ როგორ განავითარონ კულტურა არსებული რესურსებით, შეისწავლონ რისკები, იმუშაონ სხვებთან ერთად მომსახურების ახალ მეთოდებზე, ჩართონ საზოგადოების წევრები თავიანთ საქმიანობაში და საბიბლიოთეკო სერვისების დახვეწაში. მაგალითისთვის გამოდგება ბიბლიოთეკარების საერთაშორისო ქსელი (I RZL), რომელსაც აქვს, უნარი და გამოცდილება მკითხველებისთვის ინოვაციური სერვისების შესაქმნელად.

საბოლოო ჯამში 2002 წლიდან დღემდე ფონდი 13 000 ბიბლიოთეკას დაეხმარა, პროგრამის ფარგლებში 20 ათასზე მეტი ადამიანი გადამზადდა აშშ-ში, ჩილეში, მექსიკაში, ბოკვანაში, ლიტვაში, ლატვიაში, რუმინეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ვიეტნამში, კოლუმბიაში, ინდონეზიაში, მოლდოვაში, იამაკაზე, სამხრეთ აფრიკასა და თურქეთში. მოკლევადიანი გრანტებით ფონდი დაეხმარა ნებალს, ბუტანს, ინდოეთს, გვატემალასა და პონდურასს.

ნოვათეკა

 **Novateca** გეგმის მიხედვით, ნოვათეკა უზრუნველყოფს მოლდოვაში შეუზღუდავ წვდომას ციფრული ინფორმაციაზე თანამედროვე, კომფორტული სერვისებით საჯარო ბიბლიოთეკებში, ტექნიკური ინფრასტრუქტურის დანერგვისა და

ბიბლიოთეკარების გადამზადების გზით.

პროგრამა უკვე არსებულ საბიბლიოთეკო ქსელზე აშენებს ახალ სისტემას ადგილობრივ, ნაციონალურ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. ამ მიზანს ახორციელებს შემდეგი ამოცანებით:

- ადგურვილობისა და ტექნიკის განახლება;
- 1500-ზე მეტი ბიბლიოთეკარის გადამზადებითა და ამ გზით ადამიანური რესურსის გაძლიერებით;
- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის დამყარებით ბიბლიოთეკარებს შორის, მიუხედავად ასაკისა და გამოცდილებისა, და ბიბლიოთეკარების ქსელის ჩამოყალიბებით;
- ბიბლიოთეკარებისთვის ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობების სწავლება;
- საზოგადოებაში ცნობადობის გაზრდა და საზოგადოების მხარდაჭერის მოჰყვება ბიბლიოთეკებისთვის ადგილობრივ არასამთავრობოებთან, მოქალაქეთა ჯგუფებთან და სხვა სექტორებთან ერთად.

ამაღლებები

მიზნის მისაღწევად ნოვათეკა ოთხ ძირითად მიმართულებით მოღვაწეობს, ესენია: ბიბლიოთეკების ადგურვა, ადამიანური რესურსის გადამზადება, მჟიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება ხელისუფლებასა და ბიბლიოთეკებს შორის, სადაც ბიბლიოთეკას მთავარი როლი უკავია და სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან ურთიერთობა, რათა ბიბლიოთეკებმა სამომავლოდ მათგან ფინანსური და ადამიანური მხარდაჭერა მოიპოვონ.

საბიბლიოთეკო პროფესიონალური სისტემის განვითარების გასაძლიერებლად ნოვათეკა აყალიბებს ტრენინგ-ცენტრების ქსელს და ატრენინგებს შერჩეულ ბიბლიოთეკარებს, მხარს უჭერს უწყვეტ პროფესიული განვითარების სისტემის მდგრადობას; გასცემს დამტებით მცირე გრანტებს ბიბლიოთეკებისთვის ინვოაციური, თანამედროვე სერვისების დასახერგად და ზრდის ბიბლიოთეკების ცნობადობას საზოგადოებაში.

ცენტრალური ხელისუფლების ჩართვით და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვით, ნოვათეკა მხარს უჭერს ბიბლიოთეკარების აქტიურ თანამშრომლობას ამ ყველაფერში და აკონტროლებს, რომ ყოველი რგოლი სრულად იყოს ჩართული.

ნოვათეკა ასევე ზრდის საზოგადოების ჩართულობას ბიბლიოთეკების საქმიანობაში. ტრენინგებისა და მცირე გრანტების მეშვეობით ბიბლიოთეკები ნელ-ნელა გარდაიქმნება საინფორმაციო თანამედროვე საჯარო სივ-



რცეპტად, სადაც ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ინფორმაცია მოიპოვოს და ამაში მას გადამზადებული ბიბლიოთეკარი ეხმარება.

პროექტი და ნოვათეკას სააილოტე პროგრამა

ნოვათეკის პროგრამა არის მომდევნო ნაბიჯი ორწლიანი საპილოტე პროგრამისა, რომელიც ასევე ბილ და მელინდა გეიოსების ფონდის მიერ იყო დაფინანსებული და 2014 წლის ოქტომბერისთვის დასრულდა. მსგავსი პროექტები ხორციელდება უკანასკნელი იძლიომისტი იძლიომისტი და რემინენტი (იძლიონეტი).

ორი წლის განმავლობაში ნოვათეკამ ადგურვა 68 ბიბლიოთეკა 305 კომპიუტერით 6 რეგიონში და დაატრენინგა 243 ბიბლიოთეკარი Iხთ უნარებში. აგრეთვე დაიტესტა ტრენინგები ადვოკატიონებისა და პარტნიორობის საკითხებში.

პროგრამა დაეხმარა უამრავ ბიბლიოთეკას წარმოედგინა და გამოიცადა ისეთი სერვისები, როგორიცაა ვორქშოფები კომპიუტერისა და ინტერნეტის მოხმარების საკითხებში, ისტორიული დოკუმენტების გაციფრება, ინტეგრირებული საბავშვო სათამაშო სივრცეების გახსნაში და დასაქმების უნარების შემუშავებაში. გარდა ამისა, დახმარება მიმართული იყო იქითვები, რომ ბიბლიოთეკარებს სრულფასოვანი ურთიერთობები ჩამოეყალიბებინათ ისეთ პარტნიორებთან, რომრიცაა არასამთავრობოები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საავადმყოფოები... ქვეყნის მასშტაბით ნოვათეკა მჟიდროდ თანამშრომლობს კულტურისა და შრომის, ოჯახისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან (განსაკუთრებით ფოკუსირდება ბიბლიოთეკების ჩართვაზე გაციფრების საკითხებში) და მიაღწია შეთანხმების გაფორმებას მოლდეტელეკომორან, რომელიც არის ყველაზე დიდი ფიზიკური კავშირგაბმულობა მოლდოვაში, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლებისთვის ინტერნეტ-გამოწერები 50%-ის ფასდაკლებით ხდება.

ნიზნის ისტორია

ნიზნი ხველებიც

პანს ჰოლბეინი და მისი მინიატურული ესტამპები

Hესანიშნავი მხატვარი პანს ჰოლბეინი უმცროსი დაიძადა აუგსბურგში, 1497 წლის ზამთარში, გერმანელი ფერმწერების ოჯახში. მხატვრები იყვნენ მამამისი - პანს ჰოლბეინ უფროსი (1465-1524), ბიძა თიგმუნდი და უფროსი მამა ამბროზიუსი (1494-1519). პანსი ამ ოჯახის უკელაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო. მას მხატვრობა მამამ შეასწავლა. პანსმა ყმაწვილობიდანვე დატოვა სამშობლო და იქ ადარ დაბრუნებულა. იგი მმასთან ერთად შვეიცარიაში - ქალაქ ბაზელში გადასახლდა. მმები ორი წლის მანძილზე ჰერბესტარის სახელოსნოში მუშაობდნენ.

ბაზელში პანს უმცროსმა ბევრი გამოჩენილი პიროვნება გაიცნო. მასზე დიდი გავლენა იქონია აუგსბურგელმა მხატვარმა პანს ბურგბაიერმა. საწყის პერიოდში, მმიმე მატერიალური მდგრამარეობის გამო, მხატვარი უარს არ ამბობდა ვიტრაჟებისა და ფასადების დეკორირებაზე. ის უბრალო კერძო სახლებს არაჩვეულებრივ სასახლეებად აქცევდა, როავდა კოლონებით, კაპიტელებითა და პილასტრებით. ინგლისის მეფის ჰენრის VIII-ის სამეფო კარის მომავალმა მხატვარმა შექმნა მრავალი ცნობილი პიროვნების პორტრეტი და არაერთი არაჩვეულებრივი ფრესკა („ქრისტეშობის გამოსახულება“, „მადონა წმინდანებთან ერთად“, ცნობილი „მეიერების ოჯახის მადონა“, „გარდაცვლილი იესო სარეცლებე“) და სხვ.).

პანს გოლბეინ უმცროსი ხელოვნების ისტორიაში შევიდა როგორც ფერმწერი და პორტრეტისტი, მაგრამ იგი ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის მხატვრობაზე - ილუსტრაციებით, ინიციალებით, სატიტულე ფურცლის ჩარჩოებით და ბოლოსართებით ამკობდა სხვადასხვა გომოცემებს. ნამუშევრებისათვის მხატვარი გულდასმით ასრულებდა მონახაზს ფანქრით (ზოგი მათგანი შემორჩენილია დღემდე). ჩრდილსა და შუქს

ავლებდა ნახშირით, ცარცითა და სანგინით (მუქი წითელი რბილი ფანქარი).

ბაზელი, სადაც გოლბეინმა ახალგაზრდობის წლები გაატარა, მესტამბეთა ქალაქად

- ბის წლები გაატარა, მესტამბეთა ქალაქად



ვაწევობდნენ სახელგანთქმული მესტამბები იოჰან ბერგმან ფონ ოლპე და იოჰან ამერბახი. ამავე საუკუნის პირველ მეოთხედში ბაზელში მოდვაწეობდა ჰუმანისტური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი და ერთ-ერთი უმსხვილესი მესტამბე-გამომცემელი იოჰან ფრობენი (დაახ. 1460-1527). მასთან სახლში 1516

წლიდან ცხოვრობდა ცნობილი მეცნიერი, „ჰუმანისტების თავადად“ წოდებული, საქვეწნოდ ცნობილი პამფლეტის

"ქება-დიდება სისულელისას" ავტორი დესიდერ ერაზმ როტერდამელი (დაახ. 1469-1536). მასპინძელმა გამოსცა მეცნიერის შრომები და მისივე რედაქტირებული „ახალი აღოჭმა“ ბერძნულ ენაზე.

ფრობენის გამოცემებს მხატვრულად აფორმებდნენ პანს ჰოლბეინ უმცროსი და შვეიცარიელი გრაფიკოსი ურს გრაფი (1485/90-1527/29), რომელის სახელსაც უკავშირებენ გრავიურების ბეჭდვის ტექნიკის ფორმების წარმოშობას. როტერდამელის თხოვნით ჰოლბეინმა თოხმოცდაორი ილუსტრაციით გააფორმა „ქება-დიდება სისულელისა“. წიგნი გამოიცა 1514 წელს.

პანსმა რამდენჯერმე დახატა ერაზმ როტერდამელის პორტრეტის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1535 წელს, მან ხესე გრავირების მეოთხით შეასრულა წიგნის სატიტულე ფურცელი - ტრიუმფალური თადით დამშენებული როტერდამელის პორტრეტი. ადრე ასე ბიბლიურ გმირებსა და წმინდანებს გამოსახავდნენ.

ჰოლბეინმა დაასურათა უამრავი წიგნი, მონაწილეობა მიიღო მარტინ ლუთერის ბიბლიის გაფორმებაში, შეასრულა ნახტები ძველი აღოქმისათვის და სხვა. მის



*Qui non mortalitatem tibi munera fingis,
Rebus ab humana eripiere breui.*

ნამუშევრებს შორის ყველაზე ცნობილია ცალკეული ესტამპების სახით დაბეჭდილი გრაფიკული ციკლი „სიკვდილის როკვა“. მისი სიუჟეტური წყარო შეა საუკუნეებიდან მომდინარეობს. ადამიანთა სიცოცხლე იმ დროს ბეწვე ეკიდა. თითქოს ყველი ქართველის კუთხეში საფრთხე იყო ჩასაფრებული. შავი ჭირისა თუ სხვადასხვა საშიში დავადებებისაგან ბალახივით იცელებოდა სიცოცხლე ქალაქებსა თუ სოფლებში. „ამა სოფლის ძლიერო“ თავხედობასაც არ უჩანდა საზღვარი. ფეოდალებს, მაგნატებსა და მათთან დაახლოვებულ ადამიანებს ხალხის გასაჭირი არ აღელვებდათ, სიკვდილი კი შეუმჩნევლად დახეტიაობდა ადამიანებს შორის და ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებდა. მხატვრის ფანტაზია ამ შეუცნობელ და საშიშ შეგრძნებებს მატერიალურ ფორმებს ანიჭებდა.

ამ ციკლის პირველი სამი გრავიური ბიბლიური ოქმატიკისაა. სიუჟეტები ასახავენ სამყაროს შექმნას, ადამისა და ევას სამოთხეში ცხოვრებას. დანარჩენზე კი პოლებინისათვის კარგად ნაცნობი, მისი თანამედროვე ცხოვრებისეული ეპიზოდებია გამოსახული. მრავალ გრავიურას კუთხეში მიხატული აქვს ქვიშის საათი, როგორც სწრაფად წარმავალი ცხოვრების სიმბოლო. თითქოს

გრავიურაზე ლათინური პურსივით მიბეჭდილია მოკლე ტექსტი, რომლითაც პერსონაჟის სოციალური ფენად დახასიათებული. ისე, როგორც ცხოვრებაში, იქაც დაცულია იერარქია. ცხოვრებისეული სირთულეების ამსახველი ციკლის ბოლო გრავიურა განკითხვის დღით სრულდება.

ჰანს ჰოლბეინი ზემოთ აღნიშნულ სერიაზე მუშაობდა ბაზელში 1523-1525 წლებში. პირველი ციკლი ყავისფერი მელნით შესრულებულ რომოცდარო ნახატს მოიცავდა. თითოეული გრავიურა ქსილოგრაფიული ხელოვნების შედევრს წარმოადგენდა. 6,5x5 სმ. ზომის საგრავიურო დაფაზე (32,5x38 სმ.) მხატვარი ათავსებდა როკვა, ხშირად კი მრავალფიგურიან კომპოზიციას. ნახატების მიხედვით გრავიურებს ამზადებდა ჰანს ლუტცელებერერი (გარდ. 1526). ამისათვის ის მიმართავდა როგორც ქსილოგრაფიულ, ასევე სპილენძზე გრავირების მეთოდს. საგრავიურო დაფების გაცვეთის შემდეგ მათ თავიდან ამზადებდნენ. მოლიანად დაიბეჭდა „სიკვდილის როკვის“ 48 ხეზე (ქსილოგრაფიული) და 43 სპილენძზე (ლითოგრაფიული) შესრულებული გრავიური. მეცხრამეტზეოცე საუკუნეებში რამდენჯერმე გამოვიდა ამ სახელგანოქმული სერიის ფაქსიმილური გამოცემა. ერთ-ერთი მათგანი გამოიცა პოპულარული სერიის - ბიბლიოთეკის სახელწოდებით, რომელსაც წლების მანძილზე უშვებდა გერმანული გამომცემლობა „ინზელ-ფერგალი“.

დასავლეთეროპული საგრავიურო ხელოვნების ისტორიის მკვლევარის პაულ კრისტელერის აზრით, პოლებინის „სიკვდილის როკვას“ ხეზე შესრულებული გერმანული საგრავიურო ხელოვნების კულტინაციური წერტილი შეიძლება ვუწოდოთ, როგორც მხატვრული, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. მისივე თქმით, გრავიორმა შეძლო თითქმის შეუძლებელად წვრილი ნაჭდევების გავლება და შექმნა გარდამავალი ფერადოვანი ტრიქი.

გრავიურების დაბეჭდვიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, 1538 წელს, „სიკვდილის როკვა“ წიგნის ფორმით ლიონის სტამბაში გამოსცეს ძმებმა გასპარ და მელიორ ტრეხსელებმა. ეს ცნობილი საგამომცემლო ფირმა ტრეხსელების მამამ - იოანენამა დაარსა. მის გამომცემლობაში კორექტორად მუშაობდა შემდგომში სახელგანდებული მეტამბეუგამომცემელი იოდოგუს ბადაუს ასცენზია. წიგნმა დიდი მოწონება მოიპოვა და ძმებმა იგი შემდგომში რამდენჯერმე გა-

მოსცეს. გრავიურების რიცხვი მომდევნო გამოცემებში ორმოცდაცამეტამდე გაიზარდა. აქ იბეჭდებოდა ალბომის მსგავსი დასათვალიერებელი პატარა წიგნები, საგამომცემლო პროდუქციის ახალი სახეობა, რომელიც გათვალისწინებული იყო მასობრივი მკიონებელისათვის, მათ შორის წერა-კითხვის არმცოდნეთაოვისაც. გრავიურების თანხმლები ტექსტები მინიმუმამდე იყო შემცირებული.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მხატვრის სხვა ნამუშევრებიც, მათ შორის განსაკუთრებული იყო ოთხმოცდაორმეტი ილუსტრაციისაგან შედგენილი „ძველი აღთქმის“ ციკლი. იგი 1529-1530 წლებში გამოიცა ტრეხსელების სტამბაშვილი. წიგნის სახით ეს გრავიურები 1538 წელს დაიბეჭდა და შემდგომშიც მრავალჯერ გამოიცა განმეორებით.

პანს პოლდეინმა „სიკვდილის როკის“ მოტივები აკადრატული ინიციალების გაფორმებისთვის გამოიყენა. ციკლის სიუკეტმა ფონის ფუნქცია შეასრულა ლათინური ალფავიტის სათავე ასოებისათვის. ეს სერია 2,4x2,4 სმ. სიდიდის ოცდაოთხი მინიატურისაგან შედგებოდა. ისინი გრავიურის ენაზე კვლავ ლუტცელბერგერმა გადაიყვანა. ამასთანავე, მან ოცდაოთხივე გრავიურა ერთ ფურცელზე დაბეჭდა.



ინიციალების ნაკრები გათვალისწინებული იყო იმპან ბებელის ბიბლიის გამოცემისათვის, რომელიც ბაზელში დაიბეჭდა. პოლდეინმა ნახატები შექმნა სხვა ალფაბეტებისთვისაც: „საბაგშვი ალფაბეტი“ ბავშვების ფიგურებით შეამკო, „გლეხების ალფაბეტი“ - გლეხების გამოსახულებებით.


ინიციალების ეს ნაკრები დიდი პოპულარობით სარგებლობდა და რამდენჯერმე გამოიცა ბაზელსა და სხვა ქალაქებში.

პანს პოლდეინმა ცხოვრების უმეტესი წლები შეკიცრიასა და ინგლისში, სიცოცხლის ბოლო წლები კი ლონდონსა და ბაზელში გაატარა. მხატვარი ლონდონში ადესრულა 1543 წლის 7 ოქტომბერს, 46 წლის ასაკში. მისი გარდაცვალების მიხევი შავი ჭირი გახდა, რომელიც იმხანად მძინვარებდა ქალაქში.

დიდია მხატვრის დაწყლი გერმანულ ხელოვნებაში. მან მოახერხა იტალიური აღორძინების ხანის მონაპოვარი გერმანულ მხატვრობაში დაენერგა, ისე რომ არ დაუკარგავს თავისი ნაციონალური ხასიათი. ასევე მნიშვნელოვანია მისი წვლილი წიგნის მხატვრობაში. ხელოვნებაომცოდნები ათას ორასამდე ქსილოგრაფიას ითვლიან, რომლებიც პანს პოლდეინ უმცროსის ჩანახატების მიხედვითაა დაბეჭდილი.

გამოუებული ლიტერატურა:

- Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. - Ч. 2. - М.: 1990.
- Щелкунов М. И. История техники искусства книгопечатания. - М.; Л. 1926.
- Краткие сведения по типографскому делу. - С.; П. - 1899.
- Бенсюзан С. Л. Гольбейн / С. Бенсюзан; пер. Е. Боратынской. — М. : Ю. И. Лепковский, 1910.



CPCHCDBCE U&HWWQ

ბერლინში ახლადაღმოჩენილი სამი ქართული ხელნაწერის მოკლე აღწერა

1 963 წელს გერმანელმა მეცნიერმა იულიუს ასფალგმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Georgische Handschriften“ („ქართული ხელნაწერები“). ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავდა, რომ მან ქართველ კოლეგებთან ილია აბულაძესა და აკაკი შანიძესთან თანამშრომლობით, შეძლო გამოკვლევის შექმნა. გერმანელმა მეცნიერმა თავის ნაშრომში წარმოადინა გერმანიის სხვადასხვა ბიბლიოორეგისტრი დაცული ქართული ხელნაწერების პალეოგრაფიული აღწერები. მათ შორის არის ბერლინის 8 ქართული ხელნაწერი.

2016 წელს, გერმანელი მეცნიერის მიერ ნაშრომის გამოქვეყნებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, შოთა რუსთაველი ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის სამეცნიერო მივლინების ფარგლებში - „ქართული კულტურული ნაკვალევი გერმანიაში“, რომელიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომელის ხელმძღვანელიც არის ნინო დობორჯგინიძე, ხოლო კოორდინატორი - ოლივერ რაისნერი, დავუკაგშირდი ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკარის მელინე პელიგრინისაგან მივიღე შეტყობინება: „ამჟამად ბელინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში არის 11 ქართული ხელნაწერი, შემდეგი შიფრებით: Hs or 7931, Hs or 14561, Minutoli 135a, Ms or fol 573, Ms or fol 926, Ms or fol 2096, Ms or oct 168, Ms or oct 169, Ms or oct 283, Ms or quart 279, Ms or quart 345“. - ჩამოვლილი შიფრიდან 3 არ ფიქსირდება გერმანელი მეცნიერის გამოკვლევაში. მარტის ოვეში დაგევმილი სამეცნიერო მივლინების დროს, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მუშაობისას, აღმოჩნდა დღემდე შეუსწავლელი, არაკატალოგიზირებული სამი ქართული ხელნაწერი: 1. მინიატურული სახარება (Hs. or. 14561), 2. დაგითის ფსალმუნი (Hs. or. 7931) და 3. ქართული ზდაპარი (Ms. or. oct. 169). ხელნაწერების გაცნობასთან ერთად, შეკვეცადე კოდიკოლოგიური ინფორმაციის მოძიება, მოკლე აღწერა და რამდენიმე ფოტოს გადაღება:

1. ხელნაწერი - Hs. or. 14561. მცირე ზომის
მინიატურული სახარება დაახლობით XVII-
XVIII საუკუნეების ქართული ხელნაწერია
ნუსხა-ხუცურით შესრულებული. ამ ხელ-
ნაწერის შესახებ ბერლინის სახელმწიფო



მინიატურული სახარება. გარეკანი.

ბიბლიოთეკის ოანამშრომელმა ქალბატონმა
ნიკოლე ფიურთინგმა ოვდაპირველად მითხ-
რა, რომ „2012 წელს ამსტერდამში პერძო
ბიბლიოთეკარისაგან შევიძინეთ“. თუმცა, ამ
ცნობაში არ იყო დარწმუნებული და დამ-
პირდა, რომ გაარკვევდა ზუსტად. ინფორ-
მაციის გადამოწმების შემდეგ შემატებინა,
რომ ბიბლიოთეკამ 1988 წელს შეიძინა ჰამ-
ბურგელი ანტიკვარიატების მცლობელ ფ.
დიორლინგისაგან. პირველადი დაოვალიერე-
ბით შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელნაწერი
შეიცავს ოთხთავს, იწყება მათეს სახარებით.
შეუძინა ჩართულია ლუკა მახარებლის ფერა-
დი გამოსახულება. არის მომცრო ზომის წიგ-
ნაკი. ქადაღდზე დაწერილი ნუსხა-ხუცურით.
გამოყენებულია შავი და წითელი მელანი. გა-
რეკანი არის მოვერცხლილი და მოჭედილი
ოთხი მახარებლების გამოსახულებით.



მინიატურული სახარების ბოლო ნაწერი გვერდი

မြန်မာတိမ္ထုများ အသေစံပြုခံစား နှင့်အဖွဲ့အစည်း
လူ့ပါ မာဆာရှေ့ပြုလုပ် ဒါမ်းဆား၏၂၅၁

2. ხელნაწერი Hs. or. 7931 - დავითის ფსალმუნი. ამ ხელნაწერზე ქურნალში არის ინცორმაცია, რომ შეძენებილია 1973 წლის 11 ოქტომბერს ვინძე ლაიდენელიი ბრილისაგან. ტექსტი დაწერილია მხედრულით. სათაურები ზოგან ნუსხა-ხუცურით. შეიცავს 81 გვერდს. წიგნაკის პირველი ნახევარი დაწერილია შავი ქაჭაპით, მეორე ნახევარში გამოყენებულია წიგნის მიზნით.

თელი მელანი, წინადაღების დაწყების წინ. საჭიროა, კანონიგური ტექსტების ექსპერტმა შეისწავლოს. ხომ არ არის საგადობლების ნიშნები? რადგან ცნობილია, რომ ადრეულ ახალ დროში ეკლესია-მონასტრებში ფსალმუნთა საგადობლების ჩაწერა ხდებოდა სპეციალური ნიშნების გამოყენებით.



ხელნაწერის გადაწერის თარიღიდად ქურნალში დაფიქსირებულია 1795 წელი, რასაც სატიტულო გვერდზე ფანქრიო შესრულებული თარიღით უნდა იყოს განსაზღვრული. თუმცა, არ მგონია, ეს იყოს ამ ხელნაწერის გადაწერის თარიღი. დასაშვებია, რომ ეს მინაწერია, სავარაუდოდ ერთ-ერთი მფლობელის აბანი. ჩემი აზრით, ცოტა უფრო ძველი ხელნაწერი



უნდა იყოს. ერთ-ერთი მფლობელის სახელი მიწერილია გარეუდაზე: „ეს წიგნი ვარუნ მიქელასი არის“. გაურკვეველია, რა პერიოდში გაფორმდა ეს ხელნაწერი ვარუნ მიქელას. მან გაყიდა? თუ სხვისაგან შეიძინა გერმანელმა ე. ბრილმა?

კოდილოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო და საყურადღებოა ამ ხელნაწერის ისტორია. ქალბატონ ნიკოლე ფურთინგს როცა ვკითხე ამ ხელნაწერის შესახებ, არაფერი იცოდა. დამპირდა, რომ მოიძიებდა ძველ სარეგისტრაციო ჟურნალს, სადაც იყო გატარებული. როცა მოიძია, ჟურნალში „Hs. or. 7931“ შიფრის გასწვრივ იყო ნაბეჭდი აღწერა: „altslavisch“ (ძველისლავური), რომელიც გადახაზული იყო ფანქრიო და ზემოდან „georgisch“ (ქართული) ახალი წარწერა პქონდა გაკეთებული, რაზეც გერმანელმა ბიბლიოთეკარმა ხუმრობით აღნიშნა: „Und plötzlich altslavisch georgisch geworden!“ („მოულოდნელად სლავური ქართული გახდა!“)


3. ხელნაწერი - s. or. oct. 169. - ამ ხელნაწერის შესახებ რობერტ გიოლისგან მივიღე შეტყობინება, რომ




“შეძენილია 1846 წელს 1 რუბლად სწავლული კონისაგან”. ეურნალში გატარებულია როგორც - „Narrations Georgicae chart“. ხელნაწერი გაფორმის 8 ადმოსავლურ შეძენილ ხელნაწერთა ჯგუფს. თითოეულში გადახდილია ზოგში რუბლი, ზოგში დუბარი”.

ვინ იყო ეს სწავლული კონი? ამის იდენტიფიცირება ადგილია, რადგან ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოში რამდენჯერმე იმოგზაურმა გერმანელმა მეცნიერმა, ბოტანიკოსმა კარლ ჰაინრიხ კონრად კონკარა 1843-1844 წლებში შედგა და 1844 წელს ის უკან იენაში დაბრუნდა. როგორც ჩანს საქართველოდან წაიღო ეს პატარა წიგნაკი და მიყიდა ბერლინის ბიბლიოთეკას.

პირველადი დათვალიერებით შემიძლია გითხოვთ, რომ ამ ხელნაწერში მოთხოვდილია ზღაპარი, რაც თვეისი შინაასით წაგავს დირსი მელანიას ისტორიას. თუმცა, საქმე გვაქვს ქართულ გერმანელისთვის. სამწუხაროდ, ხელნაწერი არ არის დათარიღებული. თუმცა, კალიგრაფითა და ასოთამოხაზულობით შეიძლება ითქვას ეს ხელნაწერი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს - მე-19 საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. რაც კველაზე მნიშვნელოვანია ტექსტის ბოლოს არის მინაწერი ავტორის ვინაობის შესახებ. „ქალის და ვაჟის ბაასი ძალითა მდვდლისათა აღწერა მელანია გედევანის ასულმან სრულებით“. ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფიაში ცნობილი ხდება კიდევ ერთი გადამწერი ქალი - მელანია გედევანის ასული.



წიგნაკი 51 გვერდისაგან შედგება. ტექსტი მხედრული არის ნაწერი. ბოლო გვერდი ამობრუნებულად არის ნაწერი, რაც მხელოდ სინათლის შუქზე იკითხება და არის „მამაო ჩვენო“.




ამრიგად, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ახლად აღმოჩენილი სამი ქართული ხელნაწერით - მინიატურული სახარება (Hs. or. 14561), 2. დავითის ფსალმუნთი (Hs. or. 7931) და 3. ქართული ზღაპარი (Ms. or. oct. 169) ქართული კულტურული მემკვიდრეობა კოდევ უფრო გამდიდრდა.

ბიბლიოგრაფიული ძირანი

ბიოჩინი ბაზანი

რეპლიკა

2 010 წლის 10 დეკემბერს ჩვენს „სავარდო და სამაისო“ ქუთაისში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც მეტად საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ქუთაისის და



აკაკი, მისი ცოლი და შვილი ალექსი.

მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკები. ხსენებული კონფერენციის მასალები 2011 წელს გამოიცა ცალკე კრებულის სახით, რომელსაც ბოლოში დართული აქვს ფოტოკოლაჟი. სამწუხაროდ, სწორედ მასშია დაშვებული ის ლაფსუსი, რამაც დამაწერინა წინამდებარე რეპლიკა. კერძოდ, იმ ფოტოსურათს, რომელზეც აღბეჭდილი არიან აკაკი, მისი მეუღლე ნატალია ბაზილევსკაია და მათი ვაჟი - ალექსი წერეთელი, შეცდომით მიწერილი აქეს: „აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და ოლდა გურამიშვილი“ (იხ.: გვ. 89).

ამ კაზუსის შესახებ ჩვენში თუ უკვე არის გაკეთებული შესაბამისი შენიშვნა, მე, ცხადია, ბოდიშს ვიხდი მისი კიდევ ერთხელ აღნიშვნისათვის, ხოლო თუ ამგვარი რამ აქამდე ჯერაც არ გაკეთებულა, მაშინ, როგორც იტყვიან ხოლმე: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“.

ვიმედოვნებ, რომ ზემოაღნიშნული კრებულის რედაქტორები, შესანიშნავი მეცნიერები და პიროვნებები, ხსენებული კონფერენციის სულისხამდგმელი და ორგანიზატორი ჩემი ძვირფასი მოგვარები - ქალბატონი ლია და ბატონი გურამ გაბუნიები ამ პატარა რეპლიკას კადნიერებაში არ ჩამითვლიან და მას გაგებით მოეკიდებიან, ვინაიდან არაფრით არ შეიძლება დაშვებული და მსგავსი კურიოზული ლაფსუსების უყურადღებოდ, ბედის ანაბარად მიტოვება.

ბუბა თაყნიაშვილი

ივანე აკვანიშვილი - 140

03ანე ჩავახიშვილი ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ და ეპროტესტი ბიბლიოგრაფიის თანამედროვე პროგლომები

ც ვანე ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი და მხერვალე მამულიშვილი თავის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჯეროვან უკრადლებას აქცევდა პირველწეროების გამოყლენის, შესწავლისა და ანალიზის საკითხებს. ამასთან მეცნიერი მკაცრად იცავდა სხვა ავტორთა ნაშრომების შესწავლისა და ციტირების მეთოდებს, იცავდა რა პუმანისმისა და დემოკრატიის პრინციპებს მეცნიერულ მუშაობაში. საყოველთაოდაც ცნობილი ი. ჯავახიშვილის, როგორც ახალგაზრდა მკვლევარის დამოკიდებულება იმ ქართველ სტუდენტთა მიმართ, რომლებიც მე-19 საუკუნის მიწურულს სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში. აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს კითხულობდა პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი. მისი თაოსნობით უნივერსიტეტში 1907 წელს ჩამოყალიბდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. წრის წევრები იყვნენ შემდგომში ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, მ. თუმანიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ჩიგაძა, ა. ლორთქიანიძე, შ. დადიანი, ვ. ბუაჩიძე, გ. ჭუბაძერია და სხვები. სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, ი. ჯავახიშვილმა წრის წევრთა შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად დასახა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა. ი. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა ბიბლიოგრაფიული მუშაობის როლი და დანიშნულება სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. პირუთვნელი ისტორიის შედგენისათვის, ი. ჯავახიშვილის აზრით, აუცილებელი იყო შეგნება იმისა, რომ წარსული ცოდნა მისაბამად კი არ არის საჭირო, არამედ ჩვენივე საჭიროებისთვის, ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის. სამეცნიერო შრომის შედგენისათვის ი. ჯავახიშვილს უპირველესად საჭიროდ მიაჩნდა პირველწეროების ყოველმხრივი შესწავლა, ავტორის აზრის წარმოჩენა და მხელოდ ამის შემდეგ საკუთარის ჩამოყალიბება. მეცნიერი პირდაპირ მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო მომავალი მკვლევარები ვერ პოულობდნენ მათთვის აუცილებელ ინფორმაციას. კიდევ უფრო ცედი ის იყო, რომ მათ უპე გაპეტებულის თავიდან გაპეტება უხდებოდათ; ამით, ი. ჯავახიშვილის აზრით, „ინტერესულ ური ენერგია ნიავდებოდა“. აქვე მეცნიერი მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ერთი და იგივე თხზულება, ფოლკლორული ჩანაწერი და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები რამდენჯერმე იძებდებო-

და. სამეცნიერო წრის წევრები ი. ჯავახიშვილის მითოებით სწავლობდნენ საქართველოს ისტორიას, ენთამეცნიერების, ფოლკლორის, სოფლის ცხოვრების ამსახველ მასალებს, ადგენდნენ სამეცნიერო ნაშრომებს. ი. ჯავახიშვილი ცდილობდა, წრის წევრებისთვის ისეთი ოქმების შერჩევას, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ, ეწარმოებინათ სიღრმისეული კვლევა. დიდი და ფართო ოქმების დამუშავება, წრის ხელმძღვანელის აზრით, წრის წევრებს სარგებლობას ვერ მოუტანდა, ვიწროდ შერჩეული კვლევა-ძიებანი საუკეთესო საშუალებად უნდა იქცეს ნამდვილი მეცნიერული ნაშრომის შედგენისათვის. ახალგაზრდა მკვლევარნიც ამ გზით უფრო ადვილა შეეჩვევიან სამეცნიერო მუშაობის „ფაქტება და მკაცრ მეთოდებს“. ი. ჯავახიშვილი წრის წევრებს, როგორც, მომავალ მეცნიერ-მკვლევარებს წვრთნიდა და ზედმიწვნით ასწავლიდა მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს. მისი აზრით, მეცნიერის მოდგაწეობა მძიმეა ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით; ამ სიძნელეთა გადალახვისათვის საჭიროა ჩასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე იმთავითვე შეუდგა ქართული პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენას. თავიდანვე დაიგეგმა საქართველოში 1852-1910 წლების გამოცემები პერიოდული გამოცემების ანალიტიკური დამუშავება. თვითონ ი. ჯავახიშვილი იძლეოდა ასეთი მუშაობის შესანიშნავ მაგალითს. მან თავისი ხელით აღწერა, ჯერ კიდევ სტუდენტმა, გაზეთ „ივერიის“ 1866-1896 წლების სტატიები, შეადგინა მათი შინაარსი და მოამზნა და წიგნში შესატანად. აღნიშნული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული დამუშავება წრის წევრებმა დაიწყეს 1907 წელს და დასრულება 1912 წელს. ბიბლიოგრაფიაში აღინუსა უველა სახის გამოქვეყნებული სტატია, კორესპონდენცია, რეცენზია, ინფორმაციული ხასიათის მასალა, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, მეთაური წერილები. აღწერილი სტატიები დაიყო გარკვეული თემატიკის მიხედვით და მომზადდა გამოსაცემად. „ქართული ბიბლიოგრაფია“ 6. მარის შეამდგომლობით გამოსაცემად გადაეცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის. ბიბლიოგრაფია გამოიცა ერთი საუკუნის წინათ, 1916 წელს. წიგნის წინასიტყვაობაში ი. ყიფშიძე ახასიათებდა ნაშრომის სტრუქტურას, მის დანიშნულებას სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ბიბლიოგრაფიაში აღწერილი სტატიები დაჯგუფებულია 9 განყოფილებაში. სტატიების აღწერა


რილობა შეიცავს ძირითად ელემენტებს: ავტორი, სათაური, გამოქვეყნების წერო, წელი და ნომერი. განკუთვილებაში აღწერილი მასალა განლაგებულია ანბანურ რიგზე. ბიბლიოგრაფიაში გახსნილი იყო შინაარსი ისეთი ქართული პერიოდული გამოცემებისა, როგორებიცაა: „დროება“, „ივერია“, „ნაკადული“, „მნათობი“, „ჯეჯილი“, „განათლება“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „აკაკის კრებული“ და სხვა გამოცემები. სულ 160 გვერდიან „ქართულ ბიბლიოგრაფიში“ წარმოდგენილია 2462 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი. ნაშრომში პირველად აღინუსხა ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, მიხეილ თამარაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ხ. წერეთლის, თემო სახოვას, ნიკო მარის, მ. ჯანაშვილის, რაფიელ ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის და სხვა გამოჩენილ მეცნიერობა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ გამოქვეყნებული მასალები. ბიბლიოგრაფიას თან დაერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა სამიებლები. „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“ აღიწერა 50-მდე სახელწოდების ქართული პერიოდული და გრძელდებადი გამოცემა.

ქართული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედეგნის აუცილებლობი შესახებ წერდნენ ი. ჯავახიშვილი და ა. შანიძე 1913 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში, სადაც ავტორები მიმართავდნენ საქართველოს წიგნის გამომცემლობებსა და ქურნალ-გაზეთების რედაქციებს, რათა მათ ყოველწლიურად გამოექვეყნებინათ თავიანთი პუბლიკაციების სარჩევი (ნუსხა) და ამით ხელი შეეწყოთ მეცნიერული მუშაობის სრულყოფილად წარმართვისათვის. ორივე ცნობილი მეცნიერი მიუთითებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე მკვლევარმა უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ რა არის გაკეთებული წინათ, რათა თავიდან ავიცილოთ წინანდელი შეცდომები. ჩვენს ცხოვრებას, მეცნიერობა აზრით, ნაკლებად ეტყობა ცვლილებები - არ ვიცით, რას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, მამები, მრმავალ თაობებს არ ეცოდინებათ, რას ვაკეთებოთ ჩვენ, ამჟამინდელი მკვლევარები. ყოველგვარი მეცნიერული შრომა წარუმატებელი იქნება, თუ არ ემყარება წინანდელ ცოდნას; უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რაც დაწერილა და გაკეთებულა.

ამისათვის საჭიროა ბიბლიოგრაფია, წერებ მიმართვის ავტორები, ბიბლიოგრაფია, სრული და უნაკლო. წერილის ავტორები მიმართავენ შესაბამის გამომცემლობებსა და რედაქციებს, ყოველწლიურად შეადგინონ თავიანთი გამოცემების შინაარსი. ქართული წიგნების ბიბლიოგრაფიის ასაქმების საქმე, მათი აზრით, სხვაგვარად უნდა მოეწყოს. საჭიროა, ყველა გამომცემლობამ სამ-სამი ცალი დაუთმოს, გადასცეს ეროვნულ მუზეუმებს თბილისსა და ქუთაისში. ასეთი მიღებობით ქართულ გამოცემებს ერთად მოვუყრით თავს და ადვილი იქნება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა. ასეთი მიღებობა ჩვენს მეც-

ნიერებსა და მწერლებს დიდ სამსახურს გაუწევენ და ერთგვარად მოწესრიგდება ქართული წიგნების შესახებ ინფორმაცია.

როგორც ცნობილია, პეტერბურგის ქართველ სტუდენტობით სამეცნიერო წრის მიერ მომზადდა და გამოიცა 2 წიგნი. 1915 წელს თბილისში დაიბეჭდა წრის მიერ მოზმადებული „ერტბული“, რომლის წინასიტყვამიც ი. ჯავახიშვილი ერთხელ კიდევ ამახვილებს ეურადღებას ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ. აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით აუცილებელია ქართულ ქურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების აღნუსხვა და სისტემატიზებული ნუსხის შედგენა, რათა ქართველი მეცნიერის მუშაობა გაადგილდეს და მან ხელმეორედ არ გააქეორდის, რაც უკვე გაკეთებულია.



„სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის მიმართვა ერთგვარი მოწოდება-მანიფესტი და საპროგრამო წერილია ქართული ბიბლიოგრაფიის მეცნიერულ ნიადაგზე წარმოებისათვის. მეცნიერობა მიერ ხაზი იყო გასმული ბიბლიოგრაფიის შედეგნის პრიცნიპებზე - რაც შეიძლება ზუსტი, სრული და უნაკლო. ეს პრიცნიპები შემდგომში საფუძვლად დაედო საქართველოში გამოცემულ სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის პრიცნიპები, რომლებიც ასე ლაპონურად და ნათლად ჩამოაყალიბია ივანე ჯავახიშვილმა მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვი, საფუძვლად დაედო საქართველოში ბეჭდური პროდუქციის ბიბლიოგრაფიორების სამუშაოებს. ბიბლიოგრაფიულ მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხასიათი და დანიშნულება მიეცა გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან. აქვეამ საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოში სავალდებულო ეგზემპლარების ბიბლიოთეკებისათვის გადაცემის საკითხს შეეხო ექვთიმე თავაიშვილი. მან საქართველოს დამფუძნებელთა პრეზენტ 1919 წელს განსახილველად გაიტანა კანონპროექტი სავალდებულო ცალების შესახებ. 1924 წელს


დაარსდა სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული დაწესებულება - საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა. (გაუქმდა 2006 წელს). პალატა იმთავოთვე შეუდგა საქართველოში და უცხოეთში გამოცემული ქართული წიგნების ძიებას, გამოვლენას და მათ აღწერილობას. წიგნის პალატამ ამ სახელმწიფო უცხოეთში მნიშვნელობის ამოცანას დირსეულად გაართვა თავი და 1941-1964 წწ. გამოსცა „ქართული წიგნი“: ბიბლიოგრაფია 3 ტომად. სამივე ტომში აღირიცხა ქართულ ენაზე საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული ქართული წიგნები 1629-1950 წლების პერიოდისა. სამტომეული, როგორც ქართული წიგნის რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი წარმოადგენდა უნივერსალური შინაარსის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნიმუშს, რომელიც თანამედროვე ეტაზედაც ინარჩუნებს მეცნიერული მუშაობის ფუძემდებლურ საფუძველს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი ტომის შედგენაში პროფესიონალი ბიბლიოგრაფებს კონსულტაციებს უწევდნენ ცნობილი მეცნიერები: ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, პ. პეპლიძე, ს. ჯანაშია და სხვები.

ქართული წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობისა და სისტემატიზაციის პარალელურად, წარმოებდა ქართული პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა. სამუშაოების აწარმოებდნენ საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო, მოგვიანებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობითი (შემდგომში ქართველობითი) განყოფილების მუშაობა. ამ დაწესებულებაში იმთავოთვე ჩამოყალიბდა ქართველ ბიბლიოგრაფითა კვალიფიციური სკოლა. 1940-1944 წწ. გამოიცა აღნიშნული ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი „ქართული შურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ 3 ტომად. სამივე ტომში აღირიცხა ქართული შურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული მასალები 1832 წლიდან 1905 წლამდე. შურნალებისა და კრებულების ბიბლიოგრაფიული დამუშავების შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკამ გააგრძელა ქართული გაზეობის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სამუშაოები. 1952-1975 წწ. გამოიცა „ქართული გაზეობის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 6 ტომი, 8 ნაკვეთად. ბიბლიოგრაფიაში აღიწერა ქართულ გაზეობებში გამოქვეყნებული მასალები 1819-1904 წლების პერიოდისა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული პერიოდული და გრძლდებადი გამოცემები ანალიტიკური წესით დამუშავებულია მათი პირველი გამოცემებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. ბიბლიოგრაფიული სამიებლების ტომებზე მუშაობდნენ ცნობილი ბიბლიოგრაფები,

წიგნების მკვლევარები, რომელთაგან პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ: თ. მაჭავარიანი, დ. კასრაძე, მ. მელაძე, კ. რამიშვილი, ა. კავკასიძე, ვლ. ჯორჯაძე, გ. ბაქრაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გიორგაძე, გ. გურგენიძე, თ. დონდუშა და სხვები, რომელიც ბიბლიოგრაფიული სიზუსტით აღრიცხეს აღნიშნული პერიოდის პირველწელის მასალები და ამით დირსეული კვალი დატოვეს ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიაში.

ქართული წიგნისა და პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები ასეთი მოცულობითა და ტომეულების სახით ადარ გამოცემულა მოდევნობის პერიოდში. საქართველო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აგრძელებენ სხვადასხვა ტიპისა და სახის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების გამოცემას. გამოცემულია დარგობრივი, თემატური და სხვა სახის ბიბლიოგრაფიული საძიებლები. 1978 წლიდან ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ დაარსდა ქართველ მეცნიერთა ბიობიბლიოგრაფიული სერია, რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება. ქართველობრივის საკითხით დაინტერესებულ მკვლევარების დიდ დახმარებას უწევს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველობრივის განყოფილების მიერ შედგენილი



ანოტირებული ბიბლიოგრაფიული სამიებლი საქართველოს აარლამენტი ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა საქართველოში 1737-1917 წწ. რუსულ ენაზე გამოცემული რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი „Национальная библиография Грузии: книги на русском языке“, გ.1. ბიბლიოგრაფია შეიცვას საქართველოში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნების 12 000-ზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს.

საქართველოში სახელმწიფო ბიბლიოგრაფული რეგისტრაციისა და პალატის დახურვის (2006) შემდეგ ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოება დაევალა საქართველოს პარლამენტის ერივნულ ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტი, რომელიც შეუდგა ქართული წიგნების სახელმწიფო რეგისტრაციისა და „წიგნის მატიანეს“ მომზადებას მისი ბეჭდური სახით გამოსაცემად. დაინერგა ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურის მონაცემთა ბაზების წარმოება. დეპარტამენტის ძალებით დაიწყო ქართული შურნალებისა და გაზეთების ანალიტიკური დამუშავება; ორივე ბაზა განთავსდა ინტერნეტში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 1990-იანი წლებიდან აწარმოებს ქართლი წიგნებისა და ავტორეფიურატების ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზებს. ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგი ამჟამად შეიცავს 217,000-ზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს. შექმნილია და სისტემატურად ივსება ავტორეფიურატების, დისერტაციების, პლაკატების, ესტამპების, ფურცლოვანი და სანოტო გამოცემების, კომპაქტ-დისკების მონაცემთა ბაზები, რომლებიც ხელმსაწვდომია ეროვნული ბიბლიოთეკის გებსაიტზე.

აღნიშნული ელექტრონული კატალოგები არ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ელექტრონულ ეროვნულ ბიბლიოგრაფიად. ეროვნული ბიბლიოგრაფიის სრულყოფილი სახით წარმოებისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობისა და ფაქტორის გათვალისწინება:

1. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ თავისი რესურსებით უნდა უზრუნველყოფს ეროვნული ბიბლიოგრაფიის რაც შეიძლება ზუსტი და დროული წარმოება; სამისაოდ მას გააჩნია იურიდიული ბაზა „საქართველოში სავალდებულო ეგზემალარის შესახებ“ კანონის სახით;

2. ქართულ ენაზე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შესაბამისაობა საერთაშორისო სტანდარტებთან ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით;

3. რეტროსპექტიული და მიმდინარე სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული რეგისტრაციის ორგანოების მატიანების პერიოდული გამოცემების უზრუნველყოფა;

4. მაქსიმალური სიზუსტით უნდა აღირიცხოს საქართველოში და უცხოეთში გამოცემული ბეჭდური პროდუქცია ქართულ ენაზე და იმ ეთნიკური უმცირსობების ენაზე, რომლებიც ცხოვ-

რობენ საქართველოში.

5. ასევე უნდა აღირიცხოს საქართველოს შესახებ საქართველოში და უცხოეთში გამოცემული ბეჭდური თუ სხვა სახის პროდუქცია.

6. ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზები, როგორც ქართული წიგნის უნივერსალური რესურსი თპერატიულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებელთა ყველა სოციალური ჯგუფისათვის.

7. ეროვნული ბიბლიოგრაფიის რეალიზაციისა და ხელმისაწვდომობის მირთად ფორმად მინეულ უნდა იქნეს ბიბლიოგრაფიული ნუსხებისა და კატალოგების, გზამკვლევების პერიოდულად გამოცემა ბეჭდური სახით;


8. ეროვნული ბიბლიოგრაფიის მიმდინარე მაჩვენებლების ბეჭდური სახით გამოცემა ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინფორმაციით უზრუნველყოფას, მეორეს მხრივ, ასეთი გამოცემები მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება ბიბლიოთეკების მიმდინარე დაკომპლექტებისათვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ამჟამად ფლობს ყველაზე მდიდარ და შედარებით სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოში გამოცემული ბეჭდური თუ სხვა სახის მასალების შესახებ. ბიბლიოთეკის მონაცემთა ელექტრონული ბაზები იძლევა იმის საფუძველს, რომ ბიბლიოთეკამ არასრულყოფილი, მაგრამ მეცნიერ-მკვლევართათვის საჭირო დონეზე აწარმოოს ეროვნული ბიბლიოგრაფია. მიმდინარე სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების პერიოდულად გამოცემა თავდაპირველად

არ იქნება „ზუსტი და სრული“, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი ისურვებდა, მაგრამ ასეთი გამოცემები ერთგვარად გაამართლებდა ეროვნული ბიბლიოთეკის კანონით განსაზღვრულ ფუნქციას.

ლიტერატურა:

1. კრებული/ი. ჯავახიშვილის რედ-ით. - თბ., 1915. - 202გვ.
2. ქართული ბიბლიოგრაფია. - თბ., - 1916. - 160გვ.
3. გაზ. „სახალხო ფურცელი“ - 1913. - №802.
4. ჯორგენაძე ს. ცხოვრება და დვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. - თბ., 1984. - 612 გვ.
5. ივანე ჯავახიშვილი; ბიობიბლიოგრაფია. - თბ., 1976. - 142 გვ.
6. გორგიშვილი ია. გვჭირდება თუ არა ეროვნული ბიბლიოგრაფია? - თბ., 2006. - 28 გვ.



მანა მიქაბეგიძე

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების რუსულენოვანი პრეპულის ორი ვერსია

1 937 წელს მოსკოვში გამოვიდა გადლაპტიონ ტაბიძის ლექსების „რჩეული და ლექსები“ (Галактион Табидзе (Народный поэт Грузии). Избранные стихи.- М.: Сов. писатель.). ეს იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემული პოეტის ლექსების პირველი კრებული რუსულ ენაზე. ლექსები თარგმნეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, ბორის ბრიკმა, ნიკოლაი ტიხონოვმა და სხვებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო დიდი მოცულობის გამოცემა, გ. ტაბიძისათვის მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. წიგნში შევიდა სხვადასხვა დროს (1908-1918, 1923-1927) დაწერილი და სხვადასხვა წიგნში („ჯონ რიდი“, „ეპოქა“, „ააციფიზმი“, „რევოლუციური საქართველო“) დაბეჭდილი ლექსები, მათ შორის „მთაწმინდის მოვარე“, „მე და დამე“, „ეფემერა“, „წუხელი, დამით ქარი დაჭროდა“ და სხვ.

წიგნის რედაქტორი იყო ცნობილი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი. მხატვრულად გააფორმა საქართველოს სახალხო მხატვარმა უჩა ჯავარიძემ, ხოლო კრებულის წინასიტყვაობა დაწერა ახალგაზრდა კრიტიკოსმა ბენიტო ბეაჩიძემ. სწორედ ბენიტო ბეაჩიძის პირველება გახდა მიზეზი იმისა, რომ გალაპტიონ ტაბიძის წიგნი გამოცემიდან მცირე ხანში ხელმეორედ ჩაბრუნებულიყო სტამბაში დასაბეჭდად, ოდონდ ახლა სხვა პეტორის წინასიტყვაობით. საქმე იმაშია, რომ ახალგაზრდა ლიტერატორი, ბენიტო ბეაჩიძე, რომელიც მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ბენიტო (მირიან) მიხეილის ძე ბეაჩიძე დაიბადა 1905 წელს ხარაგაულის რაიონში. ბოლშევიკური იღეოლოგით გატაცებულმა თავისი ლიტერატურული ნიჭი პოლიტიკურ ტალღაზე გადაიტანა. იგი იმ დროისათვის გაბატონებული შეხედულების შესაბამისად, ლიტერატურას, მწერლობას კლასობრივ ჭრილში განიხილავდა. ამიტომ უპირატესობას ანიჭებდა პროლეტარიატის წიაღიდან წამოსული მწერლების შემოქმედებას. რევოლუციური მგნებელებით აღტაცებულ ახალგაზრდა კაცს, როგორც ჩანს, მოელი გულწრფელობით სჯერდა პროლეტარიატის განსაკუთრებული მისის. აქედან გამომდინარე, პროლეტარულ მწერლობასაც იგი მიიჩნევდა ახალ და კველაზე მნიშვნელოვან ეტაპად მსოფლიო სააზროვნო სივრცეში.

ბ. ბეაჩიძემ 1924 წელს, 19 წლის ასაკში ქუთაისში შექმნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის განყოფილება, მომდევნო წელს კი - თბილისში ჩამოაყალიბა მწერლების ჯგუფი

„პროლემაფი“ (პროლეტარულ მწერალთა ახალი ფორმი) [4]. ორგანიზაციის დასახელებაში სიტყვა „ფრონტის“ ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა აქვს და მიანიშნებს, თუ როგორი აგრესიული ფორმით ცდილობდნენ „პროლეტაციულები“ საკუთარი ლიტერატურული შეხედულებების დამკვიდრებას. მშვიდობიანი შემოქმედებითი პროცესის ნაცვლად „პროლეტარულ მწერლობაში“ იწჩევდნენ მოქმედების ბოლშევიკურ სტილს. მაგალითად, ისინი მოითხოვდნენ მათვის მიუღებელი, მავნებლური, ე.წ. „თავადახნაურული“ წიგნების მიმართ რეპრესიების გატაცებას. 1929 წელს ურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ ბ. ბეაჩიძე წერდა: „ჩვენ მოგითხოვთ სკოლის სამკითხველოები ხელახლად იქნეს განწმენდილი ძველი სახარებებიდან და მამაშვილური პატრიოტიზმით სავსე წიგნებიდან“ [3].

თავისი აქტიურობით ბ. ბეაჩიძე გასცდა საქართველოს სახელმწიფოს. ჯერ 1926 წელს აირჩიეს საქართველოსა და ამიტრქავგასის პროლეტარულ მწერლობის ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების მდივნად, ხოლო რამდენიმე წლის შემდგებ გადაიკვანეს მოსკოვში კომუნისტური აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. თუმცა მოსკოვში დიდხანს არ მოუწია ყოფნა. 30-იანი წლების დასაწყისში დაიწყო პროლეტარული მწერლობის ორგანიზაციების დაშლა და მათი აქტივისტების, მათ შორის ბენიტო ბეაჩიძის, მწვავე კრიტიკა. 1937-იანი წლების დიდი რეპრესიების პერიოდში საბჭოთა კავშირის მასშტაბით განხორციელებულ წმენდას ბ. ბეაჩიძეც შეეწირა. მას დანაშაულად ჩაუთვალიეს სწორედ მისი თავისი მოდელი ბრძოლა ლიტერატურული კომუნისტური იღეოლოგის დამკვიდრებისათვის. ხელისუფლებამ თითქვეს ხელები დაიბანა და ბეაჩიძისნაირ ენთუზიასტებს გადააძრალა ქართული სამწერლო სახოგადოების დატერორიზმი. ბ. ბეაჩიძემ სულ 32 წელი იცხოვრა ამქვეყნად. შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი მან ბოლშევიკური იღეალების დაცვისათვის ბრძოლაში გაატარა. თავისი მწვავე კრიტიკით იმ თანამედროვე მწერლების მიმართ, რომლებმაც თავიდანვე არ გაიზიარეს პროლეტარული მწერლობის იღებები (მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი), ფაქ-



ტობრივად ხელი შეუწყო მათ დევნასა და საბოლოოდ დაღუპვას. მაგრამ პ. ბუაჩიძე უკან არ იხევდა და როგორც ჩანს, მტკიცედ სწამდა საკუთარი მრწამსის ჭეშმარიტებისა.


პ. ბუაჩიძემ სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა გალაკტიონ ტაბიდის მიმართ და მას „რევოლუციონური ეპოქის ენთუზიასტი“ უწოდა [1]. იგი გალაკტიონს მიიჩნევდა „ქართული მწერლობის ოქტომბრის წინამორბედი თაობის უნიჭირეს წარმომადგენლად, ძლიერ შემოქმედად“, რომელმაც იგრძნო, რომ რევოლუციით იწყება ახალი ეპოქა. ამ წერილის მიზანი არ არის გ. ტაბიდის შეხედულებების შეფასება სოციალისტური ლირებულებების მიმართ, უბრალოდ, დავძნო, რომ პ. ბუაჩიძის ასეთი ლმობიერი დამოკიდებულება გ. ტაბიდისადმი განაპირობა პოეტის შემოქმედების იმ ნაწილმა, რომელშიც იგი ერთგვარად თითქოს ხარჯს იხდის ახალი და დამანგრევებული ძალის წინაშე (მაგ. პოემა „ეპოქა“).

თუმცა, პ. ბუაჩიძის თქმით, გალაკტიონი თავიდანვე არ მისულა რევოლუციურ იდეებამდე. კრიტიკოსი წერდა: „გალაკტიონ ტაბიძე დამშრალი და უძარდვო წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენერები იყო. სახორციელო, უსასოობა, გადაგვარება, დაცემულობა, მეშჩანობის შიში, სევდა, „კოფნა-არყოფნის“ ტვინ-ნაღრძობი ფილოსოფია, ანარქია, ტირილი ბოჰემურ განწყობილებათა, ლოთური ბოდვა, გალაკტიონ ტაბიძის ნიჭირი სიმღერების „ზურმუხტი და ლალი იყო“ [1].

მიუხედავად იმისა, რომ პ. ბუაჩიძემ ასეთი უარყოფითი შეფასება მისცა პოეტის რევოლუციამდელი ცხოვრების სტილსა და შემოქმედებით რევენტს, კრიტიკოსისათვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გალაკტიონის ე.წ. „შემობრუნება“ რევოლუციური ლირებულებებისადმი. მისი შეხედულებით, გ. ტაბიძის პიროვნებაში მოხდა „რადიკალური გარდატეხა. ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა ელვარებამ დაიპყრო და აღაფროვანა პოეტის სულისკვეთება. ის სახეიკად შეებრძოლა საკუთარ თავს, დეკადანს, გახრწნას, უსასოობას, წუწუნს“.

პ. ბუაჩიძემ გ. ტაბიძეს მიუძღვნა რამდენიმე სტატია: რევოლუციონური ეპოქის ენთუზიასტი (კომუნისტი, 1930, 26 აპრილი, 96), გალაკტიონ ტაბიძე (კომუნისტი, 1933, 9 ივნისი, 156, გვ.3). პ. ბუაჩიძის სტატია გალაკტიონის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნდა 1936 წელს მოსკოვში გამომავალ გაზეთში «ლიტერატურული გაზეთში» (18/581, 27 მარტი).

ამიტომ, როდესაც გადაწყდა გ. ტაბიძის რჩეული ლექსების გამოცემა მოსკოვში, გასაგები მიზეზების გამო, წინასიტყვაობის დაწერა დაავალეს პ. ბუაჩიძეს. გაზეთ „ლიტერატურნაია



გაზებაში“ გამოქვეყნებული მისი სტატია მცირე შესწორებებით დაერთო გ. ტაბიძის მოსკოვურ გამოცემას წინასიტყვაობის სახით. წიგნის დაბეჭდვის ბრძანებას ხელი მოეწერა 1937 წლის 14 ოქტომბრის, რაც მითითებულია გამოცემული ეგზემდარების გამოსასვლელ ცნობებში ტირაჟის, შეკვეთის ნომრისა და სხვა მონაცემების გვერდით. პ. ბუაჩიძე მაღვევე დააპატიმრეს და წიგნის გავრცელება შეაჩერეს. ახალი წინასიტყვაობა, რომლის ავტორია პოეტი და მთარგმელი ბორის ტურგანვი, დათარიდებულია იმავე წლის ივნისით. ხოლო დაბეჭდვის ბრძანებას ხელი მოეწერა 14 აგვისტოს.

ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების (Избранные стихи, М., 1937) ორივე გამოცემას ერთნაირი დიზაინი (ლურჯი ყდა), გვერდების რაოდენობა (128 გვ.), შინაარხისა და საგამომცემლო ცნობები აქვს. ერთადერთი, ოვალისათვის შეუმნენებელი განსხვავება, თუ არ ჩავთვლით წინასიტყვაობებს, დაბეჭდვის ხელმოწერის თარიღებია. ამიტომ, ბიბლიოთეკების ფონდების გამოხმირვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს გ. ტაბიძის ამ გამოცემის წინასიტყვაობებს. სხვა შემთხვევაში ორივე ვერსია დუბლებურ ცალად შემოღება იქნება მინეული და შემთხვევით ჩამოიწეროს სწორედ ბენიტო ბუაჩიძის წინასიტყვაობით დაბეჭდილი ვერსია, რომელიც დაფინანსდება ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენიტო ბუაჩიძე. რევოლუციონური ეპოქის ენთუზიასტი : [გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ] // კომუნისტი. - 1930. - 26 აპრილი. - გვ. 3
2. ბენიტო ბუაჩიძე. გალაკტიონ ტაბიძე // კომუნისტი. - 1933. - 9 ივნისი. - გვ.3.
3. ბენიტო ბუაჩიძე. სკოლის სამკითხველოების შესახებ // „პროლეტარული მწერლობა“. - 1929. - № 5. - გვ. 67-68.
4. რევაზ კვერენჩისილაძე. პროლეტარულ მწერლობა თავგაცი // რ. კვერენჩისილაძე. წამების გზა: დახვრება. გადასახლება. დევნა. 1. - ობ., 1999. - გვ. 106-115
5. ტაბიძე, გ.ვ. Избранные стихи / Галактион Табидзе, Народный поэт Грузии ; Пер. под ред. Н. Тихонова ; Вступ. статья Б. Буачидзе ; Худ. У. Джапаридзе. - М. : Советский писатель, 1937. - 128 с.;
6. ტაბიძე, გ.ვ. Избранные стихи / Галактион Табидзе, Народный поэт Грузии ; Пер. под ред. Н. Тихонова ; Вступ. статья Б. Турганова; Худ. У. Джапаридзе. - Москва : Советский писатель, 1937. - 128 с.;

ბიბლიოთეკათმცოდნეობა

ნიც ბერძნი

ნიგბი, პითევისა და ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე

ნილ გეიმანი - ინგლისელი მეცნიერულ-ფანტასტიკური და უერტეზის განრის მოთხრობების, რომანების, კომიქსებისა და ფილმების ავტორი. მის გამორჩეულ ნამუშევართა შორისაა კომიქსების სერია „THE SAND-MAN“, „STARDUST“ და „AMERICAN GODS“. 2009 წელს გეიმანმა ნიუბერის მედალი მიიღო ნამუშევრისთვის „THE GRAVEYARD BOOK“. მისი თაყვანისმცემლების დიდი ენთუზიაზმის გამო მას ხშირად ლიტერატურული სამყაროს „როკ გარსევლავს“ უწოდებენ.

S დამიანისთვის მნიშვნელოვანია, გა- გაგებინოს, ვის მხარეზეა, რატომ, და არის თუ არა ის მიკერძოებული. ეს საკუთარი ინტერესების დაცვაა. მეც იმავეს ვაპირებ. მსურს, გესაუბროთ ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე, დავამზეცო, რომ მხატვრული ლიტერატურა და კითხვა საკუთარი სიამოვნებისთვის მნიშვნელოვანია. ამ წერილით შევეცდები, აგხსნა, თუ რატომ მგონია ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების საქმე მნიშვნელოვანი და რატომ უნდა შეგინარჩუნოთ ერთიცა და მეორეც.

მე მიკერძოებული მხარე რომ ვარ, აშკარაა. ვარ მწერალი, ვწერ მხატვრულ პროზას, ვწერ დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც. 30 წელია ეს საქმე მარჩენს, ჩემი სიტყვებით გამოვიმუშავებ ფულს, ძირითადად, წინადაღებების შეთხვითა და ქადალდზე გადატანით ვჭამ ჟურს. ჩემს ინტერესებში შედის, რომ ხალხმა მუდმივად იკითხოს მხატვრული ლიტერატურა, ხოლო ბიბლიოთეკებმა და ბიბლიოთეკარებმა გააგრძელონ მუშაობა, რათა ადამიანებს კითხვის სიყვარული არ გაუქრეთ.

მოკლედ რომ ვთქვაო, მე მიკერძოებული მწერალი გახლავარო. მაგრამ გაცილებით, უფრო მეტადაც კი, მიკერძოებული მკითხველი ვარ და კიდევ უფრო მეტად მიკერძოებული ბრიტანეთის მოქალაქე.

ამ წერილში ვისაუბრებ იმ ცვლილებებზე, რომლებსაც იწვევს კითხვა ადამიანებში და თავად კითხვის პროცესსაც მიმოვინილავ. ვისაუბრებ, თუ რატომ მგონია კითხვა კარგი, რატომ აკეთებენ ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები კარგ საქმეს: ისინი გვასწავლიან ერთ რამეს, რომ ყველა წიგნი მოქმედებს ჩვენზე, რაც კი წაგვიკითხავს.

ერთხელ, როდესაც ნიუ იორკში ვიყავი, მოვუსმინე საუბარს კერძო ციხეების მშენებლობის შესახებ - აშშ-ში, რომელიც უსარმაზარი, ზრდადი ბიზნესია. ციხეების მშენებლობასაც

სჭირდება დაგეგმვა - რამდენი საკანია საჭირო მომავალში? რამდენი პატიმარი ეყოლება ქვეყანას, დაგუშვათ, 15 წლის შემდეგ? აღმოჩნდა, რომ ამის განსჭვრება საკმაოდ მარტივია. მომავალი პატიმრების რაოდენობა ერთი აღგორიობის მეშვეობით ანგარიშდება - ის ეფუძნება 10-11 წლის წერა-კითხვის არმცოდნე ბავშვების რაოდენობას და იმ ბავშვთა რაოდენობას, რომლებსაც არ შეუძლიათ კითხვა მხოლოდ გართობის მიზნით.

რა თქმა უნდა, ეს ციფრი აუცილებლად ჭეშმარიტი არ არის. ვერასოდეს დავასკვნით, რომ განათლებულ საზოგადოებაში კრიმინალი არ არსებობს, თუმცა თანხვედრა, რომელიც ამ ფორმულაში შეინიშნება, დამატიქრებელია. ამ თანხვედრიდან რამდენიმე ძალიან მარტივ ჭეშმარიტებამდე დადის. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები მხატვრულ ლიტერატურას გასართობად კითხულობენ.

მხატვრული ლიტერატურა ორი რამისთვისაა საჭირო. პირველ რიგში, ესაა ნარკოტიკი კითხვის პროცესში. იმის დაურკებელი სურვილი, გაიგო, შემდეგ რა მოხდება, ფურცლის გადაშლის სურვილი, კითხვის გაგრძელების სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია, როცა ვიდაც გასაჭირდება და შენ ძალიან გაინტერესებს ბოლოს რა მოხდება... დისხ, ეს ნამდვილად დიდი სიამოვნებაა. მხატვრული ლიტერატურა გასწავლის ახალ სიტყვებს, გთავაზობს ახალ იდეებს...

კითხვა სასიამოვნოა. როდესაც ამას გაიგებ, მზად ხარ ყველაფერი იკითხო. კითხვა გასაღებია. რამდენიმე წლის წინ ძალიან პოპულარული იყო იდეა, რომ ჩვენ პოსტ-კითხვის ერაში ცხეოვრობთ, სადაც წაკითხულიდან აზრის გამოტანის საშუალებამ მნიშვნელობა დაკარგა. თუმცა, ამ თეორიამ დიდხანს ვერ იცოცხლა. და აი, რატომ: სიტყვები დღეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესშე: ამ სამყაროში მიმართულებას სიტყვებით ვიგებთ. ყველაზე მარტივი გზა, გავზარდოთ განათლე-

ბული ბავშვები, არის, ვასწავლოთ მათ კითხვა და ვანახოთ, რომ კითხვა სასიამოვნო გასართობია. ამის გაკეთება ადვილია, საკმარისია იპოვოთ წიგნები, რომლებიც თქვენს ბავშვებს მოსწონთ, მისცემ მათ საშუალება, იკითხონ.

არ არსებობს ბავშვებისთვის ცუდი წიგნი, ზედაპირული, არაფრისმომცემი საკითხავი. ყველა წიგნი კარგია. ყველა უანრი და ყველა ავტორი კარგია ბავშვებისთვის. კომიქსები დიდხანს იყო მიჩნეული ზედაპირულ საკითხავად, რომელსაც განათლებასთან კავშირი არ ჰქონია.

ჩემი აზრით, ეს სისულელე, სნობისში და იდიოტიზმია. არ არსებობენ ცუდი ავტორები ბავშვებისთვის. ისინი პოულობენ ისტორიებს, რომლებიც სჭირდებათ. ჩვენთვის გაცვეთოლი იდეები, მათთვის გაცვეთოლი არ არის, რადგანაც ისინი მათ პირველად ხედავენ. არ აუკრძალოთ ბავშვებს რადაცის კითხვა, რად-



განაც თქვენი აზრით ის ცუდი საკითხავია. წიგნი, რომელიც არ მოგწონთ, არის გზა წიგნებისკენ, რომლებიც საბოლოოდ მოგეწონებათ. თანაც, ბოლოს და ბოლოს, ყველას თქვენნაირი გემოვნება არ აქვს.

ზრდასრულებს, რომლებსაც მხოლოდ საუკეთესო სურო ბავშვებისთვის, შეუძლიათ სრულიად გაანადგურონ ბავშვის სიყვარული კითხვისადმი. აუკრძალეთ მათ იმის კითხვა, რაც სიამოვნებო, მიეცით კარგი, მაგრამ მოსაწყენი წიგნები, რომლებიც თქვენ მოგწონთ, მოიქციოთ 21-ე საუკუნის ვიქტორიანელივით, შეეცადეთ „გააუმჯობესოთ“ ლიტერატურა და ერთადერთი, რასაც მიაღწევთ, არის თაობა, რომლისთვისაც კითხვა მოსაწყენი და რუტინული პროცესია.

ჩვენ გვჭირდება ბავშვების „კითხვის კიბებზე“ შესმა. ყველაფერი, რისი წაკითხვაც მათ მოსწონთ, წაიყვანოთ მათ ნაბიჯ-ნაბიჯ განათლებისკენ. (ის არ ჰქნათ რაც მე ვქმნი: როდესაც ჩემმა 11 წლის ქალიშვილი და

შთI R კითხულობდა. „ოუ ეს მოგწონს, მაშინ ესეც შეგიყვარდება“ - გავიფიქრე მე და სტივენ კინგის „ჯერი“ მივეცი. ამის შემდეგ პოლი „მშვიდობიანი“ ლიტერატურის გარდა თინეიჯერობის ბოლომდე არაფერს კითხულობდა და დღემდე შეშინებულად მიუწოდეს, როდესაც სტივენ კინგის სახელს ვახსენებ).

მეორე, რასაც მხატვრული ლიტერატურა აკეთებს, არის თანაგრძნობის განვითარება. როდესაც ტელევიზორს უყურებ, ხედავ ამბავს, რომელიც სხვა ადამიანებს გადახდებათ თავს. წიგნში კი, ასოებისგან და რამდენიმე სასვენი ნიშისგან აგებ და ქმნი სამყაროს შენ და მხოლოდ შენ, საკუთარი წარმოსახვის გამოყენებით და პერსონაჟების თვალით უყურებ და განიცდი; სტუმრობ აღიღებს და სამყაროებს, რომელთა შესახებაც მანამდე არასოდეს გსმენია. იაზრებ, რომ ყველანი შენსავით არიან. შენ სხვის თავში ცხოვრობ და საკუთარ სამყაროში დაბრუნებისას ცოტაო შეცვლილი ხარ.

თანაგრძნობა არის ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანებს აერთიანებს და გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ უფრო მეტი, ვიდრე საკუთარი თავით შეპყრიბილი ინდივიდები.

კითხვის პროცესში შეიტყობოთ რადაც ისეთს, რაც ცხოვრებისთვის აუცილებელია. ეს კი შემდეგში მდგომარეობს:

აუცილებელი არ არის, რომ სამყარო ისეთი იყოს, როგორიც დღესაა. შესაძლოა, ყველაფერი სხვანაირი გახდეს.

2007 წელს ჩინეთში ვიყავი, კომუნისტური პარტიის ნებადართულ პირველ სამეცნიერო ფანტასტიკისა და ფენტეზის კონვენციაზე. ამ კონვენციის დროს მაღალჩინოსან ჩინელ პოლიტიკოსს კითხე, „რა შეიცვალა? სამეცნიერო ფანტასტიკაზე დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ იყო, რატომ გაეციო ნებართვა მის ჩატარებაზე?“ პასუხი მარტივია, მითხრა მან. ჩინელები გენიალურად აკეთებენ საგნებს, რომლის გეგმებს სხვები ქმნიან. მაგრამ ისინი არ ახდენენ ინოვაციას და არ იგონებენ ახალ პროდუქტებს. ისინი არ იყენებენ წარმოსახვას. ამიტომაც მთავრობამ გააგზავნა დელებაციები შეერთებულ შტატებში, APPLE-ში, MICROSOFT-ში, GOOGLE-ში და იქ მომუშავე პერსონალს, რომლებიც მომავლის გამოგონებით არიან დაკავებულნი, დაუსვეს კითხვები მათი ცხოვრების შესახებ. ამ კითხვებიდან გაიგეს, რომ ყველანი ბავშვობაში სამეცნიერო ფანტასტიკას კითხულობდნენ.

მხატვრულ ლიტერატურას შეუძლია გზივნოს განსხვავებული სამყარო. გაგხადოს ის, რაც არასოდეს ყოფილხარ. მას შემდეგ, რაც ესტუმრები განსხვავებულ სამყაროებს, ვე-

რასოდეს დაქმაყოფილდები იმ ადგილით, სადაც გაიზარდე. შეუგუებლობა კარგი რამაა: მისი შეშვეობით ხალხს შეუძლია შეასწოროს და გააუმჯობესოს სამყარო.

სანამ ამ ოქმაზე ვარო, მინდა რამდენიმე სიტყვა ესკაპიზმზეც ვთქვა. ხშირად ამ ტერმინს „უარყოფით კონტენტში“ იყენებენ. თითქოს „ესკაპისტური“ მხატვრული ლიტერატურა იაფასიანი ოპიუმია, რომელსაც მხოლოდ „უგუნურები“ იყენებენ და ერთადერთი ფიქცია, რომელიც ბავშვებისთვის და ზრდასრულებისთვის მისაღებია, ეს მიმეტიკური [MIMETIC ლიტერატურა, რომელიც მკითხველის სამყაროს ყველაზე ნეგატიური ასპექტების არეკლას ახდენს.

თუ გამოუგად სიტუაციაში ხარ, არასასიამოვნო ადგილას, არასასიამოვნო საზოგადოებაში და ვიდაცამ ამ სიტუაციიდან დროებითი გამოსავალი შემოგთავაზაო, უარს იტყვით მასზე? ესკაპისტური ლიტერატურა ზუსტად ესაა: პროზა, რომელიც ადებს კარს, გიჩვენებს მზის სინათლეს, მიყავხარ ისეთ ადგილას, სადაც შენ აკონტროლებ სიტუაციას, ხალხს, რომლებთანაც ყოფნა მოგწონს (წიგნებში აღწერილი ადგილები ყოველთვის რეალურია, არ დაიგიწყოთ ეს) და რაც უფრო მნიშვნელოვანია, შენი „გაქცევის“ დროს, წიგნს შეუძლია მოგცეს ცოდნა სამყაროს შესახებ, მოგცეს აბჯარი და იარაღი: ნამდვილი საგნები, რომლებსაც შენ „ციხეში“-თან წაიღებ. უნარი, ცოდნა და ინსტუმენტები, რომლებიც „ციხიდან“ გაქცევაში რეალურად დაგეხმარება.

ტოლკინმა ყველას შეგვახსენა, რომ ერთადერთი ხალხი, ვინც გაქცევის წინააღმდეგია, ბადრაგები არიან.

კიდევ ერთი მეოთხი, თუ როგორ გაეუნადგუროთ ბავშვს წიგნის კითხვის სიყვარული, რა თქმა უნდა, წიგნების და მათი წაგითხვის ადგილების არარსებობაა. ამ მხრივ, მე გამომართლა. მშენებირი ადგილობრივი ბიბლიოთეკა მქონდა. ისეთი მშობლები მყავდა, რომლებიც შემეძლო დამერწმუნებინა, სამსახურში წასვლის დროს ბიბლიოთეკასთან ჩამოვაჭვი, ბიბლიოთეკარები კი ისეთები, რომლებსაც არ აღიზინებდათ პატარა, „უპატრონო“ ბავშვი, რომელიც ყოველდღე კატალოგში იქნებოდა და ეძებდა ყველაფერს, სადაც სულები, ჯადოქრობა და რაკეტები იყო ნახსენები. აი, მაშინ კი, როდესაც საბავშვო განყოფილებაში ყველაფერი წავიკითხე, ზრდასრულების განყოფილებას მივადექი.

კარგი ბიბლიოთეკარები მყავდა. უყვარდათ წიგნები და უყვარდათ, როგესაც მათ კითხულობდნენ. მათ მასწავლებს, როგორ შემეგეოთა

წიგნები სხვა ბიბლიოთეკებიდან, არ იჩენდნენ სხვის არაფერზე, რასაც ვკითხულობდი. როგორც ჩანს, მოსწონდათ უცნაური ბიტუნის ნახვა, რომელსაც კითხვა უყვარდა. მესაუბრებოდნენ წიგნებზე, რომლებსაც ვკითხულობდი, პოულობდნენ მსგავს წიგნებს და ყველანირად მეხმარებოდნენ. მეპყორობდნენ როგორც მკითხველს, რაც ნიშნავდა, რომ მეპყორობდნენ პატივისცემით. 8 წლის ასაკში პატივისცემით მოპყრობას შეჩვეული არ ხარ.

ბიბლიოთეკები თავისუფლებაა. თავისუფლება იყითხო. იდების, ურთიერთობების და აზრების გაცვლა-გამოცვლის თავისუფლებაა. აქ არის განათლება (პროცესი, რომელიც სკოლის ან უნივერსიტეტის დამთავრებასთან ერთად არ სრულდება), გართობა, უსაფრთხო ადგილი, ინფორმაციაზე სრული წვდომა.

ვშიშობ, 21-ე საუკუნის ადამიანებს არ ესმით ბიბლიოთეკების დანიშნულება. თუ წარმოიდგენ მას, როგორც, უბრალოდ, წიგნების თაროებს, მაშინ შესაძლოა მოგეჩვენოს, რომ ის ანტიკვარიატია, იმ სამყაროს ჩამორჩენილი ნაწილი, სადაც წიგნების უმეტესობა ციფრულ ფორმატშია ხელმისაწვდომი. ამ საკითხის ასე წარმოჩენისას ბიბლიოთეკის დანიშნულებას ფუნდებაზე ადგურად არასწორად ვუდგებით.

ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ინფორმაციის ბუნებიდან გამომდინარებას. ინფორმაციას აქვს თავისი ფასი, სწორი ინფორმაციის ფასი კი უზარმაზარია. კაცობრიობის მოელი ისტორიის განმავლობაში ადამიანი ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდა. მისი ცოდნა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და რაღაც დირდა: როდის დავოესოთ მარცვალი, სად ვიპოვოთ საჭირო საგნები, რუკები, ისტორია და ისტორიები. მათ კი, ვისაც ინფორმაცია გააჩნდა, შეეძლო მასზე ფასის დადება.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გადავედით ინფორმაციის სიმწირის მქონე ეკონომიკიდან ინფორმაციით გადატვირთულ ეკონომიკაზე. ერთ შმიდტის ოქმით, ჩვენ ყოველ თრ დღეში იმდექ ინფორმაციას ვქმნით, რამდენიც ადამიანობის დასაბამიდან 2003 წლამდე არსებობდა. უდაბნოში მცენარის პოვნის პრობლემა ჯუნგლებში საჭირო მცენარის პოვნის პრობლემით შეიცვალა. ამ სამყაროში ნავიგაციისთვის აუცილებლად დაგჭირდება დახმარება, რათა ვიპოვოთ ის, რაც მართლა გვჭირდება.

ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც ადამიანი ინფორმაციისთვის მიღის. წიგნები ინფორმაციული აისბერგის ზედა ნაწილს წარმოადგენენ. დღეს, ბიბლიოთეკებიდან უფრო მეტი ბავშვი თხოვდობს წიგნებს, ვიდრე რღებები - ეს წიგნები ყველა სახისაა: ქადალდეზე

დაწერილი, ციფრული, აუდიო. ბიბლიოთეკა ადგილია, სადაც იმ ხალხს შეუძლია მისვლა, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპიუტერი, ინტერნეტი და ეს სერვისები შეუძლიათ სწორი უფასოდ გამოიყენონ. ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ექვე სამსახურს ან ცდილობ მხოლოდ ინტერნეტში ხელმისაწვდომი მომსახურების გამოყენებას. ბიბლიოთეკა-რებს შეუძლიათ, დაეხმარონ ამ ხალხს.

არ მჯერა (და არც მაქვს სურვილი), რომ წიგნები დიდ ეკრანებზე გადაინაცვლებენ: ქინდლის გამოჩენამდე 20 წლით ადრე დუგლას ადამსმა მოთხოვა, რომ წიგნები ზვიგენებივითაა. ზვიგენი ბებერია, ის თვეანეში მანამდე ცხოვრობდა, სანამ დინოზავრები გამოჩნდებოდნენ. მიზეზი კი, რატომაც ზვიგენი აგრძელებს არსებობას, მარტივია - ზვიგენზე უკეთ ზვიგენისა არავის შეუძლია. წიგნი (ქაღალდის) მნელად გასანადგურებელი, წყალგამძლე, მზეზე მომუშავე და, რაც მთავარია, ხელში კარგად დასაჭერია. ისინი წიგნების თავს კარგად ართმევენ და ჩვენს სამყაროში მათი ადგილი ყოველთვის იქნება. მათი ადგილი კი ბიბლიოთეკაშია, რომელიც დღეს არამსოდოდ ფიზიკური წიგნებისთვისაა სახლი, არამედ ელექტრონული წიგნებისთვის, აუდიო წიგნებისთვის, DVD-ებისთვისაც და ონლაინ რესურსებისთვისაც.

ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის თავშესაყარი. ეს ინფორმაცია კი ყველა მოქალაქეს თანაბრად ეკუთვნის. ეს არის უსაფრთხო ადგილი, თავშესაფარი დანარჩენი სამყაროსგან. ეს არის ადგილი ბიბლიოთეკარებისთვის. ახლა უკვე იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, თუ როგორი იქნება მომავლის ბიბლიოთეკები.

დღეს, წერა-კითხვის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვესმე. ჩვენ ვცხოვრობთ SMS-ების და E-MAIL-ების სამყაროში, სადაც ინფორმაცია ტექსტურად გადაიცემა. ჩვენ გვჭირდება წერისა და კითხვის უნარი, ჩვენ გვჭირდება მსოფლიო მოქალაქეები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ წაკითხულის გააზრება და საკუთარი ინფორმაციის გასაგებად გადმოცემა.

ბიბლიოთეკები მომავლის კარიბჭეა. ამიტომაც სამწერაო, რომ ვხვდებით შემთხვევებს, სადაც ადგილობრივი მთავრობები ხურავენ ბიბლიოთეკებს, როგორც ფულის დაზოგვის ადვილ მეოთხს და ვერ ხვდებიან, რომ იპარავენ მომავლიდან, რათა გადაიხადონ დღეს. ისინი ხურავენ კარებს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მუდმივად დია.

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის კვლევის მიხედვით ინგლისი „ერთადერთი ქვეყანაა, სადაც

(გენდერული, სოციალურ-ეკონომუკური და დასაქმების ფაქტორების გათვალისწინებით) ყველაზე ხნიერ ასაკობრივ ჯგუფს წერა-კითხვის და ანგარიშის უკეთესი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს“.

მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები ნაკლებად განათლებულები არიან, ვიდრე - ჩვენ. მათ უფრო უჭირთ სამყაროში ნავიგაცია და პრობლემების გადაჭრა. მათი მოტექუება უფრო ადვილია, მათ ნაკლებად შეუძლებათ, შეცვალონ სამყარო, მათ გაუჭირდებათ დასაქმებაც. როგორც ქვეყანა, ინგლისი სხვა განვითარებულ ქვეყნებს მაღლ ჩამორჩება, რადგანაც განათლებული მუშახლი ადარ ეყოლება.

წიგნები გარდაცვლილებოან კომუნიკაციის საშუალებაცაა. მათი მეშვეობით ჩვენ ვხვავლობთ მათგან, ვინც ჩვენთან აღარ არის. წიგნების მეშვეობით ვიძებოთ კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას, იმის მაგივრად, რომ ყველაფერი თავიდან ვისწავლოთ. არსებობენ ისტორიები, რომლებიც ერების უმეტესობაზე უფრო ხნიერია, ისტორიები, რომლებიც დღევანდებ კულტურებზე უფრო ხანდაზმულია.

ჩემი აზრით, ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მომავლის წინაშე. პასუხისმგებლები და ვალდებულები ბავშებისადმი, იმ მოზარდებისადმი, რომლებიც ცოტა ხანში გახდებიან ზრდასრულები, ჩვენი შვილებისადმი, სამყაროსადმი, რომელშიც ისინი იცხოვრებენ. ყველა ჩვენგანს - მკითხველებს, მწერლებს, მოქალაქეებს - გვაქვს ვალდებულება.

მე მჯერა, რომ ჩვენ ვალდებულები ვართ, ვიკითხოთ სიმოვნებისთვის შინ თუ გარეთ. თუკი ასე მოვიქცევით, მაშინ ბევრს ვისწავლით, გავიგარჯიშებოთ წარმოსახვას, სხვებისთვისაც მისაპარი მაგალითები ვიქნებით. რომ კითხვა კარგია.

ჩვენ ვალდებულები ვართ, ბიბლიოთეკებს მხარი დავუჭიროთ. აქტიურად ვიაროთ ბიბლიოთეკებში და გამოვიტანოთ წიგნები, სხვებიც ავიყოლიოთ და თუ საჭიროა, გავაპროტესტორ მათი დახურვა. თუ არ აფასებთ ბიბლიოთეკას, ე.ი. არ აფასებთ ინფორმაციას, კულტურასა და სიბრძნეს. ამით თქვენ აზრები წარსულის ხმებს და აზიანებო მომავლს.

ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენს შვილებს წიგნები ვუკითხოთ. ის წიგნები, რომლებიც მათ მოსწონთ. წავუკითხოთ ის ისტორიები, რომლებიც ჩვენ მოგვბეზრდა. წავუკითხოთ საინტერესოდ და არ შევეშვათ ამ საქმიანობას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კითხვა უმავისწავლება. ბავშვისთვის წაკითხვის პროცესი მშობლისა და შვილის დაახლოების პროცესი

სია. ამ დროს არ ვამოწმებო ჩვენს სმარტფონებს და არ ვაქცევთ ყურადღებას სამყაროს პრობლემებს.

ჩვენ ასევე ვალდებულები ვართ, ვამოვიყენოთ ენა. დავაძალოთ ჩვენს თავს, შევიტყოთ ახალი სიტყვი ვიცოდეთ მათი მნიშვნელობა და გამოვიყენოთ, მოვახდინოთ კომუნიკაცია გასაგებად. არ უნდა ვეცადოთ ენის „გაყინვას“, წარმოვიდგინოთ, თითქოს ის მკვდარია, რომელსაც მოწიწებით უნდა მოვეპურაო. ენა ცოცხალი არსებაა, რომელიც მდინარესავით მოედინება, სესხულობს სიტყვებს, იმარებს შენაკადებს, რომლებსაც დროთა განმავლობაში მნიშვნელობა და ედერადობა ეცვლებათ.

ჩვენ - მწერლებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ბავშვებისთვის ვწერთ, გვაქვს პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე: პასუხისმგებლობა, დავწეროთ ჭეშმარიტება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ვქმნით ისტორიებს ადამიანებზე და ადგილებზე, რომლებიც არასოდეს არსებობდნენ. უნდა გავიაზროთ, რომ ჭეშმარიტება ის კი არ არის, რაც რეალურად მოხდა, არამედ ის, რაც გვეუბნება, ვინ ვართ ჩვენ. ბოლოსდაბოლოს მხატვრული ლიტერატურა ტყუილია, რომელიც სიმართლეს მოგვითხოვთ. ჩვენ ავიდეთ პასუხისმგებლობა, რომ თავი არ მოვაძებროთ მკითხველს, გავუჩინოთ მას სურვილი გადაშალოს შემდეგი ფურცელი. ერთ-ერთი საუკეთესო წამალი “ცუდი” მკითხველისთვის, არის ისტორია, რომლის წაკითხვისგან თავს ვერ იკავებს. ამავე დროს, როდესაც ვუყვებით მკითხველებს “სიმართლეს”, ვაძლევთ მათ იარაღს, აბჯარს და სიბრძნეს, რომელიც ჩვენ წიგნის სამყაროში ყოფნის დროს შევიძინეთ, გვაქვს პასუხისმგებლობა, არ ვიქადაგოთ, არ ჩავუტაროთ მათ ლექციები, არ დაგაძალოთ, მიიღონ წინასწარ განსაზღვრული მზა წესები, მორალი და ცნებები. და რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, არასოდეს დავწეროთ ბავშვებისთვის ისეთი წიგნები, რომლის წაკითხვაც თვითონ არ მოგვინდებოდა.

ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ბავშვებისთვის წიგნების წერით ვაკეთებოთ მნიშვნელოვან სამუშაოს. თუ ჩვენ საქმეს თავს ვერ გავართმევთ და მოსაწერ წიგნებს დავწერთ, მაშინ ბავშვები კითხვაზე უარს იტყვიან, ამით ჩვენ მათ მომავალს დავაზიანებოთ.

ჩვენ, ყველა: ბავშვები, ზრდასრულები, მწერლები, მკითხველები ვალდებულები ვართ, ვორცებოთ, გამოვიყენოთ წარმოსახვა. ადვილია იმის წარმოდგენა, თითქოს არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, რომ ჩვენ ისეთი სამყაროს ნაწილი ვართ, სადაც საზოგადოება

უზარმაზარია, ინდივიდი კი არაფერზე ნაკლები. მაგრამ, სინამდვილეში, ინდივიდები საკუთარ სამყაროს სშირად ცვლიან, ინდივიდები ქმნიან მომავალს, და ამას განსხვავებული მომავლის წარმოდგენის საშუალებით აღწევენ.

მიმოხილვეთ. მართლა გაჩერდით ერთ წამს და დაათვალიერეთ ოთახი, რომელშიც იმყოფებით. მიგითითებთ ერთ მარტივ რადაცაზე, რასაც სშირად ივიწყებენ. ყველაზერთი, რასაც ხედავთ, კედლების ჩათვლის, ოდესდაც ვიდაცამ წარმოიდგინა. ვიდაცამ გადაწყვიტა, რომ სკამზე ჯდომა მიწაზე ჯდომას ჯობდა. ვიდაცამ წარმოიდგინა მეთოდი, რომლითაც თქვენთან ვსაუბრობ ისე, რომ ლონდონის წვიმამ არ დამასველოს. ეს ოთახი, ეს საგნები, ეს ქალაქი არსებობს იმიტომ, რომ ადამიანმა წარმოსახვის უნარი გამოიყენა.

ჩვენ ვალდებულები ვართ, შევქმნაოთ სილამაზე. არ დავტოვოთ სამყარო უფრო მახინჯი, ვიდრე დაგვხვდა, არ დავცალოთ ოკანენები, არ დავუტოვოთ პრობლემები შემდეგ თაობას. გვაქვს პასუხისმგებლობა, გავწმინდოთ საკუთრი დანაგვიანებული, და არ დავუტოვოთ ჩვენ შეიღებს სამყარო, რომელიც ჩვენ გავაფუჭეთ.

ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, ვუთხრაოთ პოლიტიკოსებს, რა გვინდა, ხმა არ მივცეოთ პოლიტიკოსებს და პარტიებს, რომლებიც კითხვის მნიშვნელობას ყურადღებას არ ანიჭებენ, რომლებიც ცოდნის შენარჩუნებას არ ცდილობენ და განათლების წახალისება არ აინტერესებთ. ეს პარტიული პოლიტიკის საკითხი არ არის, ეს ადამიანობის საერთო საჭიროებაა.

ალბერტ აინშტეინს ერთხელ კითხეს, როგორ გავხადოთ ბავშვები ჭკვიანებით. მისი პასუხი ერთდროულად მარტივი და პრძნული იყო. „ოუ გინდათ ბავშვები იყვნენ ჭკვიანები, წაუკითხეთ მათ ზღაპრები. ოუ კი გინდათ იყვნენ უფრო ჭკვიანები, წაუკითხეთ მეტი ზღაპრები“. მას ესმოდა კითხვის და წარმოსახვის ფასი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ შევძლებთ მივცეოთ ბავშვებს ისეთი სამყარო, სადაც ისინი წაიკითხავენ, სადაც გამოიყენებენ წარმოსახვას და სადაც ისინი გაიგებენ.

თარგმანი ირინა ალიაშვილისა

ინტერნეტ-გამოცემა: „გარდიანი“,
WWW.THEGUARDIAN.COM;

წყარო: HTTPS://WWW.THEGUARDIAN.COM/BOOKS/2013/OCT/15/NEIL-GAIMAN-FUTURE-LIBRARIES-READING-DAYDREAM-ING

ოქტომბერი, 2013 წელი.

ფილოლოგიური ძიებანი

ბერნარ სტუხა

თუ ნამდვილი ადამიანი ხარ! (ჯერომ სელინჯერის მიხედვით)

სელინჯერი! როგორ მინდა მისი ნაწერები წავიკითხო, მაგრამ, აბა, როგორ და საიდან? ორმოცდათი წლის შემდეგ გახსნიან მის არქივს! დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი საინტერესო ნაწარმოებები ექნება.

არ ვიცი, მაინცდამაინც დღეს რატომ ამეკვიატა სელინჯერზე ფიქრები, იმ ავტორზე, რომელმაც თავისი ერთადერთი რომანით (მოთხოვდებიც მრავლად აქვს) მსოფლიოში სახელი გაითქვა და უამრავი ლიტერატურისმყვარულისა თუ რიგითი მკითხველის ინტერესი, პატივისცემა და მწვავე კრიტიკაც დაიმსახურა.

„თამაში ჭვავის ყანაში“ ვახტანგ ჭელიძის თარგმანის მიხედვით ჯერ კიდევ 60-იან წლებში წავიკითხე. ამ რამდენიმე წლის უკან კი გავეცანი გია ჭუმბურიძის თარგმანსაც შეცვლილი სათაურით „კლდის პირზე ჭვავის ყანაში“, რომლის ენა, ჩემი წარმოდგენით (სხვაც ბევრი ამასვე ამბობს) უფრო მიესადაგება ავტორისეულს. მაგრამ ახლა რამ გამახსენა ეს რომანი? რა ვიცი, შეიძლება იმ სახიფათო, ანტიუმანურმა ქმედებებმა, იარაღით ერთმანეთზე თავდასხმებმა და ფიზიკურმა შეურაცყოფებმა, რომლებსაც ჩენს ქვეყანაში ამჟამად ადგილი აქვს, მაგრამ არცერთ ამ თავდამსხმელს ხელში არ სჭერია არც სელინჯერისა და არც სხვა მწერალთა წიგნები, ისე, როგორც ეს მოხდა ლეგენდარული ინგლისელი მომდერლისა და მუსიკოსის - ჯონ უისტონ ლენონის მკვლელობის დროს...

სასწაულია პირდაპირ! ნეტავ მაცოდინა, რა უტრიალებდა თავში ამერიკელ მარკ დევიდ ჩემპენს, როდესაც ნიუ-იორკში სასიკვდილოდ დაჭრა ლენონი და მერე უდრიტვინებდა, იქვე ტროტურის ბორდიურზე ჩამომჯდარმა, სელინჯერის რომანის კითხვა განაგრძო? რა ნახა ამ რომანში ისეთი, რამაც მისი სისასტიკე გამოიწვია - კაცი მკვლელად აქცია? რომანში, ხომ ისეთი ახალგაზრდაა გამოყვანილი, რომელიც უკელვან სიობოსა და სიყვარულს, თანამდგომსა და მეგობარს დაეძებს, რომელიც ყოველგვარ

უხამს ქმედებას, არამედ უხამს წარწერასაც კი გაფართოებული თვალებით, სირცხვილის გრძნობაგამახვილებული უყურებს?.. რომელსაც ისე უყვარს წიგნების კითხვა, უნდა მათ ავტორებსაც ესაუბროს და გაუზიაროს თავისი შთაბეჭდილებები?.. თავად სათაურიც მეტად უცნაურია, რატომ დაარქვა ავტორმა ამ რომანს „თამაში ჭვავის ყანაში“? „წარმოვიდგენი ხოლმე რო ათასობით ბავშვი თამაშობს ჭვავის ყანაში, ერთმანეთს დასდევენ და არცერთი უფროსი ვინმე მათოან არაა, მარტო მე ვარ იქ და ყანის მიჯნაზე, ზედ კლდის პირას ვდგავარ, იქით კიდე უფსკრულია, მთელი ჩემი საქმეც ეგ არი - რომელიმე ბავშვი რო იქით გაიცევა, უფსკრულისაკენ, დროზე უნდა ჩავავლო ხელი და არ გავუშვა, ეგაა მთელი ჩემი საქმე - დამჭერად ვმუშაობ ჭვავის ყანაში, აი ეგ მინდა რო ვიყო, ვაფრენ ხო იცი“... ასე უყვება პატარა დაიკოს ფიბის პოლდენი და ვინ მეტყვის, განა რაიმე ცუდი იკითხება ამ ეპიზოდში?

ეჭვი გამიჩნდა, იქნებ დედანში წაგითხვამ მიგვაგნებინოს ყოველივე იმას, როგორ გააღვივა ამ წიგნმა მკითხველში მკვლელის ბუნება? ვეძებ მიზეზს. არა მგრძნია, ჩვენს მთარგმნელებს გამოჰქმდათ რამე!

და აი, მივევეთ რომანის მთავარი მოქმედი პირის ნაამბობს და დავუკვირდეთ მის მოსახურებებს

„თამაში არა... თუ არჩევანი შენზეა და მაგრებში მოხვდი - ხო კაი, თუ არადანი გერგო და კაცი არა გყავს მხარში ამომდგომი, მაშინ რადას შვები, რადა დაგრჩენია? ჩემი ფეხი.“

ასე ფიქრობს სულ ახალგაზრდა- 16 წლის კაცი (ნამდვილად კაცი!) და, ძვირფასო ქართველო მკითხველო, არ გეცნოთ ეს მოვლენა და არ გაგვინიათ მწარე სიცილით?! ამავე დროს არ გაგიკვირდათ, რომ ამერიკაშიც კი იგივე აზრი წამოგეჭრება თავში, როგორც ჩვენთან ნებისმიერ ფიქრიან ადამიანს...

ცხოვრება თამაშიათ - ასე მიოხრა დოქტორმა თერმერმაო, უუბნება თავის მოხუც პედაგოგს, სპეციალისტს მოსწავლეულფილი და სპეციალისტს ეთანხმება, ცხოვრება მართლა თამაშიათ, თდონდ წესების დაცვითო. თავად

ჭაბუკი პოლდენი თავს უქნევს მასწავლებელს, ოღონდ გულში კი ისე ფიქრობს, როგორც დასაწყისში ვთქვით.

პოლდენი გამორჩეული, უცნაური მოსწავლეა, თუმცა რადა მოსწავლე, იგი გარიცხულია პენსის „პრივილეგირებული სკოლიდან“ საგნების ჩაუბარებლობის გამო. მაგრამ სკოლიდან გარიცხული მოსწავლის ფსიქოლოგიასა და განწყობას თუ გავითვალისწინებო, ნამდვილად გაგვიკვირდება, როცა მას არ ავიწყდება შეჯარის და გამოემშვიდობოს თავის ყოფილ პედაგოგებს, რომლებიც აშკარად გრძნობენ, საქმე რომ მოლად ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. სინანულს გამოხატავენ და თანაგრძნობასაც... პოლდენისთვის კი სასწავლებლებიდან გარიცხვა არახალია, ის ხომ უკვე მეოთხე სკოლას ტოვებს ... თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შეჩვეულია და არ ნანობს, არ გრძნობს და არ განიცდის. განიცდის მშობლების გულისტკივილსაც, მაგრამ რა ქნას, როცა ყველაფერი ისე როდია ამ ქვეყანაზე, როგორც „იმათი (მშობლებისა და ხალხის გ.ს.) თვალი ხედავს“. მას სხვა თვალი და ბევრისაგან განსხვავებული შეხედულებები აქვს. საუბრობს რა მოხუც სპეციალობა, რომლის ქმედებებს და აზროვნებას პოლდენი თავის გულში კრიტიკულად უყურებს, მოხუცს თავს უქნევს, თავად კი სულ სხვა რამებე ფიქრობს და ეს სხვა რამე არის ნიუ-იორკის „სენტრალ-პარკში, სამხრეთ მხარეს რო ტბაა, თუ გაყინული დამხვდა და მაშინ იქაური იხვები რაღას იზამენ-მეოქი“. ეს უცნაური, თავსამტკრევი კითხვა პოლდენს თავისი სათავადასავლო ეპიზოდების მოყოლის პროცესში ხშირად უჩნდება. რაც უდავოდ მკითხველის გაკვირვებასაც იწვევს. რატომ აწუხებს ამ ახალგაზრდას ასეთი კითხვა? კითხვა, რომელსაც ვერაფრით ვერ სხნის და თავსაც არ ავიწყებს. ტბის გაყინვის შემდეგ რა მოუვიდოდათ იხვებს? „იქნებადა ვინმე ჩამოუვლიდა ხოლმე ფურგონით, ერთიანად წამოკრევდა (იხვებს გ.ს.) და ან ზორაპარკში წაასხამდა ან საღმე. ან იქნებ სულაც საღმე მიფრინავდნენ ცხელ ქვეუნებში.“

საინტერესოა, რა დატვირთვა აქვს ამ პასაჟს, ხასიათის რა ნიუანსს ჰქმატებს მწერალი ყმაწვილის ასეთ ინტერესს თუ აჩემებას

გაყინული ტბისა და მის ბინადარობა მიმართ. იქნებ მწერალს სურს, რომ ხაზი გაუსვას მის განსხვავებულ და გამორჩეულ ბუნებას იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც პოლდენის გვერდით ცხოვრობენ. იქნებ ყმაწვილის მეტისმეტად დამაბული, წინადაღმდეგობრივი გონება, სხვა დეტალზე ყურადღების გადატანით ისვენებს?

პოლდენმა ნიუ-იორკის საზოგადოებაში ცნობილი და გამორჩეული სკოლები დატოვა.

მიზეზი არა მხოლოდ აკადემიური ჩამორჩენილობაა, არამედ შეუგუბლობა (აქედან გამომდინარეობს უთუოდ სწავლაში ჩამორჩენილობაც!).

ელეკტონ-ჰილის სკოლა „სულ ტრაკილოებით იყო საგსეო“, „ხოლო რექტორი ვინმე ბატონი პაასი კიდე იმისთანა გოთვერანი ვინმე იყო, მაგის სწორი ცხოვრებაში არავინ შემხვედრია... კვირაობით მოსანახულებლად ჩამოსულ მშობლებს სათითაოდ ჩამოუვლიდა ხოლმე და თავისებურად აბოლუტი, მაგრამ თუკი ვინმეს მეტისმეტად სანშოშესული ან ნამეტანი უბრალოდ ჩაცმული ან ეგეოს ვინმე მოაკითხავდა, მტ-

რისას, ორ თითს გაუწვდიდა ჩამოსარომევად და მერე იქვე ვინმე სხვას გაუქამდა საათიან ლაფაფს, ამათ კიდე ზედაც აღარ შეხედავდა”... სიყალბეს ხედავდა პოლდენი იმ ადამიანებში, რომლებიც მის გარშემო ცხოვრობდნენ, საქმიანობდნენ და არა უბრალოდ, არამედ ახალგაზრდების აღზრდასაც კი უძღვებოდნენ. მლიქვნებლობით და სხობიზმით დაავადებულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი და საიმედო არაფერი ჩანს გარდა იმისა, რომ არის ყმაწვილი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ყოველივე ამას ხედავს, გრძნობს, განიცდის. ამჩნევს, თუ როგორ თამაშობენ ადამიანები ცხოვრების გზაზე, როგორ იქმნიან ყალბ ავტორიტეტს თავის წარმოსაჩენად, როგორ იყენებენ ასეთ „ავტორიტეტს“ ერომანეთის დასათრგუნად, საკუთარი ცხოვრების გზის გასაიოლებლად... პენსის სკოლის საერთო საცხოვრებელს ვინმე ოსენბერგბერის სახელი ერქვა. და რატომ? - მხოლოდ იმიტომ, რომ ამავე სკოლის ყოფილმა მოსწავლემ (ოსენბერგბერმა) შემდგომში დამკრძალავი ბიუროები შეჰქმნა და „ოხრად ფული“ იშო-



ვა და მერე „მშობლიურ სკოლასაც გადმოუ-
გდო რადაცა“. პოლდენს ირონიულ დამოკი-
დებულებას უმძაფრებს ასეთი მოვლენები და
უბიძებებს სააზოგადოებისაგან განდგომისა-
კენ. მართალია ჭაბუქს მისი მორალისათვის
შეუფერებელ სკოლებში გული არ მიუწევს,
სწავლა - განათლებაშიც ვერ დაიკვენის,
მაგრამ მას კითხვა უყვარს, დადის ბიბლიო-
თებაში. კლასიკასაც ვკითხულობო და წიგ-
ნი ისეთი უნდა იყოსო, ამბობს „რო ჩაათავებ,
გინდა რო მაგის დამწერი შენი გადაბმული
ძმაკაცი იყოს და როცა გინ-
და დაურეკავ, თუნდაც შეა-
დამისას და შენს გემოზე
ებაზრები“. ასეთია პოლდე-
ნი, ნიუ-იორკელი ბიჭი, ვი-
თომ ჩვეულებრივი მოზარ-
დი, მაგრამ მაინც სხვა,
მგრძნობიარე, სხვაგვარი
აზროვნების, ადამიანებზე
დაკვირვებული. მათი ხასია-
თის გამოცნობის საოცარი
უნარით დაჯილდოებული,
მაგრამ ეს ჯილდო ანუ ასე-
თი ნიჭი მისოვის ღმერთს
კი არ დაუნათლებია... ადა-
მიანებში თანაგრძნობის,
სიობოს, გულწრფელობის
ძიებისას შეიძინა პოლდენ-
მა ეს უნარი. ვერ უპოვია
ნადიდი მეგობარი და მართა-
ლი კაცი. სადაც არ წავიდა,
ყველგან ყალბი და გამომყენებლური ხასია-
თის ადამიანებს შეხვდა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია
პოლდენის თანატოლებმა, თანაკლასელებმა,
რომელთა შესახებ ჭაბუქი (მწერალი) ისე
ბუნებრივად, ხასიათების უფაქიზესი ნიუან-
სების ცოდნით და წვდომით გადმოგვცემს
და გვაცნობს, რომ ისინი ცოცხლდებიან
ჩვენს წარმოდგენაში და ჩვენს ნაცნობ-მე-
გრძნებს არამც თუ მოგვაგონებენ, არამედ
გვგონია, რომ სწორედ მათზეა საუბარი, სავ-
სებით, ზედმიწევნით ემთხვევიან ისინი ჩვენს
მოქალაქეებს... რომელ სტრედლეიტერზე და
ეკლიზეა საუბარი, განა ისინი აგერ, ჩვენს
გვერდით არ ცხოვრობენ ოცდამეერთე საუ-
კუნის დასაწყისის საქართველოში? ასეთე-
ბის მეტი რა არის ჩვენს გარშემო და მათ
გურამი, ირაკლი, ბაჩო, ნუგ ზარი, მიშიკო, ნიკა
და ასე შემდეგ, სახელები ჰქვიათ... ადამია-
ნები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე
ფიქრობენ, მათი ურთიერთობები მხოლოდ
რაიმეს გამორჩენის, სარგებლის მოპოვების



პრინციპზეა აგებული.

სასწავლებლიდან გარიცხული პოლდენი
წამოსასვლელ მზადებაშია, შემოდიან თანაკ-
ლასელები ეკლი და სტრედლეიტერი, მათ-
თან ურთიერთობასა და დიალოგის დროს
დაწვრილებით იგებს მკითხველი ამ ახალ-
გაზრდების ხასიათს: „მისმინე“ - სტრედ-
ლეიტერი მეუბნება უცებ-ერთ თხოვნას არ
შემისრულებ? ვალში ჩამითვალე.

„მაინც რას?“ - ვეკითხები უხალისოდ,
სულ ეგრე იცის ხოლმე. ყელამდე ვალებ-
შია. კაცი რო თავისთავში

იქნება შეკვარებული, ასე პოლინია, სხვებსაც იგივე
სჭირს მის მიმართ. ვითომ
ერთი სული აქვთ, ოდონდ
მოემსახურონ“...სტრედლეი-
ტერთან დიალოგს საოცა-
რი იუმორით გადმოგვცემს
პოლდენი, ისე, როგორც
თავისი ცხოვრების ყველა
ეპიზოდს.

სკოლიდან გარიცხულ
ახალგაზრდას სახლში
დაბრუნება უჭირს, რა უთხ-
რას მშობლებს, ჯერ ხომ
არდადებები არ არის. რა-
ტომ ასე ადრეო-, ხომ ეტყ-
ვიან... დროის გასვლის
მიზნით ქუჩებში დახე-
ტიალობს. აქაც სახიფათო
თავგადასავლები... და ბო-
ლოს, სადამოხანს, ინგლისურის მასწავლე-
ბელ მისტერ ანტოლინის ეწვევა შინ, თითქოს
არ არის უცხო მისოვის ეს ადამიანი, ანტო-
ლინის, ცოტა არ იყოს, სმა უკვარს, გრძელი
საუბარიც. დადლილ-დაქანცულ პოლდენს კი
ერთი სული აქვს, დაისვენოს, სადაცაა ფეხზე
მდგომს დაემინოს... „მერე კი ისეთი რამე
მოხდა, საერთოდ, მაგის გახსენებაც არ მინ-
და“... ამბობს პოლდენი. მართალი გითხრათ,
მეც არ მინდა ამ ეპიზოდის გახსენება.

რომანის ბოლო კი თავის პატარა დაიკო
ფიბისთან შეხვედრაა, ისეთი თბილი, ადა-
მიანური, მშობლიური... ერთი სიტყვით, მინ-
და ყველამ წაიკითხოთ სელინჯერის რომა-
ნი „კლდის პირას ჭვავის ყანაში“ და ნახეო,
თუ თქვენაც არ მოგინდეთ კლდის პირას, ამ
საშიშ ადგილზე მოთამაშე ბაგშვებთან ყო-
ფნა, მათი ზედამხედველობა: ვაითუ, ნაპირის-
კენ გამოქცეულები უცაბედად გადავარდნენ,
გადაიჩეხონ! ნამდვილად დაგებადება ბავშ-
ვების გადარჩენის სურვილი, თუ ნამდვილი
კაცი ხარ, ნამდვილი ადამიანი!

მოგონებაზე

იური სიხარულიძე

სიმღერა დავით გურამიშვილზე

ჩემს ემაწვილობაში საქართველოში ძალიან პოპულარული იყო სიმღერა დიდ ქართველ პოეტზე, დავით გურამიშვილზე. სახელოვანი პოეტი ახალგაზრდობისას ლეკებმა მოიტაცეს და ვიდრე ჩრდილოეთში გაიქცეოდა, კარგახანს დარჩა დაღესტანში. შემდეგ პოეტმა შესანიშნავად აღწერა მისი შეპყრობა და ის შოაბეჭდილებანი, რომელიც მას შეექმნა იმ დროს.

ეს იყო XVIII საუკუნის უმძიმეს დროში. კიდევ კარგი, რომ ბრწყინვალე პოეტი გადაურჩა ხიფათს და ამ გატაცებაზე დამყარებული სიმღერა დღემდე ატკბობს ჩვენი ხალხისა და მისი მოყვარული სხვა ხალხების გულსაც.

ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათავისა,
ასი მთა გადამატარეს,
მოები კავკასიონისა,
გავხედე ჩეროქეზო მიდამოს,
ნისლი იდგა შავი ზღვისა,
სამი ქალი თივას მკიდა,
სამვე ჩერქეზო ბატონისა.
გამიკვირდა, არ მენახა
მუშაობა დიაცისა,
სამივ ისე გასძახოდნენ,
როგორც მომდერალი ცისა.

ეს სიმღერა ძალიან უყვარდა დიდ ხელოვანს, ვლადიმერ ბერძენიშვილს (1885-1977), რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში თბილისიდან მშობლიურ სოფელ - უბანშიც ჩამოდიოდა და თავის თჯახში (საკვერნიას გორი) თავს უყრიდა ხოლმე სიმღერის მოყვარულ ახალგაზრდობას. გუნდში შედიოდნენ აკად. ნ. მარის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები: ვაჟა გოგოლაძე (1926-2006), ენვერ სიხარულიძე (1928-2012), იური სიხარულიძე (1926) და შაქრო სიხარუ-

ლიძე (დაიბ. 1926). ამაოგან შემდეგ უკელა მშვენიერი მომდერალი დადგა. მათგან ვ. გოგოლაძემ სპეციალური სამუსიკო განათლებაც კი მიიღო და რამდენიმე ანსამბლსაც დიდი წარმატებითაც ხელმძღვანელობდა. ის ჯერ ხოხატაურის სარაიონო ანსამბლის ლოტბარად დააწინაურეს, შემდეგ რუსთავის საქალაქო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი გახლდათ, ბოლოს კი, თითქმის, ნახევარი საუკუნე პროფ. ქ. სიხარულიძის სახელობის ხოხატაურის სახალხო ანსამბლს უძღვდა (გარდაიცვალა პარიზში 2006 წ.).

შესანიშნავი ხელოვანი ბრძანდებოდა ენვერ სიხარულიძეც. ასევე ითქმის შაქრო სიხარულიძეზეც.

ხელოვანებშიც იდგროდა ამ სტრიქონების ავტორიც, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ხოხატაურის სახალხო ანსამბლშიც მიიწვიეს მეცნიერ-კონსულტანტად.

ვ. გოგოლაძეს თავისი სახალხო ანსამბლის რეპერტუარში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ პქონდა და კონცერტებზე არ ივიწყებდა მას.


ამ სიმღერას დიდი მომდერალი ერმალო სიხარულიძე (1889-1963) დიდი უურადღებით ეკიდებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ვლ. ბერძენიშვილის გვერდით იგი უკვე მისმა ბიძაშვილმა, ასევე დიდმა ხელოვანმა გარსევან სიხარულიძემ (1907-1993) შეცვალა.

ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობდა მომდერალი მიხეილ კოროშინაძე (1904-1970), რომელმაც მრავალ ჯგუფში შეცვალა თავისი უფროსი მმა, დიდი ხელოვანი ევგენი კოროშინაძე (1901-1947).

ასე მოიყარეს თავი ვლადიმერ ბერძენიშვილმა, მიხეილ კოროშინაძემ და გარსევან სიხარულიძე 1967 წელს და ჩაწერეს „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

ამ დიდებული სიმღერის დიდი მომდერლების მიერ შესრულებამ აღფრთოვანება გამოიწვია ხალხური სიმღერის მოყვარულებისა.

ამჟამად საკმაოდ დიდი უურადღება ეთმობა ძველი ქართული ხალხური სიმღერების აღორძინებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ ხალხურ სიმღერებს უფრო მეტი და მეტი უურადღება მიექცევა.



საოლა და ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში უდიდეს როლს ანიჭებენ ბავშვთა წიგნიერების საქმეს. ამის ნათელი დაღასტურებაა ამ საუკუნის დასაწყისში „სასკოლო ბიბლიოთეკის მანიფესტის“ გამოქვეყნება. ეს „მანიფესტი“ პირდაპირი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობის ასევების ყოველი მიმართულებით და ერთგვარად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს.

სამუშაოროდ, ჩეგნიში, ფაქტობრივად, ის საჯებით უგულებელყოფილია, რომ გამოც ამჟამად სასკოლო ბიბლიოთეკები საგადალო მდგომარეობაში არის.

ჩეგნი უკურნალი არაერთხელ შევხო როგორც ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების საქმეს, ისე - უშუალოდ სკოლის ბიბლიოთეკების საქმიანობას სხვადასხვა ასევებით, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ძვრა არ ყოფილა, სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ მასალის გამოქვეყნება დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება. ამდენად, მიზანშეწონილად გვანით, ერთხელ კიდევ შევეხოთ აღნიშნულ ომატიკას და ჩეგნს მკითხველებს გავაცნოთ ი. გოგება შეიღის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, ნანა ყარაულაშვილის ნაშრომი. სტატია წარმოდგენილია აგტორის მიერ ნებადართული შემოქლებებით და ჩეგნი მცირე კომენტარებით.

6. ყარაულაშვილი სამართლიანად აცხადებს თავისი ნაშრომის დასაწყისში, რომ „სასკოლო ბიბლიოთეკა სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ სკოლის ბიბლიოთეკაში იძენს ბავშვი ინფორმაციის მიღების უნარ-ჩვევებს. სკოლის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი გათანაბრებული უნდა იყენებ სკოლის პედაგოგიურ კოლეგიუმითან, რადგანაც ისინი თანაბრად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში...“

სხვათა შორის, ეს სწორედ ამგვარადაა წარმოდგენილი „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და „სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპურ დებულებაში“, მაგრამ დღემდე დებულება არ ამოქმედებულა და საკანონმდებლო გადაწყვეტილება აღუსრულებელი რჩება, და არავინ იცის, ოდესმე ამოქმედდება ის თუ არა. ალბათ, ხელისუფლების ხელის გარეშე - არა. გვინდა თავიდანეუ შევნიშოთ, რომ 6. ყარაულაშვილი საკითხს აშუქებს იმ სტანდარტების მიხედვით, რომლებიც „საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი“ არის მოცემული და რომელთა განხორციელებასთან ჩეგნ ძალიან შორისა ვართ. ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი უფრო იხილავს იმას, რაც უნდა იყოს, და არა იმას, რაც რეალურად არის. ამიტომაც მას უფრო სარეკომენდაციო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე - მეთოდიური, თუმცა ამასცაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ბიბლიოთეკების შრომითი პროცესების მოგვარებისათვის. მით უმტეს საუფრადებოა ეს ნაშრომი, რომ ის, ფაქტობრივად, არის სამუცნიერო-პრატიკული შემთხვევის განკუთხენილი.

ჩეგნ გადაგწყვიტეთ, გამოვაჭვებული ის, როგორც საურნალო სტატია, ცხადია, სარედაქციო დამუშავებითა და შემოქლებებით.

ამჟამად გთავაზობთ ამ ნაშრომის მომდევნო ნაწილს:

ნარ ყარაულაშვილი

სასაოლო ბიბლიოთეკების როლი სწავლებისა და აღზრდის საქმეში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

მისათვის, რომ ამადლდეს სასკოლო ბიბლიოთეკების პრესტიული, მთავრობამ და განათლების სამინისტრომ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგია, სადაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები და კველა ტიპის სკოლის მოთხოვნილებები. საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილი სპეციალისტების მიერ მუდმივად უნდა ტარდებოდეს კონფერენციები, პრაქტიკული სემინარები, მიმდინარეობდეს ხელს შეუწყობს საუკეთესო სასკოლო ბიბლიოთეკების შექმნასა და განვითარებას.

სასკოლო ბიბლიოთეკა უნდა მენეჯენტურად მნიშვნელოვანია ინფორმაციასა და წიგნიერებაზე დაფუძნებული დღევანდელი საზოგადოებისათვის. იგი სკოლის მოსწავლეებს არა მხოლოდ მუდმივი თვითგა-

ნათლების უნარ-ჩვევებს უნერგავს, არამედ უზრუნველყოფს მათოვის ინფორმაციისა და იდეების მიწოდებას, ექმარება, გახდნენ პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები. ბიბლიოთეკის მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები ზუსტად უნდა გამოხატავდეს რეალობას, მის სულისკვეთებას, მიზნებსა და ამოცანებს. პრინციპები უნდა იყოს მრავალმხრივი და განხორციელებადი, ხოლო მის განსაზღვრაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი სასკოლო საზოგადოება.

სასკოლო ბიბლიოთეკის წარმატებულ მუშაობას სწორი მენეჯმენტი განსაზღვრავს, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- დაფინანსება და ბიუჯეტი;
- შენობა და რესურსები;
- ბიბლიოთეკის გამოყენების დონე;
- ბიბლიოთეკის რეკლამირება (საზოგადოებასთან ურთიერთობა).

სკოლის ხელმძღვანელობა უოველწლიურად ახდენს სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის მონიტორინგსა და შეფასებას. ხელმძღვანელი მოვალეა, ბიბლიოთეკა უზრუნველყოს შენობის, მასალების, ტექნიკის, მომსახურე პერსონალის შესაბამისი სტაბილური დაფინანსებით.

სასკოლო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ოანხები არ უნდა იყოს სკოლის ბიუჯეტის 5%-ზე ნაკლები. კადრებით დაკომპლექტების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო დროზე, მისი მომსახურების ხარისხსა და ფორმე-



ბზე. არაერთგზის კვლევამ ცხადყო, რომ სტანდარტულ გამოცდებზე უმაღლეს შეფასებას დებულობენ იმ სკოლის მოსწავლეები, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია მეტი წიგნით, ჟურნალით, ვიდეომასალით და კვალიფიციური პერსონალით. ყველაზე პატარა ბიბლიოთეკისათვის ფონდი უნდა ითვლიდეს 2500 ერთეულს (საშუალოდ 10 წიგნი ერთ მოსწავლეზე). სასკოლო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ფონდის ფორმირების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო გეგმასთან, სკოლის პერსონალის კონკრეტულ ინტერესებთან და ასევე უნდა ასახავდეს სკოლის გარეთ არსებულ რეალობას.

სასკოლო ბიბლიოთეკის შენობის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის ფუნქციები, რათა შემდგომში მისმა მუშაობამ უპასუხოს სკოლის მოთხოვნებს. მიზანშემთხვიდია, გათვალისწინებული იყოს შემდეგი:

- სამეცადინო და კვლევის ზონა, სადაც განთავსებული იქნება მაგიდები სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის, ინტერეს-

სელში ჩართული კომპიუტერები, ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლის მოთხოვნილების შესაბამისად მოდიფიცირებული კომპიუტერული აღჭურვილობა, მაგნიტოფონი, საცნობარო მასალები და ძირითადი ფონდები;

- არაფორმალური სამკითხველო ზონა ფართო მოხმარების საკითხავი მასალით;
- სასწავლო ზონა, რომელსაც ექნება აუცილებელი ავეჯი, სწავლებისა და დემონსტრირებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები.

- საწარმოო და საპროექტო ზონა, სადაც ტარდება პრაქტიკული მეცადინებები, ცალკეულ პირთა, გუნდური და კლასების შეხვედრები, ინახება მულტიმედიის მასალების შესაქმნელად საჭირო აღჭურვილობა;

- ადმინისტრაციული ზონა: სააბონენტო მაგიდა, ადგილები მულტიმედიური მასალების, აუდიოვიზუალური და სხვა აღჭურვილობის დასამუშავებლად და შესანახად.

ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები; კარგი განათება: შესაფერისი ავეჯი. სასკოლო ბიბლიოთეკა ესთეტიკურად უნდა იზიდავდეს მომხმარებელს და ორიენტირებული იყოს მრავალფეროვანი რესურსების თანაბრად და დროულად მიწოდებისკენ. დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებები, ინტეგრაციულური თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლება.

სასკოლო ბიბლიოთეკაში საბიბლიოოთეკო მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე. სასკოლო ბიბლიოთეკარს შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, უნდა ჰქონდეს პროფესიული ცოდნა, ამასთან, იგი საკმაოდ კარგად უნდა ფლობდეს პედაგოგიკის თეორიასა და მეთოდიკას. ბიბლიოთეკარი უშუალოდ ეჭვედებარება სტუდენტის ხელმძღვანელობას. მონაწილეობას იღებს საერთო საქმეში და ესწრება ყველა თაობირს. ბიბლიოთეკარი უნდა ერკვევდეს საბიბლიოოთკო მომსახურების პრინციპებში, ჰქონდეს განსაზღვრული მოვალეობები, მათი სამსახურში მიღება უნდა ხდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ისინი უნდა იღებდნენ პროფესიონალიზმის შესაბამის ანაზღაურებას. მათ უნდა ჰქონდეთ საბაზო განათლება საბიბლიოოთეკო საქმეში. მასწავლებები, ტექნიკური პერსონალი, მშობლები და სხვა მოხალისებიც წარმოადგენენ ბიბლიოთეკ-

კის თანამდგომთ და ეხმარებიან ბიბლიოთეკარს პროფესიულ საქმიანობაში.

სასკოლო ბიბლიოთეკარის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს:

- სასკოლო ბიბლიოთეკის მისიასა და მიზნების ფორმულირება და განხორციელება, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და მიზნებთან;
- სკოლის ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრატორებთან და პედაგოგებთან ეთად მონაწილეობის მიღება სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში;
- გადაწყვეტილების მიღება საინფორმაციო მომსახურების, ბეჭდური და ელექტრონული რესურსების ინფორმაციული ამოცანების გადაჭრის სფეროში;
- საბავშვო ლიტერატურის კითხვის, მულტიმედიის და სხვა მასობრივი დონისძიებების საქმის წარმართვა;
- ტექნიკური პროცესების წარმოება და მკითხველთა მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილება;
- საბიბლიოთეკო მასალის დამუშავება;
- ლიტერატურის გაცემისა და დაბრუნვების რეგისტრაცია.

სასკოლო ბიბლიოთეკის მკითხველთა ორი ძირითადი ჯგუფი არსებობს: მოსწავლეები და მასწავლებლები. თუმცა ვხვდებით სხვა კატეგორიებსაც - სკოლის ადმინისტრაცია, აღმზრდელები, მშობლები. ბიბლიოთეკა ვალდებულია, დაკმაყოფილოს მკითხველთა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების მოთხოვნები. სასკოლო ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ბიბლიოთეკარები მასწავლებლები არ არიან. არიან მხოლოდ მრჩევლები და არასოდეს ძალად არ ახვევენ თავს საკუთარ აზრს მომხმარებელს.

ძალიან მომგებიანია სასკოლო, საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობა:

- კადრების ერთობლივი მომზადება;
- ფონდების ერთობლივი ფორმირება;
- პროგრამების ერთობლივი შემუშავება;
- ელექტრონული მომსახურების და ქსელების მუშაობის კოორდინაცია;
- მომხმარებელთა სწავლების საშუალებების შექმნა;
- ქსეგურსია, ერთობლივი კითხვა და მისი პროპაგანდა;
- საბიბლიოთეკო მომსახურების ერთობლივი მარკებინგი.

სკოლაში ურთიერთანამშრომლობის

ინიციატორი უნდა იყოს სკოლის დირექტორი. მან სკოლის მუშაობის შეფასებისას, ურველთვის საზო უნდა გაუსვას ბიბლიოთეკის მუშაობის მნიშვნელობას დადგენილი სტანდარტების შესრულების საქმეში.

ბიბლიოთეკამ პედაგოგს უნდა მიაწოდოს ისეთი რესურსი, რომელიც გააღრმავებს



მის საგნობრივ ცოდნას და გააუმჯობესებს სწავლების მეთოდებას. მოსწავლეთა გააჭირების და დამოუკიდებელი სწავლების უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, პედაგოგებს შეუძლიათ ბიბლიოთეკასთან ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:

- ინფორმაციული წიგნიერება - მოსწავლეებში ძიებისა და ინფორმაციის კრიტიკულად და შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- საპროექტო სამუშაოები და დავალებები;
- მოსწავლეთა დაინტერესების კითხვით, როგორც ინდივიდუალურად, ისე - ჯგუფურად.

მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ პროპაგრამული და დია პედაგოგიური პრინციპებით, როგორც წესი, აქტიურად სარგებლობები ბიბლიოთეკით. ტრადიციული დიდაქტიკური მეთოდიკიდან გადახვევით, მათ შეუძლიათ ბიბლიოთეკა აქციონ სწავლის და სწავლების პროცესის ერთერთ ცენტრალურ ადგილად.

ლიტერატურა:

ინფორმაციული წიგნიერება. ბიბლიოთეკათმცოდნებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიები: (სალექციო კურსი). - თბ., 2008.

საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპური დებულება. - თბ., 1998.

სახელმძღვანელო სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის. - თბ., 2009.

www.britannica.com/EBchecked/topic/339421/.../The-history-of-libraries

ბიობი ხიცეცი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტის „სასკოლო ლიტერატურის“ შესახებ

უ კვე კარგა ხანია, ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი „სასკოლო ლიტერატურა“ ინტერნეტსივრცის კუთხით დაგენერირდა. შეიძლება თამამად ითქვას, პროექტის დიდი ნაწილი უკვე რეალიზებულია და პროექტით გათვალისწინებულ სკოლიალიზებულ საიტს „სასკოლო ლიტერატურას“ წარმატებით იყენებს მომხმარებელი.

ახალი ციფრული რესურსის შექმნის იდეამ დადგებითი მოღონი გააჩინა. ამგვარი მოღონი ერთგარ სტიმულად იქცა. პროექტის უშუალო ადმინისტრირებას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლებისას შექმნის წარმატების სკოლიალიზებით ნათია შენგალაია ახორციელებს. მისი უდიდესი დამსახურებაა იდეის წარმატებული რეალიზაცია, თუმცა ამგვარი წარმატება ერთხაშად არ მოსულა.

პროექტი იხვეწებოდა თანდათან; იხვეწებოდა მომხმარებლების სურვილების, წინადაღებების, შენიშვნების, კრიტიკის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით. იდეის გაცხადების დღიდან იყო კითხვები, რომლებსაც ყოველთვის სიმოვნებით ვაძლეობდით. კითხვების დიდი ნაწილი ეხებოდა პროექტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი საიტის დიზაინს, საძიებო სისტემას, ნაწარმოებოა შერჩევას, შერჩეულ ნაწარმოების საიტზე განთავსების დროს, რაოდენობასა და პერიოდულობას. დასმული კითხვების რაოდენობამ განსაკუთრებით მოიმატა საიტის ინტერნეტში განთავსების შემდეგ. წინადაღებები, მოსახრებები, შეკითხვები, და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შენიშვნები, გამოთქმულია კოლეგების, განათლების სფეროს ცნობილი ექსპერტების, ასევე უშუალო მომხმარებლების - მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ. გამოთქმულ შენიშვნათა და დასმულ შეკითხვათა რაოდენობა, მომხმარებელთა გამოვლენილი შეცდომები, კითხვების სიმრავლე პირდაპირობორციულია საიტზე ახალგათავსებულ ნაწარმოებთა რაოდენობისა და უცუპროპორციულია საიტის აუდიტზე დახარჯულ დროისა.

* * *

სტატიაში შევცდები მოყლევა უუპასუხოთ დღემდე დასმულ რამდენომე შეკითხვას (სტატიაში დასმული კითხვები არ გარედაქტირებულა, დაცულია რიგითობა).

შეკითხვა 1 აპირებთ თუ არა დიზაინის შეცვლას?

პასუხი: დიზაინის შეცვლა ამ ეტაპზე არ განიხილება. ჩვენი კოლეგა გიორგი საბანაძე მუშაობს პროექტზე, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს არა მხოლოდ საიტის დიზაინის შეცვლას, არამედ გააუმჯობესებს საიტის მომხმარებას და შესძენს მას დამატებით ფუნქციებს.

შეკითხვა 2. როგორ და რა სიხშირით ხდება

მასალების განთავსება საიტზე?

პასუხი: სამუშაო დღეებში საიტზე განთავსდება ერთი მწერლის მაქსიმუმ სამი ლექსი ან ერთი მოთხოვნა შესაბამისი დამატებითი მასალით (სტატია, ვიდეო, აუდიო მასალები).

შეკითხვა 3. ხომ არ დააკონკრეტებო საიტის მიზნებსა და ამოცანებს, განხორციელების გზებსა და საშუალებებს?

პასუხი: მიზანი: საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლი სისტემის დონის ამაღლების საქმეში ეროვნული ბიბლიოთეკის გაძლიერება.

- ამოცანა I. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ზოგადსაგანმანათლებლი სკოლებთან (მოსწავლეები, მასწავლებლები, პედაგოგები) და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან ურთიერობის გაძლიერება;

- ამოცანა II. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის, განსაკუთრებით რეგიონებში, მეტი ხელმისაწვდომობა ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსზე, რომელიც უნიკალურ მასალას მოიცავს ზოგადი განათლების კუთხით.

- ამოცანა III. სკოლებისათვის სტიმულის შექმნა ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსებზე დამსახურებლის გასაძლიერებლად.

- ამოცანა IV. სკოლებისათვის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არსებული და პოტენციური რესურსების ბაზაზე საქართველოს სკოლების მოსწავლეებისთვის დამხმარე საინფორმაციო პორტალის შექმნა.

განხორციელების გზები: პროექტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად და პროექტის ამოცანების შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ითანამშრომლებს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, რესურსცენტრებთან, განათლებისა და მეცნიერების, ასევე დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატთან, საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებთან.

საქართველოს რამდენიმე ქალაქში ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები (შეირჩევან სკოლიალიზაციიდან) ჩაატარებენ შეხვედრებს მასწავლებლებთან, უფროსკლასელებთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებთან, განათლებისა და მეცნიერების, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატის, საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებთან;

- შეხვედრების მომზადებაში ჩართული იქნება პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილებები. ამ განყოფილებების თანამშრომლები მოა-

მზადებენ მოხსენებებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე არსებული ციფრული რესურსების შექმნის, გამოყენების, შესაძლებლობების, პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ (ციფრული ბიბლიოთეკა, ლექსიკონები).

- მოხსენების შემდეგ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალურად შერჩეული ონამზრომლები შეხვედრის მონაწილეებს გააცნობენ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსებსა და მათი უფლებითად გამოყენების გზებს.

- შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გავრცელდება ადგილობრივი მედიის მეშვეობით.

- გამოვლენილი საჭიროებები მოერგება (იგულისხმება, დიზაინი და სხვა ტექნიკური დეტალები მოსწავლეებისთვის მიმზიდებულობა) ერთგულ ბიბ-

გამოვაქვეყნე (ტექსტი უცვლელადაა მოტანილი).
ასევე გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.

გაკვეთილის ასხნას, ბუნებრივია, აკაკი წერეთ-ლის მოკლე ბიოგრაფიით დავიწყებდი: <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/800/>

ბიოგრაფიას მოვრჩებოდი თუ არა, მოსწავლეებს შევასეხნებდი, რომ აკაკი წერეთელმა საუცხოო ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიც დაწერა.

http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/Cemi_Tavgadasavali.htm

შემდეგ უშუალოდ ნაწარმოებზე გადავიდოდი:

<http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/ganTiadi.htm>

ლექსის ჩემეული წაკითხვის შემდგებ, მოსწავლების აკადი წერეთლის მიერ წაკითხულ „განთიად“ მოვასმენინებდი, იმავ განუშმარტავდი, რომ



ლიონთვებაში არსებულ და პოტენციურ რესურსებს;

- შეხვედრებზე გამოვლენილი სკოლების საჭიროებების (მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის) საფუძველზე შეიქმნება საქართველოს სკოლების მოსწავლეებისთვის დაშმარე საინფორმაციო პორტალის მატერიალი;

შეკითხვა 4. რატომ არის განთავსებული ნაწარ-
მოებების გვერდები სხვადასხვა დიზაინი?

პასუხი: გვერდების დიზაინი მუდმივად იხევწება. არსებული ადამიანური რესურსი არ იძლევა საშუალებას კველა გვერდის ერთდროული ცვლილებისა. შესაძლებლობისთვალი კველა გვერდის დიზაინი ერთნაირი გახდება. ამასთან შევნიშნავთ, განსხვავდებული დიზაინი, ფაქტობრივად, ხელს არ უშლის საძიებო სისტემის მუშაობას და არ აფერხებს გვერდის და მთლიანად საიტის ნავიგაციას.

შეკითხვა 5. აპირებთ თუ არა საიტის ვიდეოებზამ-
კვლევის განთავსებას ინტერნეტ-სივრცეში და კონკ-
რეტულად სად? რამდენადც ვიციო, ეროვნულ ბიბ-
ლიოთოვას ასეთი პრაქტიკა გააჩნია.

პასუხი: ვიდეოგზამკვლეების შექმნაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. დასრულების შემდეგ ის განთავსდება ფეისბუქის გვერდზე „სასკოლო ლიტერატურა“, ასევე იუთუბებსა და სხვა ხელმისაწვდომ ინტერნეტ-რესურსებზე.

შეკითხვა 6. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი რესურსის მეშვიდებით განვითარების ჩატარება?

პასუხი: წინასწარ შევნიშნავთ, საიტის არც ერთი ადმინისტრატორი განათლებით ფილოლოგი და პროფესიონალი მასწავლებელი არ არის. ოუმცა, კითხვის პასუხად გთავაზომთ კონკრეტული გაკვეთის სქემას, რომელიც ჩემს ვიზუალის გარეზე

ლექსი „განთიადი“ აკაკი წერეთველმა მიუძღვნა
დიდ ქართველს, ქართველი გვლესის მიერ წმინდა-
ნად შერაცხეულ დიმიტრი ყოველს.

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000869/>

ლექსი, პოეტმა დიმიტრი ყიფიანის მთაწმინდის პანორამული დაკრძალვისას წაიკითხა და ამის შესახებ ქართული ეკლესიის მიერ, ასევე, წმინ-დანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილი მოგ- ვითხოდა:

http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/dimitri_yifianis_dakrZalva.htm მოსწავლებს ასევე გავახსენებდი, რომ დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას დექსი მიუძღვნა დუტუ შეგრელმა (ავტორმა ცნობილი დექსისა „მე პატარა ქართველი ვარ“. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/pataraqarTveli.htm>)

<http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/dimitriyifians.htm>

დღი თუ დამტკიცებოდა, მოსწავლეებს მთაწმინ-
დაზე დაწერილ თრ უმშვენიერეს ლექსს გავახ-
სენებდი:

ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოდამება მთაწმინდაზე“:

<http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/SemoRa-mebe.htm>

<http://www.palace-of-justice.be/medias/>

<http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/mtaw-mindismTvare.htm>

ამგვარი სქემით ჩატარებული გაკვეთილის შეახებ არაერთი გამოხმაურება არსებობს.

ბუნებრივია, ამგვარი გამოხმაურებები პროექტის ავტორსა და რეალიზატორებს არა მხოლოდ სიამოვნებას გვანიჭებს, არამედ კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაქისრებს.

ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი

აუსტრია ნაციპ

შიო მღვიმელი - 150

ბავშვების საყვარელი მწერალი

ეიო მღვიმელის გამოჩენა ქართულ მწერლობაში საბავშვო ქურნალის დაარსებას, საერთოდ, საბავშვო მწერლობის აღმავლობას დაემთხვა. შიოს ყველა ლექსი „ჯეჯილის“ და „ნაცადულის“ ფურცლებზე იძუჭდებოდა „მცირეწლოვან ყრმათოვის, ყმაწვილთავის“.

როდესაც შიო მღვიმელი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ქართულ საბავშვო მწერლობაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა დიდი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის იდეები. გოგებაშვილს აუცილებლობად მიაჩნდა, ბავშვებისათვის გასაგებად აქსენათ ბუნების მოვლენები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. „ბევრი ცხოველების ცხოვრება სავსეა იმგარი შემთხვევებითა, რომლებშიც ცხადად სჩანს მათი ერთმანეთის დახმარება, ქომაგობა, სიყვარული და თავგანწირულობა, ეს თვისებები ახდენენ ყმაწვილის ბუნებაში ღრმა შოაბეჭდილებას და ხდებიან საფუძველად მისი ზნეობითი თვისებებისა და კეთილი ხასიათისა,“ - წერდა იაკობ გოგებაშვილი.



ამავე პერიოდში იქმნება გენიალური ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები. ვაჟა იყო შიო მღვიმელის არა მხოლოდ უფროსი მეგობარი, არამედ მისი გულმრდებინე მკითხველი და დამფუძებელი.

შიო მღვიმელის ბუნების სურათები ყოველთვის ფერადი და ხატოვანია, ამავდროულად - შემეცნებითი - იგი სასარგებლო ცოდნით ამდიდრებს პატარების ცნობისწადილს. მრავალფერი ბუნების წიაღში ცხოვრობენ შიო მღვიმელის პატარა მწყემსები, მეხრეები, ცელქი, ონავარი გოგო-ბიჭები. აქ მთელი სამყაროა - წელიწადის ოთხი დრო, თითქმის ყველა თვე, უამრავი ყვავილი, შინაური თუ გარეული ფრინველ-ცხოველი. აი, სათაურებიც: „მარტს“, „მკათავე“, „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“, „პირველი თოვლი“, „ია“, „იის ნაამბობი“, „ენდელა“, „ყაყაჩი“, „შავი მელა“, „კურდდლის ჩივილი“. „შველი“, „კვერ-

ნა“, „პაწია მერცხალი“, „ჩიტი მზეწვია“, „ბულბული“, „ცისარტყელა“, „მდინარე“ - ყველა და ყველაფერი დაიტია მისმა საბავშვო პოეზიამ.

შიოს ია გასულდგმულებულია, ადამიანური გრძნობებით აღვხილი, და ბავშვის გულშიც თანაგრძნობას და სიხარულს ამკვიდრებს:

გელში ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა,
- მწყურიაო! - ჩუმადა თქვა,
დაძახება ვერ გაძედა.

განსაკუთრებით ეტრფის შიო გაზაფხულს, წელიწადის უმშვენიერეს დროს:

გაზაფხული დიდებული,
მორთული და მოკაზმული,
გულსათუთი, თვალლამაზი,
ყვავილებით დარაზმული.“

ამ ლექსებში დაფრთხიალობენ მოჭიქიჭიკე, გაზაფხულის მორბედი მერცხლები, ხოლო სადაც მერცხალია, იქ სიცოცხლე სუფევს, გაზაფხულია.

„ენაჟდურტულა მერცხალო,
მაღე მოყრინდი შენაცა,
რომ შენს ჭიკჭიკოან პაწიამ
ფეხიც აიდგას, ენაცა.“

შიო მღვიმელის ლექსებში ცელქი, ონავარი ბიჭები ცხოვრობენ, მაგრამ შრომაც უყვარო და სწავლაშიც ბეჭითობენ, ბევრი ზღაპარი და გამოცანა იციან და, რაც მთავარია, ძალიან კეთილები არიან.

პოეზიის ამ სამყაროში სხვა გულთამხილაობით არის აღწერილი გოგონების დედოფალებით დასახლებული სამყარო, ამ სამყაროში მათ პოეტის საყვარელი ქალიშვილების სახელები ჰქვიათ: თამარი, ნინო, ქეთევანი:

ფაციფუცობს თამარ-ქალი,
ჯარასავით ტრიალშია:
უნდა მორთოს დედოფალი,
დღეს სულ იმის ტრფიალშია.
სწორედ იყო გარიურაჟი.
საკერავს რომ მიჰყო ხელი,
კაბა უნდა გამოკანკლოს,
კოპწია და მშვენიერი... („თამარ ქალი“)

უდიდესი დაკვირვებით და იუმორის გრძნობით არის გაჯერებული ლექსი „თამრიკო და

ნანა“, სადაც ვირტუოზულად არის გამოყენებული ენაგაუმართავი ბავშვის ტიტინი:

ის ამბობს ქათამს, შენ- თათამს,
ის კატას, შენ კი- ტატასა,
ასე პგონია, დასცინი
და უმეორებ „ტა, ტასა“.
დოდორი წამოიღეო,
დიდია მეუბნებაო,
თოტ ზე დაბმული ტურდღელი
იტლატნებაო, ტვდებაო.

შიო მდვიმელის პოეზიაში მერცხალი სიმბოლოა სიცოცხლის, სიხარულის, გაზაფხულის, სამშობლის სიყვარულის. შორეულ ქვეყნებში გაფრენილი ფრთხოსნები ყოველთვის ძველ ბუღებში პრუნდებიან. პოემა უძვინა შიომ შეუბრალებელი ბიჭის მიერ დაკოდილ მერცხლის ტრაგედიას. ქართული ლირიკული პოეზის მშვენება „მე პატია მერცხალი ვარ“.

მე პატია მერცხალი ვარ,
მოჭიკიკე, მოალერსე,
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?
სიყვარულით, სიხარულით
ზღვები, მოები გადმოვდესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვეხესე...

უსაზღვრო სიყვარულით არის სავსე შიო მდვიმელის ყველა ლექსი, რომელიც უშუალოდ ბავშვს ეხება. „ ჩემი პატია მერცხლები, ჩემი სიცოცხლის სივები“ - ასე მიმართავს პოეტი ბავშვებს. ლექსები გაჯერებულია თბილი ღიმილით, კეთილი იუმორით:

ჰეი, ბიჭო, ბიჭო წერიპა!
გახსოვს ბებომ რომ გაგწიპა?
ვაშლის ქურდი დედის კალთას
ამოეკარ, როგორც ტკიპა.
შე ნაბიავ, მერე მაგას
ვინა მალავს, ვინა ჩქმალავს!
ოუ ეგრეა, შენ კი ჩემზე
ცოტა რამე მოგიპარავს!?

შიო მდვიმელის ლექსის ფორმა ხალხურია, უაღრესად ეროვნული, ხატოვანი, მდიდარი ლექსიკო. გრძელ ზამთარში ბუხრის პირას ნათქვამი ზდაპრებიდან გადმოსახლებულა შიოს პოეზიაში ციბიერი მელა, საქათმე რომ დააცარიელა, ყველაფერი კი ძერას დაბრალდა:
ულვაშები ჩაიკვიტა
და ცბიერად ჩაახველა...
ძერა მოჰკლეს უბედური
დაუსჯელი დარჩა მელა.

აქ ლექსებში „მხემ შემოიდიმილა“, ენდელა „ჩაიყოილა“, ფისომ კუდი „შემოილამასა“. ხალხური პოეზიის მოტივზე იგლოვენ თავდადებულ ბერურას ჩიტები და ყვავილები, მზეც კი მკრთალად

ანათებს. „ ძირს ბარი, მაღლა კი მოები იმოსებ ბოდნენ შავიოა“, „მიცვალებული რვა მერცხალს წყნარად მიპქონდა ფრთხილია“.

შიო მდვიმელის ლექსები იბეჭდებოდა „ჯეჯილში“, „მნათობში“, „ნაკადულში“, აქედან სასკოლო სახელმძღვანელოებში და სკოლაში ასწავლიდნენ პატარებს. ასე გაიცნო და შეიყვარა მოელმა საქართველომ ბავშვთა პოეტი - შიო მდვიმელი.

შიო მდვიმელი (ქუჩაშვილი) ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში დაიბადა 1866 წელს, 21 მაისს.



შიოს მშობლებს 10 შვილი ჰყავდათ, მათგან შიო ყველაზე უმცროსი იყო გორის ოთხელასიანი სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შიო მუშაობას იწებს თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მადაზიანში. საბუდალტრო საქმეც კარგად ეხერხებოდა. შემდეგ სხვადასხვა უწრნალგაზეობში კორექტორად მუშაობდა.

პატარა შესახვევი თბილისში, სადაც შიოს სახლი იდგა, შიო მდვიმელის სახელს ატარებს.

სიცოცხლეშივე, არცოუ ხანდაზმულს, დიდი და პატარა „ძირ შიოს“ ეძახდა. 1916 წელს მადლიერმა ერმა, მისმა პატარა მკითხველებმა საყვარელ მწერალს მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს. მაშინ უწოდა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ივანე გომართველმა შიო მდვიმელს „ბავშვების აკაკი“:

მერცხლების მამა, ჩიტების ელჩი,
კურდღლების ძია, წყაროს მმობილი,
იის ნათლია, ყანის დარაჯი,

ხის და ხეხილის ხმათა მცნობელი. - ასე აფასებდა დიდი გოგლა ლეონიძე შიო მდვიმელს, როგორც პოეტს.

შიო მდვიმელი 1933 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა. განისვენებს დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტერატურა:

ნაკაშიძე ნინო. მოგონებები. - თბ., 1946.

ბარდაველიძე ბეჭან. ლიტერატურული ნარკვევები. - თბ., 1977.

გოგოლაძე-გაბუნია მ. მწერალთა ბიოგრაფიული. - თბ., 2005.

ლუარსაბ ბოცვაძე – „დედაენის“ დიდი მოჭირნახულე

ლნობილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, უკრნალ „განათლების“ დამარსებელი და მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის ერთ-ერთი თანმიმდევრული მებრძოლი ლუარსაბ ბოცვაძე (1866-1919) მოღლი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ჭეშმარიტად და მაღალი პატრიოტული სულისამართებით იცავდა „დედაენას“. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დაცვას, მათ შესწორებებსა და გამოცემებზე ზრუნვას მიუძღვნა მან არა ერთი და ორი წელი ურნალ „განათლების“ ფურცლებზე. 1911 წლიდან, როდესაც ი. გოგებაშვილის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, ლ. ბოცვაძე სათავეში ჩაუდგა „დედა ენის“, „ბუნების კარისა“ და „რუსესკოე სლოვოს“ გადამუშავებას იმ პრინციპების შესაბამისად, როგორც აგებული იყო ადნიშნული სახელმძღვანელოები. ლ. ბოცვაძე ი. გოგებაშვილს ბოლო წლებში ხშირად ხვდებოდა და ყოველგვარ შესწორება-დამუშავებას ათანხმებდა მასთან. ი. გოგებაშვილმა, როგორც ცნობილია, მოღლი თავისი ქონება და სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის უფლება ქ.შ.კ. გამავრცელებული საზოგადოების გამგეობას გადასცა. წ.კ.გ. საზოგადოებასთან შექმნილი იყო სპეციალური კომისია ლ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით. სახელმძღვანელოების შესწორებების ვარიანტებზე მუშაობდა კომისია გამოცდილი სახალხო მასწავლებლებისა და მეცნიერთა მონაწილეობით. როგორც „დედა ენის“ მკვლევარები ადნიშნავენ, ლ. ბოცვაძის ხელმძღვანელობით, კომისიამ სახელმძღვანელო გაამდიდრა მეთოდური მასალებით, მასწავლებლებს მისცა სადი პედაგოგიური დარიგებანი და ამით ხელი შეუწყო მშობლიურ ენაზე სწავლების მყარ ნიადაგზე დაფუძნებას. ლ. ბოცვაძეს შეგნებული ჰქონდა, რომ „დედა ენა“ თავისი შინაარსით, მასალის დალაგების სისტემით და სტრუქტურით ეფუძნება დრმად გააზრე-



ბულ პედაგოგიურ თვალსაზრისს. „დედა ენის“ ავტორი არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი იყო, არამედ საბავშვო მწერლობისა და ბავშვის ფსიქოლოგიის პარგი მცოდნევი, ამასთან ერთად, ი. გოგებაშვილი გახლდათ „ქართული ენის ბუნების საიდუმლოების იშვიათი მცოდნე“ (1,130).

თვითონ ლუარსაბ ბოცვაძეს იმთავითვე უცილობლად მიაჩნდა სახალხო სკოლებში „დედაენის“, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელოს შემოღება, მისი სრულყოფა, დაცვა და პოპულარიზაცია. ლ. ბოცვაძეს ლრმად სწამდა, რომ „ადამიანი უნდა აღიზარდოს მისი ბუნების მიხედვით“, „ბავშვის სული, - წერდა იგი, - როგორც მოზრდილი ადამიანისა, საიდუმლოებით არის მოცული, ამიტომ

ასე ადვილად ვერ შეეხბით მას, ეს სული სიყვარულით უნდა აღიზარდოს, მეცნიერებით უნდა გაშუქდეს“ (2,298); ლ. ბოცვაძის აზრით, მასწავლებლმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის აღზრდას და განათლებას ეროვნულ ნიადაგზე. ადრინდელი ასაკიდან უცხო ენის სწავლების შესახებ ლ. ბოცვაძე პრინციპულებით იცავდა თავდაპირველად მშობლიური ენის დრმად შესწავლის საკითხს. „ვიდრე ბავშვს საკმაოდ არ შეუსწავლია დედა ენა, სანამ მას თავისუფლად და დრმად არ გამოუთქვამს თავისი საკუთარი მოთხოვნი-

ლებანი, არ განვითარებულა საკმარისად, მანამდის უცხო ენის სწავლება არც საჭიროა და ფრიად მავნებელიცაა“ (3, 57); ოჯახშიც და სკოლაშიც საჭიროა დავიცვათ დედა ენის დირსება და განვავითაროთ იგი. დიდი პედაგოგის აზრით, როდესაც ბავშვი დედა ენას სწავლობს, მასთან ერთად იგი ითვისებს არა მარტო სიტყვებს, ფორმებს, არამედ ისმენს აუარებელ ცნებასა და აზრებს, ითვისებს შესედულებებს ბუნებაზე, რომელიც ორგანულად გამომდინარეობს დედა ენის სიბრძნიდან.

სწავლების საფუძვლად დედა ენის მნიშვ-

ნელობის შესახებ ლ. ბოცვაძე მიუთითებდა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან. სახალხო მასწავლებელი მკაცრად იცავდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ შეხედლებებს, ამდიდრებდა მათ და ყოველდღიურად აყენებდა ეროვნულ ნიადაგზე. ერთგან იგი თატიმისტური პათოსით წერდა: „მალე დადგება ის დრო, როდესაც მშობლიურ ენას ყველა სკოლაში უპირველესი და დრმა აღმზრდებოდითი მნიშვნელობა მიენიჭება, რუსეთში ეს საკითხი განმარტა უშინესიმ, ჩვენში - ი. გოგებაშვილმა“ (3,63); შევსებული, მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებზე დამყარებული სწავლება ბევრად უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ე.წ. აკადემიური, ანუ წიგნური სტილი. „ეხლანდელი სკოლა, - წერდა იგი. - სცოდაგს იმაში, რომ მოწაფეებს არ აჩვევს ცოცხალ ლაპარაკს და შეხებით კითხვას, ყველაფერი წიგნურმა სწავლებამ ჩანთქა, მკვდარმა ასოებმა მოინელა, საქმით კი დღევანდელი საშუალო სკოლა ვერც წერას ასწავლის რიგიანად და ვერც - კითხვას“ (2,59); დედა ენა, ლ. ბოცვაძის აზრით, „ისეთი ძვირფასი რამ არის, რომ სადაც მისი შესაფერი პატივით არ ეყრდნობა, იქ ბარბაროსობაა, იქ სიბრძლეა, ტანჯვაა, ის სკოლა, სადაც დედა ენა აბუზიდ არის აგდებული, სადაც სწავლება საგნებისა ბავშვის ღვიძლის ენაზე არ წარმოებს, ის სასწავლებელი ადგილია და არა საღვთო ტაბარი, რომლის წმიდათა წმიდა მუდამ შეუბდალავი უნდა იყოს“ (2,446);

ი. გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელობში გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ წერდა ანდერმში: „ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნეს შეტანილი მხოლოდ ზედმიწევნით შეწავლის შემდეგ საზოგადოების (იგულისხმება წ.კ.გ. საზოგადოება)ყველა წევრის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე (4,). ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა თავისი სახელმძღვანელოების დირექტები. ამ სახელმძღვანელოების ფასი და დირექტა ასევე კარგად პქონდა გააზრებული ლ. ბოცვაძეს. მისი ხელმძღვანელობით ჟურნალი „განათლება“ სისტემატურად აქვეყნებდა სახალხო მასწავლებლებისა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა დასაბუთებულ მოსაზრებებს ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ გარდამული ცვლილებების შეტანის შესახებ. მასწავლებ-



ლები ასეთი შესწორებების მომხრენი იყვნენ, მაგრამ ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათ იაკობ გოგებაშვილმა მისცა იმისთვის იარაღები, რომელთა საშუალებით მათს შრომას სახალხო განათლების ასპარეზზე მოაქვს სასურველი ნაყოფი.

ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ თავი წამოყვეს „დედაენის“ მოწინააღმდეგებმა. როგორც ჟურნალი „განათლება“ იუწყებოდა, „ჯერ კიდევ არ იყო გაცივებული დიდი პედაგოგის გვამი, როდესაც ზოგიერთები ცდილობდნენ ნეტარხესენებული გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს წესი აუგან, ამას არც ერთი ველური ხალხი არ ჩაიდენს, ჩვენ შევცდებით ყველა გამოვაძეკარავოთ, დავ, საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი“ (5, 547); სახალხო მასწავლებლების პროგრესული

ნაწილი თავის ზეობრივ მოვალეობად მიიჩნევდა სკოლებში მხოლოდ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით ესწავლებინათ. ლ. ბოცვაძე შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ყველას, ვინც თვითნებურად შეეცდებოდა ცვლილებები შეეტანა ამ სახელმძღვანელოებში, ან სრულყოფილად, პროგრამასთან შესაბამისობაში არ გამოიყენებდა „დედა ენას“. ამის შესახებ ლ. ბოცვაძე გადაჭრით მიუთოებდა: „დედა ენიდან“ ზოგიერთი მასწავლებელი გამოტოვებს ხოლმე გარკვეულ საკითხავ მასალას, ეს არის შეურაცხყოფა ჩვენი კოპტია სახელმძღვანელოსი, ჩვენი სკოლებისა და თვით ი. გოგებაშვილისა; ასეთი მასწავლებლები სახელს უტეხენ ჩვენს სკოლას, ზოგი ჩვენი მასწავლებელი ვერ იცნობს ამ სახელმძღვანელოების დირსებას, არ აქვს შესწავლილი და შეთვისებული; ასეთი მასწავლებლების აზრით, ეს გამოტოვებული მასალები „ბავშვებმა მაინც იციანო“ (5, 629); ასეთ მასწავლებლებს ავიწყდებათ, რომ საკითხავ მასალებს ერთი-მეორესთან ორგანული კავშირი აქვთ, რომ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენენ. ასეთი მასალების თვითნებურად გამოტოვება ლ. ბოცვაძეს მიაჩნია ბუნებრივი და პედაგოგიური კანონების დარღვევად. ლ. ბოცვაძე პედაგოგთა თათბირებზე, საკუთარი ჟურნალის ფურცლებზე და წ.კ.გ. საზოგადოების სპეციალური კომისიის სხდომებზე პრინციპული და შემართებით ილაშქრებდა „დედაენის“ ყოველგვარი შესწორებისა და დევნის წინააღმდეგ. 1914 წელს იგი წერდა: „დედაენას“, ამ ერთადერთ

ბურჯს ეროვნებისას, რომელიც შეადგენს ერის სულიერ სიმძიდრეს და აღზრდის საუკეთესო იარადს, ბერჯერ აბუჩად იგდებენ და ზოგან სრულიად აძვევებენ სკოლიდან; რა დირსი უნდა იყოს ისეთი სასწავლებელი, სადაც დედა ენასაც კი არ ასწავლიან, ან რა სარგებლობას მოუტანს უდედაენო სკოლა ქვეყანასა და სამშობლოს, დედა ენას დედონაცლის როლში ამყოფებენ ზოგიერთ სკოლაში; ი. გოგებაშვილის მეოქებით ქართულ ენას შერჩა ზოგიერთი უფლებანი საქართველოს სკოლაში და ქართველი ერის, როგორც ცალკე ეროვნებას სიცოცხლე“ (6, 779);

1912 წელს ლ. ბოცვაძემ წ. კ. ბ. საზოგადოების კომისიას (მდივანი დ. კარიჭაშვილი) წარუდგინა „დედაენის“ მე-2 ნაწილი შესწორებებითა და დამატებებით, კერძოდ, სახელმძღვანელოში ლ. ბოცვაძემ წინასწარი განხილვების შედეგად შეიტანა შემდეგი სახის შესწორებები:

1. შემცირდა წიგნის სასაუბრო ნაწილი, მათ ნაცვლად ადგილი დაიკავა ახალი შინაარსის საკითხავმა მასალამ;

2. მხატვრულ ნაწარმოებობან ერთად გაძლიერდა საბუნებისმეტყველო მასალების წილი; ასეთი მასალების შეტანა და ცვლილება ლ. ბოცვაძის აზრით, ბავშვებს აჩვევს შრომას, ზრდის მათში შემოქმედების მოთხოვნილებას, ისინი ეუფლებიან რეალურ საბუნებისმეტყველო ცოდნას;

3. „დედაენიდან“ ამოდებულ იქნა საგრძნობი ნაწილი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ხასიათის საკითხავი მასალა. ასეთი მასალების კოთხვით, ლ. ბოცვაძის აზრით, საზოგადოდ ბავშვები ზნეობრივად ვერ ფიქრდებიან. ბავშვის ზნეობრივ აღზრდას მივაღწევთ პირდაპირი გზით, საჭროა ბავშვებში განვავითაროთ ნებისყოფა, მოვალეობის შეგრძნების უნარი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, რაც კარგი საშუალებაა მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის;

4. „დედაენის“ მე-2 ნაწილში ლ. ბოცვაძემ დამატებით შეიტანა სურათები, რომელთა მიხედვით მოსწავლეები ადგენენ პატარ-პარა მოთხოვნებს;

5. „დედაენას“ ი. გოგებაშვილმა დაურთო მნელად გასაგები სიტყვების ახსნა, ეს ნაწილი უფრო განავრცო ლ. ბოცვაძემ;

ასეთი არსებითი შინაარსის ცვლილებებით „დედაენა“ გამოიცემოდა 1920-იან წლებამდე. „დედაენის“ მოწინააღმდეგებებს ლ. ბოცვაძე უკვეთვის ეხმაურებოდა ჯეროვანი პედაგოგიური ტაქტით, იცავდა რა მშობლიურ ენაზე სწავლების ი. გოგებაშვილისეულ პრინციპებსა და მეთოდებს. მას ნათლად

ჰქონდა შეგნებული, რომ „დედაენის“ ობიექტური შემფასებელი და ბატონ-პატრონი მთელი ქართველი ხალხი იყო. ფაქტობრივად, ლ. ბოცვაძემ ცილისმწამებლებისა და უადგილო კრიტიკოსების მაგალითზე, მათთან კამათში კიდევ უფრო აამაღლა „დედაენის“ ავტორობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილი არასოდეს არ ყოფილა იმის წინააღმდეგი, რომ ქართული სკოლებისათვის სხვებსაც გამოეცათ სახელმძღვანელოები; თუ უკეთესს გამოსცემენ, მით უფრო კარგი იქნება ქვეყნის განათლებისთვის - „მაშ, გაუმარჯოს იმას, - წერდა იგი ჯერ კიდევ 1895 წელს გაზეო „ივერიაში“, - ვინც გამსჭვალულია წმინდა სურვილით, მისცეს ქართულ სკოლას და ხალხს „დედაენაზე“ უკეთესი წიგნი“. „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების მამოძრავებელი ძალაა, ამ წიგნმა გამოიარა დიდი ქარტეხილები და გაუძლო საუკუნის გამოცდას. იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეში „დედაენა“ 33-ჯერ გამოიცა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე „დედაენა“ 45 წლის განმავლობაში ემსახურებოდა მშობლიური ენის კეთილშობილურ საქმეს. 1940-იანი წლებიდან „დედაენის“ ორივე ნაწილი შეერთდა და ეწოდა „დედაენა“, I ნაწილი. თითოეულ გამოცემას საფუძვლად ედო იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების აგების დიდაქტიკური პრინციპი. წიგნში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება და ცნებები ნაკარნახევი იყო სასწავლო პრაქტიკით და ცხოვრებისეული გამოცდილებით, პედაგოგიური მეცნიერების ცხოვრებასთან კავშირის აუცილებლობით. პედაგოგიურად დასაბუთებული ცვლილებები „დედაენაში“ ორგანული გამოხატულება იყო იმ მიღებობისა, რომლებისაც აყალიბებდა დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, „ედა ენის“ უბადლო დამცველი და მოჭირნახულე ლუარსაბ ბოცვაძე.

ლიტერატურა:

1. რამიშვილი, ვ. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. - თბ., 1979., - 130 გვ.
2. ქურნ. „განათლება“ - 1910. - №6;
3. ქურნ. „განათლება“ - 1908. - №1;
4. იოვიძე ა. - იაკობ გოგებაშვილი: დოკუმენტური მასალები. - თბ., 1951. - 135 გვ.
5. ქურნ. „განათლება“ - 1914. - №8;
6. ქურნ. „განათლება“ - 1914. - №9;
7. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია - თბ., 1957. - 138გვ.
8. ჭეშასელი, ი. - ლუარსაბ ბოცვაძე. - თბ., 1954. - 128გვ.

ისტორიის ფურცლებიდან

მიჩნან ხოსტაშვილი

საქართველოს პარამენცის ეხოვნელი ბიბლიოთეკის გენერალური ენერეტიკის მოაღილე

ქალაქ ართვინისა და მისი მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებული ტერიტორიის ისტორიული დემოგრაფიის საკითხები

ქალაქი ართვინი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ჭოროხის ნაპირზე მდებარეობს. ართვინი ფეოდალური საქართველოს ისტორიული მხარის, კლარჯეთის მთავარი ქალაქი იყო. იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარეობდა. მდინარე ჭოროხის აუზი და კერძოდ ქალაქი ართვინი ძველთაგანვე კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიის მნიშვნელოვანი კურა იყო. ამ ადგილას ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა დასახლება. რომელიც VIII–IX საუკუნეებში ფეოდალური ქალაქი გახდა. ართვინი თავდარიოველად საკურაპალატოს ეკუთვნოდა, შემდგომ გაერთიანებული საქართველოს სამეფოში შემოდიოდა, ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ სამცხე საათაბაგოს მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისის ცნობილი ისტორიული მოვლენების შემდეგ ქალაქი ართვინი დაკინდა და ფუნქციური დატვირთვაც მოაკლდა.

1878 წელს რუსეთ თურქეთის ომის შემდგომ ართვინი რუსეთის იმპერიაში ართვინის ოკრუგის სახელით შევიდა. 1918–1921 წლებში იგი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაშია. 1921 წლიდან ქალაქი ართვინი ისევ თურქეთის საზღვრების შიგნითაა მოქცეული. დღეისათვის ქალაქ ართვინში 23 ათას-სზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს.

ჩვენთვის ერთობ საინტერესო ცნობებს გვაწვდს ამერიკელი ეთნოგრაფი პროფესორი ენდრიუსი, რომელმაც იმოგზაურა თურქეთში და შექმნა მონო-

გრაფია „ეთნიკური ჯგუფები თურქეთის რესპუბლიკაში“, რომელშიც მოცემული აქვს ქართული სოფლების სია. თურქეთში ქართული სოფლების აღწერით ამერიკელმა მეცნიერმა ამით ერთობ დიდი საქმე გააკვთა, ხოგიერთი სოფლის სახელი შესაძლებელია დამახინჯებული იყოს ან, საერთოდ, გამორჩენილიც, მაგრამ ამ სიის წარმოდგენა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია. ართვინის ვილაიეთის სოფლების ჩამონათვალი ასე გამოიყერება: 1. ერენლერი \ირსა\, 2. ორმანლი \ორმანა\, 3. თაშლიჯა \ჰათილა\, 4. თუთუნჯულერი \კალთა\, 5. ორთაქო \ბერთა\, 6. ჩიმენლი \ჩიმერქ\, 7. ჰამამლი \დოლისჰანე\, 8. საკალარი \სალოეთრა\, 9. აშადიმადენი \ჰოთი\, 10. იუკარიმადენი, 11. ბორჩხა \კასაბა\ 12. ადაგული, 13. ალაჯა. 14. ამბარლი, 15. არალიკ, 16. არკაქო, 17. ათანოდლუ, 18. ალჯი, 19. ჯივან, 20. იბრიქლი, 21. აინარჯა, 22. სულუქლუ, 23. არაქლი, 24. ძორლუ, 25. უამილი, 26. გოქთაში, 27. მურათლი \მარადიდი\ 28. ჩავუსლუქერუ, 29. გურეშენი \ბეილევანი\ 30. კარშკოუ, 31. ესქიკალე \უსტამიში\, 32. თეფექოი \აპალდაბა\, 33. იანიკლი \ჩიპისჰევი\ 34. ეიდანჯიკი \იმერჰევი\, 35. იალზინ დემირჯი \დაბა\, 36. აკდამლი \ჩიხვერა\ 37. ოფრულუ \ოქრობაგეთი\, 38 ჩევრელი \ფეთრექი\, 39. დერეხი \დერეხი\, 40. ბალჩიკი \ბალჯილიბადი\, 41. ბიჩაქხილარი, 42. იუქსექოვა \კობაკი\, ამრიგად ართვინის ვილაიეთის ჩამონათვალში აღნუსხულია 42 სოფელი.

ზ. ჭიჭინაძე (1854-1931) მნიშვნელოვანი ინფორმაციას გვაწვდის ართვინის ქართველთა გამაჰმადიანების შესახებ, რამაც,

რასაკვირველია, აღნიშნულ რეგიონში მკვიდრ ქართველ მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგრადირეობაზე დიდი გავლენა იქონია. ქართველთა გამაპმადიანების ისტორიით დაინტერესებული ზაქარია ჭიჭინაძე ათი წლის მანძილზე აგროვებდა ცნობებს. ართვინის გამაპმადიანების შესახებ ცნობებს, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ქრისტიანი და რჯულშეცვლილი ქართველებისგან იღებს. მკვლევარი ყურადღებას აქცევს სოფელ ბერთას გათარების ისტორიას, „ბერთაში ძველად მშვენიერი ეკლესია იყო და აქ ეკლესიას დიდი ზეგავლენა ჰქონდა ამ შესახის ქართველებზე, ბერთას ეკლესიის ბერები ოურმე შეუპოვრობისკენ მოუწოდებდნენ ქრისტიან ქართველებს, ამიტომ იყო რომ ოსმალებს იერიში ბერთას ტაძარზე მიუტანიათ, სამდვდელონი გაუძარცვავთ და ეკლესია მეზეთად გადაუკეთებიათ. ეს ეკლესია ჯამეთ გადაკეთებული დღესაც დგას კლარჯეთში“.

ოსმალების წინააღმდეგ მიმართულ ქართველთა ბრძოლებს დამპყრობითა მკაცრი და დაუნდობელი ქმედებები მოსდევდა. ისინი ერთდროულად არბევდნენ 20-30 სოფელს, ამ სოფლების მცხოვრებთ ერთად შეკრებდნენ, გარშე-



მო ოსმალებს ჩაუყენებდნენ და რჯულის შეცვლას მოსთხოვდნენ, ხ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს: „პატიმარ ქართველებს მოუყარეს ერთად თავი და ყველა ესენი წყობა-წყობა მიჰყავდათ ართვინის ხიდის გვერდით, რომელი ხიდიც ჭოროხშე იდგა დატყვევებულ ქართველთა პირდაპირ, ხიდის გვერდით, ართვინის ეკლესიიდან მიტაცებული ხატი ესვენა. ხატის გვერდით იყო თავსაკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები თავ-საკვეთით

აღჭურვილნი. სამ-სამი ქართველი ხატის წინ მიჰყავდათ მოშორებით აყენებდნენ და მათგან ამ ხატის შეურაცყოფას მოითხოვდნენ. იმ ქართველ ქრისტიანთა ნაწილმა ხატის შეფურთხებას სიკვდილი არჩია მოჰკვეთებს ამათ თავები და გადაჰყარეს ჭოროხში. ამ მოწამების სიკვდილი და წამება რა ნახეს მრავალთა, ესენი შეშინდნენ, იწყეს დარტვინვა თავის დანანება და ამიტომ ისურვეს ოსმალთა ბრძანების აღსრულება და ხატზედ მიფურთხება“.

ართვინის ხიდთან, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, 800 ქართველისთვის, ხოლო ზოგი მონაცემით 1400 ქართველის მოუჭრიათ თავები და ჭოროხში გადაუყრიათ. ხ. ჭიჭინაძე ასკვნის: „ართვინის ხიდის გვერდით დიდალი ქართველობა გაწყვეტილა ოსმალთა წინაშე ბრძოლაში მაპმადიანობის გამო დახოცილებში ბევრი დედაკაციც რეულა და მღვდლებიც“.

ქართველთა ნაწილს ოსმალთაგან თავი იმით დაუძვრენია, რომ კათოლიკობა უდიარებია ან სომხად დაწერილა. ქართველ კათოლიკეთ თვით რომის პაპი მფარველობდა, ამიტომ ოსმალები თავს არიდებდნენ ქართველ კათოლიკებზე ზეგავლენის მოხდენას. სავარაუდოდ სწორედ ამ მიზეზის გამო უნდა შექმნოდეს შთაბეჭდილება ცნობილ რუს ისტორიკოსებისა და მოგზაურს ევგენი გუსტავის ძე ვეინდებაუმს, რომელმაც 1878 წელს იმოგზაურა ბათუმსა და ართვინში, რომ აღიშნულ ქალაქში სომეხი კათოლიკები ცხოვრობენ. იგი ქალაქ ართვინის გეოგრაფიულ დახასიათებასაც გვაწვდის და მის ორიგინალურ მდებარეობას აგვიწერს: იგი იწყება პირდაპირ გადებული ხიდიდან 275 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც რამდენიმე სახლი და ზეთისხილის ტყეა, თავად დასახლება მჭიდროა, ქვემოთ ტერასებზე გაშენებული ბაღები და ზეთისხილის ნარგავებია. ტერასები გამაგრებულია ქვის კედლებით. ქუჩები ვიწრო და დამრეცია, რომლებიც ქვებითაა მოკირწყლული. ვეიდენბაუმი ყურადღებას ამახვილებს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას

სომხურ გრიგორიანული და კათოლიკური სარწმუნოების მღვდლები იყვნენ, რომლებიც კარგად გაუმასპინძლდნენ, მათთან საუბრის შედეგად ასკვნის, რომ ქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სომეხი კათოლიკებია, დაახლოებით 800 კომლი; შემდეგ არიან მუსლიმები 500 კომლი; გრიგორიანი სომხები 100 კომლი. ართვინელ კათოლიკებზე საუბრისას, იგი ამბობს, რომ ისინი ატარებენ ევროპულ ტანსაცმლს და ყველა ლაპარაკობს თურქულად. მოსახლეობის რელიგიური რიცხვის თანახმად, ქალაქში არის სამი კათოლიკური ეკლესია. კათოლიკე მრევლი ექვემდებარება ეპისკოპოსს, რომელიც თავის მხრივ განაგებდა არდაგანს, ოლიას, ბათუმს და შავშეთის კათოლიკური მოსახლეობის სოფლებს. ეპისკოპოსი კი ემორჩილებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს. ვაიდენბაუმი აგრძელებს ართვინელ კათოლიკე მოსახლეობაზე საუბარს და გადმოგვცემს, რომ ისინი არ იცნობენ საკუთარ ისტორიას. მხოლოდ იციან ის, რომ მურღულის წყალზე ცხოვრობდნენ და აქედან გადავიდნენ ართვინში, მაგრამ როდის მოხდა ეს ფაქტი ან რა მიზეზით, უცნობია. რუსი მეცნიერი არსად ასახელებს ართვინში მცხოვრებ ქართველებს. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, შესაძლოა იყოს ის, რომ ამ პერიოდისათვის ბევრი ქართველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მარტინ და ამავე დროს მცხოვრები მარტინ გარებულის სახელით მოხდა ეს ფაქტი.

რჯულშეცვლილია და უკვე ან გასომხური სარწმუნოების მიიღო და ოსმალების შიშით მაღავს საკუთარ რეალურ წარსულს. ამ ცნობის არასწორობის მეორე მიზეზიც არსებობს. იმ პერიოდში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რუსი მოხელეები შეგნებულად მაღავდნენ ქართველთა რაოდენობასა და განსახლების არეალს. ისტორიის გაყალბების ფაქტები, რუსების მხრიდან, ქართულ ისტორიოგრაფიაში, სამწუხაროდ, მრავლადა.

ართვინის მხარე ძველთაგანვე ქართველთა სამკედრო იყო, ამას ადასტურებს, ზემოთ მოტანილი წყაროების გარდა, სტატისტიკური მონაცემები კავკასიის მოსახლეობის შესახებ, რომელიც 1886 წელის საოჯახო სიების საფუძველზეა შედგენილი, კავკასიის მოსახლეობის აღწერის დროს. ეს მონაცემები ძალზე საინტერესოა, თუ გავითვალისწინებო იმას, რომ რუსეთი ყველთვის დაინტერესებული იყო ერთიანი საქართველოს დაშლითა და ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების გამოცხადებით. აქ მოყვანილია ართვინის ოკრუგში შემავალი ართანუჯის უბნის სოფლების ქართველი მოსახლეობის რაოდენობა როგორც კომლების მიხედვით, ისე - სქესობრივი მონაცემებით.

	წელი	ეთნოსი	კომლი	კაცი	ქალი	სულ რაოდენობა
ართვინის ოკრუგი არტანუჯის უბანი	1886	ქართველი	556	1734	1599	3333
ანჩის სასოფლო საზოგადოება	1886	ქართველი	215	615	572	1187
ანაგერტი	1886	ქართველი	59	172	158	330
ანჩი	1886	ქართველი	76	206	191	397
აჩქორა	1886	ქართველი	52	156	142	298
ოპისჭალა	1886	ქართველი	28	81	81	162
არტანუჯის სასოფლო საზოგადოება	1886	ქართველი	217	550	477	1027
ოშხანარი	1886	ქართველი	14	34	30	64
გუმიშხანის სასოფლო საზოგადოება	1886	ქართველი	1	2	6	8
ახიზა	1886	ქართველი	1	2	6	8
ქარსნის სასოფლო საზოგადოება	1886	ქართველი	121	379	374	753
გოროშეთი	1886	ქართველი	51	145	150	295
ქარსნი	1886	ქართველი	37	117	105	222
ქონტროში	1886	ქართველი	18	61	63	124

სოლიანა	1886	ქართველი	8	35	33	68
უსტამედი	1886	ქართველი	7	21	23	44
ლონგოთხევის სასოფლო საზოგადოება	1886	ქართველი				
ლონგოთხევი	1886	ქართველი	1	2	3	5
სამხარის სასოფლო საზოგადოება	1886	ქართველი	218	736	664	1380
ნორგიელი	1886	ქართველი	32	103	101	204
ჰეტობანი	1886	ქართველი	22	64	55	119
სამხარ-წყალი	1886	ქართველი	114	405	327	732
ჩიდილი	1886	ქართველი	50	164	161	325

ასე რომ ართვინის ოკრუგში შემავალ არტანუჯის უბანში 556 კომლი ქართველია დასახელებული, რაც, თითქმის, ორჯერ აღემატება აქ მცხოვრებ სომხურ მოსახლეობას 304 კომლი. ზემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, საკმაო რაოდენობით უცხოვრიათ დასახელებულ სოფლებში ქართველებს.

უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა რუსეთის იმპერიის მიერ 1910 წელს გამოცემული კავკასიური კალენდარი, რომელშიც 1905, 1907 და 1908 წლების მონაცემებია შეტანილი ქართველებით დასახელებული სოფლებისა და ქართველთა რაოდენობის შესახებ ართვინის ოკრუგში.

ართვინის ოკრუგი	წელი	ხალხი	რაოდენობა
სოფელი ანაგერტი	1908	ქართველები	354 სული
სოფელი ანჩქორა	1908	მაკმადიანი ქართველები	278 სული
სოფელი ანჩი	1908	მაკმადიანი ქართველები	337 სული
სოფელი ახარში	1908	მაკმადიანი ქართველები	157 სული
სოფელი ახიზა	1908	მაკმადიანი ქართველები	212 სული
სოფელი ბაწა	1908	მაკმადიანი ქართველები	225 სული
სოფელი ბიჯა	1908	მაკმადიანი ქართველები	575 სული
სოფელი ვართელია	1907	მაკმადიანი ქართველები	278 სული
სოფელი ვართელი	1908	მაკმადიანი ქართველები	159 სული
სოფელი გელაშენი	1908	მაკმადიანი ქართველები	578 სული
სოფელი გორაშენი	1908	მაკმადიანი ქართველები	346 სული
სოფელი გუმიშენა	1908	მაკმადიანი ქართველები	856 სული
სოფელი გულიჯა	1908	მაკმადიანი ქართველები	383 სული
სოფელი დიაკუმუჩი	1908	მაკმადიანი ქართველები	361 სული
სოფელი ენირაოათი	1908	მაკმადიანი ქართველები	180 სული
სოფელი ქეგო	1908	მაკმადიანი ქართველები	94 სული
სოფელი იშინარი	1908	მაკმადიანი ქართველები	121 სული
სოფელი კაპტახორი	1907	მაკმადიანი ქართველები	763 სული
სოფელი კაშუხო	1907	მაკმადიანი ქართველები	65 სული
სოფელი კლარჯეთი	1907	ქართველები	658 სული
სოფელი კონტროში	1907	მაკმადიანი ქართველები	173 სული

სოფელი კორენია	1907	მაჟმადიანი ქართველები	177 სული
სოფელი ლონგოთხევი	1907	მაჟმადიანი ქართველები	613 სული
სოფელი მაწალახეთი	1907	მაჟმადიანი ქართველები	151 სული
სოფელი მეწაგილი	1907	ქართველები	161 სული
სოფელი მუქერი	1907	მაჟმადიანი ქართველები	335 სული
სოფელი ნორგიელი	1907	მაჟმადიანი ქართველები	140 სული
სოფელი ოპისჭალა	1908	ქართველები	109 სული
სოფელი ორტიზი	1907	მაჟმადიანი ქართველები	95 სული
სოფელი პეტრიანი	1908	ქართველები	100 სული
სოფელი სამსხარი	1908	მაჟმადიანი ქართველები	831 სული
სოფელი სოლიანა	1905	მაჟმადიანი ქართველები	55 სული

როგორც ვხედავთ კავკასიური კალენდრის მიხედვით 32 სოფელია აღნუსხული, სადაც მცხოვრები ადამიანები ქართველად მიიჩნევენ თავს. ქართველთა რაოდენობა, ამ მონაცემების მიხედვით, დასახელებულ რეგიონში 9920-ია, რაც თოთქმის სამჯერ მეტია 1886 წლის საოჯახო სიის მიხედვით ადწერების მონაცემებზე.

დღეისათვის საკმაო სიძნელეებს ვაწყდებით ზოგადად თურქეთში მცხოვრებ ქართველების რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით, საქმე იმაში მდგრადარეობს რომ მოსახლეობის აღწერები თურქეთში არ იძლევა მონაცემებს ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ, და მონაცემების მიხედვიდ ისე ჩანს, თითქოს, თურქეთის მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვეროვანი იყოს.

თურქეთის კონსტიტუციის მიხედვით (1961 წელი) თურქეთის ყველა მოქალაქე თურქად ითვლება. ზოგჯერ ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის დადგენის მაგივრობას ენობრივი კუთხით მიხედვით განაწილება ცვლის, ხოლო ზოგჯერ მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას რელიგიური აღმსარებლობის მონაცემების საფუძველზე საზღვრავენ. მაგრამ, რამდენადაც თურქეთის მოელი მოსახლეობის 98 პროცენტი ისლამს აღიარებს, გამოდის, რომ ყველა მუსულმანი თურქია. ამასთან მოსახლეობის აღწერის დროს მშობლიური ენის შესახებ მონაცემები

ზოგიერთ შემთხვევაში მიახლოვებითაც კი ვერ ასახავს ქვეყნის ეთნიკურ შემადგენლობას, რადგან გარკვეულ პირობებში მშობლიური ენა უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ეთნიკური თვითშეგნება. გარდა ამისა, როგორც ქალაქ ართვინის, ისე მისი მიმდებარე რეგიონიდან ეთნიკური ქართველების აქტიური მიგრაციაც მიმდინარეობდა თურქეთის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში ბოლო წლების მანძილზე.

სწორედ ადნიშნული მიზეზების გამო დასახელებული რეგიონისა და, საერთოდ, თურქეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობის განსაზღვრას, ბევრი სიძნელე ახლავს, თან ბუნებრივია, სხვადასხვა არაპირდაპირი გზით მოპოვებული მონაცემები უზუსტობით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში ვერ ასახავს რიალურ ვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლორთქიფანიძე ვაჟა, თურქეთის მოსახლეობა თბ., 1997
- სვანიძე მიხეილ, ქართველები თურქეთში თბ., 1996
- ლორთქიფანიძე ვაჟა, ისტორიული მესხეთი თბ., 1998
- Кавказский Календарь 1910 – Кавказский Календарь, Тифлис, 1910
- ევგენი ვაიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე თბ., 2008
- ჩხაიძე ალექსანდრე, ჩვენებურები ბათუმი 1991

აპრილი - 2016

ბიბლიოთეკაბი მოდერნიზაციის გზაზე

კაქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული საოავეს იღებს 2000 წლიდან. უკვე ტრადიციად ქცეული მასობრივი დონისძიებები თავიანთი შინარსითა და ორგანიზაციული კუთხით ერთგვარი დემონსტრაცია იმ მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობისა, რომლებსაც ბიბლიოთეკები წარმართავენ მკითხველებთან მუშაობის სფეროში.

კვირეულის პროგრამით ჩატარებული დონისძიებები ნათელი დადასტურებაა ბიბლიოთეკების როლისა და დანიშნულებისა ინფორმაციული საზოგადოების ფორმი-



რების პროცესში. საჯარო ბიბლიოთეკებში ჩატარებული დონისძიებების უბრალო ჩამონათვალიც კი ცხადყოფს მათ აქტიურ ზეგავლენას მკითხველთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებზე. დონისძიებებში მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესი, მათი შემოქმედებითი უნარისა და შესაძლებლობების გამოვლენა ცხადყოფს, თუ რაოდენ საჭიროა ბიბლიოთეკების საინფორმაციო რესურსების მიზნობრივი ხელმისაწვდომობა ახალგაზრდობის წიგნიერებისა და განათლების დონის ამაღლების საქმეში. მასობრივი დონისძიებების დემონსტრაცია პროცესში კომპიუტერული კალიგრაფია".

ტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 16 აპრილს. ჩატარდა შემოქმედი ბიბლიოთეკარების მიერ გამოცემული მასალების გამოფენა. აქვე წარადგინეს „პოეტი ბიბლიოთეკარის“ მე-2 კრებული. პროექტის ავტორი და წიგნის რედაქტორია ი. ფილაური-ლორიძე. დონისძიებაზე მადლობა გამოუცხადეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოების აქტიურ წევრებს. კვირეულის დაიხურა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დახურვაზე თავიანთი დონისძიებების წარმოადგინეს მუნიციპალიტეტების მთავარმა ბიბლიოთეკებმა. დონისძიებათა პრეზენტაციების შედეგები შეაჯამა სპეციალურმა კომისიამ. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საინტერესო დონისძიებების ჩატარების ანგარიშები წარმოადგინეს თელავის, ხაშურის, წყალტუბოს, გურჯაანის, სენაკის, რუსთავის, ბოლნისის, ზუგდიდის, ხესტაფონის, საჩხერის, ლანჩხუთის, ხარაგაულის ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა.

ქ. ზეგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა (დირექტორი მ. გვარაშია) კვირეულის პროგრამით, ისევე როგორც წინა წლებში, ატარებს საინტერესო დონისძიებებს. მიმდინარე წელს ჩატარდა კონკურსი „ქართული კალიგრაფია“. კონკურსში მონაწილეობდნენ სამი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები. კონკურსი მიედგვნა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს. კონკურსში გამარჯვებულები 14 აპრილს, დედა ენის დღეს დაჯილდოვდნენ სიგელებითა და სამასხვერო საჩუქრებით; 18 აპრილს აქტიური მკითხველები და ლიტერატურული სალონის წევრები სასწავლო-სანახაობითი



მიმდინარე წელს კვირეული ჩატარდა დევიზით - „საინფორმაციო ტექნოლოგიები - ჩემი ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია“. კვირეული გაიხსნა საქართველოს პარლამენ-

ექსკურსიით იმყოფებოდნენ სოფელ ოდიშ-ში, ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმში. 21 აპრილს ჩატარდა ფოტოკონკურსის, „ჩემი ვეფხისტყაოსნის“ შემაჯამებელი საღამო. გამარჯვებულებს გადაეცაო სამასესოვრო საჩურქები. 22 აპრილს ჩატარდა ლიტერატურული სპექტაკლი „წიგნის ფიქრები“, მიკოხელებმა საინტერესოდ აღწერეს წიგნის შექმნის ისტორია. კვირეული შეჯამდა დონისძიებით „ბიბლიო - 2015“. სიგელებით დაჯილდოვდნენ წლის საუკათქსო მკითხველები.

კვირეულის დონისძიებებში მკითხველებმა მონაწილეობა მიიღეს უერნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ შესახებ ჩატარებულ გამოკითხვაში. მკითხველებს აინტერესებთ უერნალში გამოქვეყნებული მასალები რუბრიკებიდან: „ეროვნული ბიბლიოთეკის სიახლეები“, ინფორმაციები რეგიონული ბიბლიოთეკების შესახებ, საჯარო ბიბლიოთეკებში არსებული პრობლემები, საზღვარგარეთული გამოცდილება და სხვა.

ა. თბილისის მთაბარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლ. ასცურავა) ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ინიციატივით გაიმართა ელენე ახვლედიანის საღამო. დონისძიება მიეძღვნა მხატვრის იუბილეს. დონისძიებას ესწრებოდა ელენე ახვლედიანის შემოქმედების მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე ლია ბუაძე. დონისძიებაზე წარმოდგენილი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის, საქართველოს უნივერსიტეტის, თბილისის მერიის ს. ვირსალაძის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების ფოტოებსპოზიცია. დონისძიება ჩატარდა 18 აპრილს.

21 აპრილს ამავე ბიბლიოთეკამ უმასპინძლა ლაშა ბუღაძის საჯარო ლექციას თემაზე „აკრძალული წიგნების მეტამორფოზა“. ლექცია გაიმართა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით.

ბოლნისის საბიბლიოთეკო ბართიანებაში (კურატორი ეპატერინე ჩაგლიშვილი, მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერი შ. რეხვიაშვილი) კვირეულის პროგრამით გამართულ დონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ა. აბასოვა, ა. გასანოვა, დ. ალახვერდიევა, ა. გასანოვა.



ვარ ბიბლიოთეკაში გაიმართა დამწყები პოეტის, ოთარ ფალიანის პირველი კრებულის, „ლია გალიას“ წარდგენა. პოეტის ლექსებს კითხულობდნენ აქტიური მკითხველები: თ. რეხვიაშვილი, კ. ბერძენაძე, ტ. დვალი, ნ. სამსიანი და სხვები. დონისძიებას ესწრებოდნენ ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი ი. ფილაური-ლორია და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სასწავლო ცენტრის სპეციალისტი ც. ქველიძე. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ბიბლიოთეკა-ფილიალებში კვირეულის პროგრამით ჩატარდა საინტერესო დონისძიებები.

დაბა გაზრთის ბიბლიოთეკაში (გამგე ბ. ყაფლანიშვილი) დონისძიება მიეძღვნა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებას; ბოლნისის საბავშვო ბიბლიოთეკაში (მენეჯერი თ. მღვდელაძე) დონისძიება მიეძღვნა საბავშვო მწერლის, ლუარა ჭანტურიას შემოქმედებას. პოეტის ლექსები წაიკითხეს ნორჩმა მკითხველებმა. საკუთარ შემოქმედებაზე ისაუბრა პოეტმა, რომელმაც საინტერესოდ წარმართა დონისძიება და პატარები აღავსო პოეზიისადმი სიყვარულით.

ბოლნისის სამალაზო ბიბლიოთეკაში (მენეჯერი ნ. ზურაბაშვილი) მოეწყო ბოლნისძიები ავტორების, ი. ედოშერაშვილის, ი. ცუხიშვილის და ლ. გაბიძაშვილის ლექსების კითხვა, პოეტური კრებულების წარდგენა.

დაბა თამარისის ბიბლიოთეკაში (გამგე ი. სარქისიანი) ჩატარდა დონისძიება „ჩემი გაზაფხულის ყვავილები“. დონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ა. აბასოვა, ა. გასანოვა, დ. ალახვერდიევა, ა. გასანოვა





და სხვები.

თანამდებობის სასოფლო პიტილოთმაში (გა-
მგე ლ. თამლიანი) დონისძიება მიემდვნა რ.
ინანიშვილის შემოქმედებას. მკითხველებმა
წარმოადგინეს ასევე სცენა თემაზე „ერუა-
ლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“, რო-
მელმაც დამსწრე საზოგადოების მოწონება
დაიმსახურა.

**დღანისის საპიტილოთმაშო გამოთიანე-
ბის** (დირექტორი თ.თეთრაძე) სოფელ დიდი
დმანისის სასოფლო
ბიბლიოთეკაში (გამგე
ე. მინაშვილი) ჩატარ-
და დონისძიება თემაზე
„ენა დედაა ერისა“. ი.
გოგებაშვილის ცხოვრე-
ბისა და შემოქმედების
შესახებ ისაუბრა საჯა-
რო სკოლის პედაგოგმა
მ. მთვარაძემ. დედაენის
შესახებ ლექსები წაი-
კითხეს მოსწავლებმა:

მ.ნ. და თ. ტატუაშვილებმა, რ. ნინიაშვილმა,
მ. ზურაბიშვილმა, ნ. მარტიაშვილმა, მ. ოგ-
ნაძემ და სხვებმა.



**ბურჯაანის საპიტილოთმაშო სისტემა-
ზი** ბოლო დროს ჩატარდა მნიშვნელოვანი
ორგანიზაციული შინაარსის დონისძიებები.
შეიქმნა ერთი განახლებული ორგანიზაცია
საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერ-
თიანება (დირექტორი მაია ბერიშვილი).
გაერთიანებაში დაიწყო ახალი პროექტები,
რომელთა მიზანია საბიბლიოთეკო ქსელისა
და ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლე-
ბა. უპირველეს ყოვლისა, დაიწყო გაუქმე-
ბული ბიბლიოთეკების აღდგენა; განახლდა
კომპიუტერული სისტემა, დასასრულს უახ-
ლოვდება ელექტრონული კატალოგის შედ-
გენა, მნიშვნელოვნად განახლდა საბიბლიო-
თეკო ფონდები. კვირეულის პროგრამით
ყველა სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა
დონისძიებები, სადაც ნათლად გამოიკვეთა
ბიბლიოთეკების კოორდინაციული მუშაობა

სკოლების ბიბლიოთეკებთან.

გეჯინის სასოფლო და სასოფლო ბიბ-
ლიოთეკებმა ჩატარეს ერთობლივი დო-
ნისძიება „ენა დედაა ერისა“. დონისძიებაზე
ჩატარდა კონკურსი „ვინ უფრო სწორად
მეტყველებს ქართულად“. გამარჯვებულებს
გადაეცაო სამასხვილო საჩუქრები.

გაბურცინის სასოფლო და სასოფლო
ბიბლიოთეკებმა ჩატარეს ერთობლივი დო-
ნისძიება თემაზე „საგანძურის საცავი“, სა-
დაც საუბარი იყო ბიბლიოთეკის დანიშნუ-
ლებასა და ამოცანებზე.

გაჩეამიანის სასოფლო და სასოფლო
ბიბლიოთეკების დონისძიება თემაზე „რა
არის ჩემთვის წიგნი“, მართლაც გადაშლი-
ლი წიგნი იყო დამსწრე საზოგადოებისა და
მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის.

კოდალოს სასოფლო ფილიალში აღნიშ-
ნეს გ. ტაბიძის დაბადებიდან 125-ე წლისთა-
ვი. პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა
6. დვინაშვილმა, ხოლო
თემაზე „ერთია გალაკ-
ტიონი“ - თ. დუღარიძემ.

გარდენანის სასოფლო და სასოფლო
ბიბლიოთეკებმა ჩატარეს ლი-
თორატურული სადამო,
რომელიც მიემდვნა სახე-
ლოვანი თანამემამულის,
ი. ნონეშვილის ცხოვრე-
ბასა და შემოქმედებას.

**გელისცინის სასოფ-
ლო** ფილიალში ჩატარებული დონისძიების
თემა იყო „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სახლია“.

სოჭელ არაშედას პიტილოთმაში კვი-
რეულის დონისძიების თემა იყო საუბარი
წიგნზე, როგორც ცხოვრების გზამკვლევზე,
როგორც კარიბჭეზე ინფორმაციის სამყა-
როში.

გაჟრეთის სასოფლო და სასოფლო ბიბ-
ლიოთეკებმა მოაწყვეს ერთობლივი დო-
ნისძიება „ენა, მამული, სარწმუნოება“, გამო-
ფენილი იყო შესაბამისი შინაარსის ახალი
გამოცემები.



ჯიმითის სასრულო და სასპოლო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებების თემა იყო „წევს ვეფხის ტყავზე საქართველო მზის წინმედომელი“ - შ. ნიშნიანიძის პოეტური საგანძურიდან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში კვირეულის ღონისძიებათა გვირგვინი იყო გურჯაანელი პოეტის, ნუნუ ყალაბეგაშვილის შემოქმედებითი სადამო, სადაც წარადგინეს მისი წიგნი „ბაზალტის ცრემლები“. ღონისძიება გახსნა და პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა ლია გოდელაშვილმა. მადლიერების გრძნობით აღინიშნა, რომ პოეტის წიგნის გამოცემა ითავა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ. „ბაზალტის ცრემლების“ შესახებ ისაუბრა წიგნის რე-



დაგენერაცია დ. ლალიძემ. პოეტმა ნ. ყალაბეგაშვილმა დამსრეთ წაუკითხა საკუთარი დეკლამა; ისაუბრა წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებაზე. პოეტის მხატვრული სიტყვის შესახებ ისაუბრეს სტუმრებმა, ადგილობრივი ინტელიგენციისა და მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ლია გოდელაშვილმა.

ლანჩუთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაზე (დირექტორი ნ. ენუქიძე) 19 აპრილს გაიმართა ქალთა კლუბის მორიგი შეხვედრა თემაზე: „არ გავჩუმდებით“, რომელზეც იმსჯელეს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ. მიიღეს გადაწყვეტილება, დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“.

თეთრიშვაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში (ცენტრის დირექტორი ზ. ხაჭვანი, მოადგილე ქ. მაისურაძე) გაიმართა პოეზიის სადამო „უკვდავი ლექსები ლაქვარდებს სერავენ“. ახალგაზრდა მკითხველებმა წაიკითხეს ლ. ასათიანის, ი.

ნონეშვილის, მ. მაჭავარიანის, მ. ლებანიძის, ჯ. ჩარკვიანის, თ. მღვდლიშვილის ლექსები. ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდები თვითონ ქმნიან საინტერესო პოეტურ ნიმუშებს. ღონისძიების აქტიურ მონაწილეებს გადაეცათ სამასესოვრო საჩუქრები.

განის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლ. დვალიშვილი) მოწყობი კაფე-სადამო თემაზე „როგორ უყვარდათ საქართველოში“. წარმოდგენილი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ სიყვარულის თემაზე შექმნილი ნამუშევრები, სასიყვარულო ისტორიები. კაფე-სადამოს მუსიკალურად აფორმებდა ტრიო „იმერეთი“, სადამოს ესტრეტოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის წევრები.

მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნ. თათარაშვილი) ორი წელია ცუნქციონირებს ლიტერატურული სალონი კულტურის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის, თ. ხუციშვილისა და დარბაზის უფროსი ბიბლიოთეკარის, თ. თოთიძაძის ხელმძღვანელობით. 17 აპრილს ჩატარებულ ღონისძიებაზე მკითხველები გაეცვნენ პოეტისა და პროზაიკოსის, ანა ლაშელი-ონიანის შემოქმედებას. 21 აპრილს მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საბიბლიოთეკო გაკვეთილი თემაზე: დირსება, თავისუფლება, თანასწორობა. მონაწილეობდნენ №1 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები (პედაგოგი ნ. ნასყიდაშვილი). ღონისძიებას ხელმძღვანელობდა საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი. 22 აპრილს, კვირეულის დასკვნით ეტაპზე ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი: „სად, როდის“. კონკურსი მიეძღვნა შოთა რუსთაველის საიუბილეო წელს. კონკურსში მონაწილეობდნენ №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგალებითა და „ვეფხისტყაოსნით“. დო-





ნისძიება მოამზადა ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნ. ოსიტაშვილმა, ინფორმაცია მოამზადა მთავარმა ბიბლიოთეკარმა მ. ზარიძემ.

კვირეულის პროგრამით საინტერესო დონისძიებები ჩატარდა სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებში: ერედის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები ვ. პირმისაშვილი და მ. წიკლაური) ჩატარდა თემატური სადამო „ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“: პოემიდან ნაწყვეტებს ზეპირად კითხულობდა აქტიური მკითხველი მ. თემელაშვილი.

მეგზის შ. მღვიმელის სახ. პიპილიონაძე (ბიბლიოთეკარები: ნ. გირგვლიანი და ს. როსტიაშვილი) ჩატარდა დ. ტურაშვილის წიგნის „ჯინსების თაობის“ განხილვა.

ნატანტრის გაზაფხულის სახ. ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეზიის სადამო „ჯანსუდ ჩარქვიანი - 85“. მკითხველებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები და შეასრულეს სიმღერები მისი შემოქმედებიდან. 19 აპრილს საბიბლიოთეკო განყოფილებაში შემავალი ყველა ბიბლიოთეკის გამგეები შევიდნენ მათს ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღებში; შეიტანეს საბავშვო ლიტერატურა და პატარებს გააცნეს ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკა.

საბურაოს ი. ჰაგვაგაძის სახ. ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები: თ. მათურელი და ზ. რამიშვილი) ჩატარდა თემატური სადამო „ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა“.

მისამიელის სს. ორგანიანის სახ. სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები თ. ბადაშვილი და მ. ბადაგაძე) გაიმართა თემატური სადამო „ჩემი ოცნების ბიბლიოთეკა“.

სოროისის პ. ტერთლის სახ. სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები ნ. ბუჩუკური და თ. ხუბაშვილი) გაიმართა ლიტერატურული სადამო თემაზე „მერაბ რატიშვილის შემოქმედება“. ქსნის ზ. გამსახურდიას სახ. სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები: მ. დავითიანმა).

კარები: თ. ზოდელი და ლ. ქსოვრელი ჩატარდა პოეზიის საღმო „პოეტი მკითხველები“; მუხრანის ვ. ბატონიშვილის სახ. სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები ა. ჩეკურაშვილი და ი. ქარდავა) ჩატარდა ლიტერატურული სადამო „შოთა რუსთაველი 850“. დონისძიებას ესწრებოდნენ საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რ. ასათიანი და გამგეობის წევრები: ი. ფილაური-ლორია და ც. ქველიძე. დონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის წევრები. დონისძიების მონაწილე ბიბლიოთეკარები ასოციაციის პრეზიდენტმა დააჯილდოვა მადლობის სიგელები.

კვირეულის დასასრულს, 22 აპრილს, მისაქციელის სასოფლო ბიბლიოთეკის საგურამოსა და ქსნის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები შეხვდნენ სოფლის მოსახლეობას. შეხვედრაზე ისაუბრეს წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებაზე თანამდროვე საზოგადოებაში, ასევე გაფსაუბრნენ მათ თემაზე „ვინ უკეთ იცნობს თავის სოფელს“.



მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებული დონისძიებები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ თითოეული დონისძიება თავისი შინაარსით აქტიურად პასუხობდა მკითხველთა, ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებას. დონისძიებათა თემატიკის მრავალფეროვნება მიუთითებს ბიბლიოთეკართა შემოქმედებით და ორგანიზატორულ შესაძლებლობებზე.

მცხეთის საბიბლიოთეკო ქსელში ჩატარებული დონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების საბიბლიოთეკო განყოფილების სპეციალისტმა მ. დავითიანმა.

მიმოხილვა მოამზადა გურამ თაყნიაშვილმა.

რეცენზიანი

ალექსანდრე ცოხია

წიგნი სიმართლის საფარაპოზე

(„ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედიის“ კრიტიკული ანალიზის გამო)

ქიმდინარე წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელიც ნათელს პფენს სეპარატისტ მეცნიერთა შეგნებულ გაყალბებებს, ტყუილებსა და უვიცობის ფაქტებს. საუბარია ეთნოლოგის, პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ნარკვევზე, რომლის საკატალოგო დასახელებაა: თოფჩიშვილი როლანდ „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ თსური ურთიერთობის კონტექსტში. - ობ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016. – 136გვ. (დასახელება, ანოტაცია და ტექსტი მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე).

როგორც წიგნის ანოტაცია გვამცნობს, 2013 წელს ვლადიკავკაზი დაიბეჭდა ე.წ. „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“, რომელშიც ქართულ თსური ეთნოგრაფიული ურთიერთობები მკვერად ტენდენციურად და მიკრძობებულადა ასახული. მკითხველი ამაში უპრობლემოდ დარწმუნდება, თუკი გაეცნობა როლანდ თოფჩიშვილის დასახელებულ წიგნს. ეს წიგნი ფარდას ხდის იმ არამცნიერულ, ყოვლად დაუსაბაძუთებელ, გაყალბებულ მოსაზრებებსა და ტყუილებს, რომლითაც გადავსებულია ე.წ. „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“. ჩვენი მხრივ გვინდა ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ რ. თოფჩიშვილის ეს წიგნი არ წარმოადგენს პოლემიკურ ნაშრომს, რამდენადაც აქ საპოლემიკო არაფერია, არც დავა-კამათი შეიძლება რაიმეზე გაიმართოს, რადგანაც ფაქტები, რომლებიც მოყვანილია ამ კრიტი-

კულ ნაშრომში, ცალსახად გამოხატავს მხილებას იმ სიყალბების, ტყუილიების, ფაქტების დამახინჯების, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შეუსაბამოებებსა და სხვა მეცნიერული უმსგავსობების ელემენტებს, რომელთაც არავითარი გამართლება არა აქვს, არც რაიმე კონტრარგუმენტები შეიძლება არსებობდეს. კრიტიკული შენიშვნები იმდენად აშკარაა, იმდენად ნათელი, რომ აქ კამათიც კი შეუძლებელია.

რ. თოფჩიშვილი მეცნიერული სიზუსტით უდგება ყველა ნეგატიურ ფაქტს, შეუსაბამო თუ საგანგებოდ დამახინჯებულ საკითხს, უვიცობასა თუ შეუგნებლობას, წინააღმდეგობებებსა თუ მეცნიერული საკითხების პოლიტიზირებას, რაც უხვადაა ჩაპნეული ე.წ. „ოსურ ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ და არუსმენტების მოშველიებით ამხელს ხსენებული ენციკლოპედიის სრულ უგარგისობას.

რ. თოფჩიშვილი ნაშრომის დასაწყისშივე აცხადებს, რომ მისი დამოკიდებულება ხსენებული „ენციკლოპედიის“ მიმართ აბსოლუტურად ნეგატიურია. ის მიიჩნევს, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო, „რადგან ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თსური საისტორიო და ეთნოლოგიური ლიტერატურა ქართულ-თსურ ეთნოგრაფიულ ურთიერთობას მკვერად ტენდენციურად წარმოადგენდა. ტენდენციურადა განხილული საქართველოში თსოთ მიგრაციის საკითხი, დვალთა ეთნიკური ვინაობა, კავკასიაში ალანების ბინადრობის საკითხი“.

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ე.წ. „ენციკლოპედიის“ შემდგენელთა მოავარ საზრუნავად ქცეულა ის, რომ როგორმე დაარწმუნო მკითხველი, რომ ალან-თსები უძველესი დროიდან ბინადრობდნენ საქართველოს მიწაზე, ზოგან

ქართველებზე უფრო ადრეც კი. რ. ოოფშიშვილი თავის ნაშრომში დრმა მეცნიერებლი სიზუსტით, ფაქტების მოხმობით, არსებულ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ეთნოგრაფიული მონაცემების ყოველმხვრივი ანალიზით აჩვენებს, რამდენად აბსურდულია ოს მეცნიეროა მიერ მოხმობილი „მზკიცებულებანი“ არა მარტო ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით, არამედ ყოველივე იმასთან, რაც ოს გამყალებლებს სურო ჭრიშმარიტებად გაასაღონ. ალანების შესახებ ბევრი მათი მოსაზრება არამც თუ რაიმე წყაროზედაა დაყრდნობილი, არამედ მეცნიეროა პირდაპირ შეთხულს წარმოადგენს, რასაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

„ენციკლოპედიის“ სტატიებში ბევრი რამ წინააღმდეგობებში მოდის, არ ხდება ფაქტების მოტანა, წყაროების დასახელება, არგუმენტაცია; უბრალოდ, ავტორები იმას კი არ აჩვენებენ, რაც სინამდვილეში იყო, არამედ მათვის სასურველს რეალურად ასაღებენ და ცდილობენ მკითხველს თავს მოახვიონ სიყალე და გამონაგონი.


თუ დავუჯერებო ამ ვაი-მეცნიერებს, თურმე მოელი აღმოსავლეთი საქართველოს მთიანი ნაწილი, ხეობები, სოფლები, დაბლობის დიდი ნაწილი სულ ოსი ეთნოსის მოდგმის მოსახლეობით ყოფილა გაჯერებული. თურმე კავკასიელ ხალხთა ეთნო-კულტურა თსური კულტურის აქტიურ ზეგავლენას განიცდიდა. „ენციკლოპედია“ თსურად მიიჩნევს ბევრ კავკასიურ ტრადიციას: დამარხვის, ქორწინების წეს-ჩვეულებებს, სიმღერებს, ცეკვებს. ერთი სიტყვით, ალან-ოსები რომ არ შემოსულიყვნენ და არ დამკვიდრებულიყვნენ კავკასიაში, თურმე ახლა ამ მხარის ეთნიკური სახე სულ სხვაგვარი იქნებოდა და ბევრი რამ არც იარსებებდა.

ავტორებს დიდი პრეტენზიები აქვთ გვარებზე. მიაჩინათ, რომ „დამპყრობელმა“ – ქართველებმა თავად-აზნაურობამ - ხალხს

ოსური გვარები ქართულზე შეაცვლევინა. ასევე პრეტენზიები არიან ისინი დასახლებული ჰუნძტების სახელწოდებების მიმართ. უცერემონიოდ ცვლიან ხეობების, სოფლების, ადგილმდებარეობის დასახლებებს, ცდილობებს თსური უღერადობა მაინც შესძინონ მათ. თითქმის ყველა სალოცავი თუ სასულიერო ნაგებობა, მათი აზრით, თსურია, ისევე, როგორც სამარხი ქვები და აკლდამები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თსებმა ბევრი ტრადიციის შეცვალეს ან თავიანთ ყაიდაზე გადააკეთეს.

ოს მეცნიერებს ქართული კვების კულტურაზეც კი აქვთ პრეტენზიები. ირონიულ დიმილს თუ გამოიწვევს ის, რომ მათ სულგუნიც თსური წარმომავლობის პროდუქტად აქვთ წარმოდგენილი; ასევე ითვისებენ სხვადასხვა სამეურნეო იარაღის წარმოშობას, მათ დასახელებას, რაც არაფრით დასტურდება. პირიქით, მრავალი ფაქტობრივი მასალა ადასტურებს იმას რომ ეს ასე არაა. სხვათა შორის, როგორც რ. თოფშიშვილის მეცნიერული ნაშრომიდან ჩანს, ხევებული „ენციკლოპედიის“ ე.წ. მეცნიერები-მკვლევარები, სტატიების ავტორები არად დაგიდევენ არც ლოგიკას, არც ხალხურ გადმოცემებს, არც ეთნოგრაფიულ მასალებს, არც ისტორიულ წყაროებს, არც არავითარ დოკუმენტებს; მათვის მთავარია ჭორი და მოგონილი, ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც საქმის უცვდინარ თუ უვიც მკითხველს დაარწმუნებს, რასაც ენციკლოპედიაში აქვეყნების, ეს უტყუარი ჭრიშმარიტებაა.

რატომ იქცევიან ისინი ასე? ნეთუ ამდენად არაპროფესიონალები, არასპეციალისტები, დაუდევრები, უცოდინარები, საქმეში ჩაუხედავნი და დაუნახავნი არიან და ამის გამო? ნაწილობრივ, როგორც ჩანს, ამის გამოც, მაგრამ მთავარი მაინც შოვინიზმია, რომელმაც სეპარატიზმი შვა, ამ უკანასკნელმა კი – მეცნიერების პოლიტიზაცია. ამიტომაც მათვის არავითარ არგუმენტებს, არავითარ ფაქტს, არავითარ ობიექტურო-



ბას, არავითარ ისტორიულ ჭეშმარიტებას, არავითარ ლიტერატურულ წყაროს, დოკუ-
მენტს, ეთნოგრაფიულ დეტალს, ტოპონიმს,
გამოკვლევას არავითარი მნიშვნელობა
არა აქვს. მთავარია, ითქვას ის, რაც აწყობს
სეპარატიულ კლასს და არა აქვს მნიშვ-
ნელობა, რამდენად ჭეშმარიტი იქნება ის.
ეს არცად გასაკვირი: როგორც წესი, მთელ
წიგნში საქართველო და ქართული, როგ-
ორც ცნებაც კი, იშვიათად გამოიყენება.

„ენციკლოპედიაში“ არ არის ასახული
ქართულ-ოსური კეთილმეზობლური, სა-
მეცნიერო, სოციალური, საგანმანათლებ-
ლო და კულტურული ურთიერთობები,
შერეული ქორწინებები, ნათელმირონობა,
სავაჭრო კონტაქტები, ოსების მიერ ქარ-
თული სალოცავების შეთვისება და ა.შ.

ნიშანდობლივია ის, რომ „ენციკლოპე-
დიის“ დასაწყისში მოცემულია ძირი-
თადი წყაროების ჩამონათვალი და სა-
მეცნიერო ლიტერატურა, რომელიც
ტენდენციურადაა შედგენილი. ცხადია,
ქართველი მეცნიერები და მათი შრო-
მები ვერ შევიდოდა ამ ჩამონათვალში,
ყველასოვის უკვე გასაგები მიხეზთა
გამო. სხვათა შორის, უგულვებელოდ
შორის თვით ზოგი ოსი მეცნიერიც აღ-
მოჩნდა, რომლებიც სეპარატისტთა წისქ-
ვილზე ვერ ასხამენ წყალს.

„ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპე-
დიის“ მთავარი რედაქტორია ოსი სეპარა-
ტისტების იდეოლოგიური სულისჩამდგ-
მელი – ეთნოლოგი ლუდვიგ ჩიბიროვი,
რაც ნათელს ხდის აღნიშნული „ენციკ-
ლოპედიის“ პოლიტიკურ მიმართულება-
სა და მისწრაფებებს. ამ გამოცემის კრი-
ტიკული ანალიზი, რაც მოცემულია რ.
ოფერიშვილის დასახელებულ ნაშრომ-
ში იმდენად დამაჯერებლადაა დასაბუ-
თებული ის ნებატიური და მიუღებელი
მოსაზრებები, არამეცნიერული ცდები,
რომ შეუძლებელია მას შეედავო. „ოსუ-
რი ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“,
ჩვენი აზრით, მიუღებელი, მაგნე წიგნია,
რომელიც შეგნებულად თესავს შეუდლსა
და მტრობას ორ მოძმე ხალხს შორის.

რ. თოფხიშვილის დაკვირვებით, ეს
„ენციკლოპედია“ მოიცავს ოსთა ეთნო-
ლოგიის ყველა სფეროს და ისეთ სა-

კიოხებსაც, რომლებსაც ეთნოლოგიას-
თან საერთო არაფერი აქვს. მისი აზრით,
„ენციკლოპედია“ უდავოდ ფართო და სე-
რიოზულ განხილვას საჭიროებს, ცხადია,
სერიოზული, მიუკერძოებელი ანალიზის
საფუძველზე, მაგრამ რ. თოფხიშვილი
ეხება მხოლოდ ქართულ-ოსური ურთიერ-
თობის მონაცემებს. საინტერესოა, რამდე-
ნად მისაღებია ამ „ენციკლოპედიის“ ის
სტატიები, რომლებშიც საერთაშორისო
ისტორიულ-გეოგრაფიულ-ეთნოლოგიურ
მოვლენებს ეხება. სიყალბე, სიცრუე, გამო-
ნაგონი, დაბალი მეცნიერული კვლევითი
დონე ალბათ ამ შემთხვევაშიც ანალო-
გიური იქნება, როგორიც ის საქართველო-
სონ მიმართებაშია.

ჩვენ გვსურს სპეციალურად შევთა-
ვაზოთ ჩვენს მკიოხველს რ. თოფხიშვი-
ლის აღნიშნული წიგნი, როგორც ღრმა
მეცნიერული ანალიზის შესანიშნავი ნი-
მუში, უტყუარობა, ობიექტურობა, ლოგი-
კურობა, წყაროებისა და დოკუმენტების
სრულყოფილი გამოყენება. აღნიშნული
წიგნი უდავოდ დიდ როლს შეასრულებს
ჭეშმარიტების შეცნობაში, ადამიანების
გაცნობიერებასა და სიმართლის დადგე-
ნაში. დღეს ამგვარი რამ აუცილებლობას
წარმოადგენს, რომ საკადრისი პასუხი
გაეცეს სეპარატისტებს – ოკუპანტთა
პარტნიორებს და ხელი შეეწყოს ჭეშ-
მარიტ ოს ხალხს, კვლავ განამტკიცონ
ქართველებთან მეზობლური ურთიერ-
თობა და ყურად არ იღონ ათასი ტყუ-
ლი, გამონაგონი, ჭორი და დვარძლი, ობი-
ექტურად შეხედონ რეალობას და არა
ვაი-მეცნიეროთ სურვილების ემოციურ
გამოხატულებას აჰევნენ.

სხვათ შორის, მისასალმებელია, რომ
რ. თოფხიშვილის წიგნში მოცემულია
ძირითადი ტექსტის სრული რუსული
თარგმანი და ინგლისური რეზიუმე, რაც
ხელს შეუწყობს ოსური საზოგადიებისა
და საერთაშორისო მეცნიერული აზრის
სწორად ჩამოყალიბებას.

როგორც რ. თოფხიშვილი აცხადებს
თვისი შესანიშნავი მეცნიერული ნარკ-
ვების ბოლოს, ჩვენც ისე გვინდა და-
ვასრულოთ: „სიმართლე არასოდეს არ
იკარგება!“.

ინფორმაციაზე

მცირე ენათა გამოძახილი

ქსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მირთადი სახელმწიფო ენების გარდა, არის ე.წ. „მცირე ენები“, რომელითაც ურთიერთობენ ადამიანთა ცალკეული ეთნოჯგუფები. ამ ენებზე ზრუნვა ერთ-ერთი გამოხატულებაა ამ ქვეყნის ცივილიზაციის დონისა. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. აქ ამგვარ „მცირე ენას“ წარმოადგენს, მაგალითად. წოვათუშური. ადსანიშნავია, რომ ის სავსებით ცოცხალი და განვითარებადი ენაა, რომელიც აქტიურად გამოიყენება. ამ ენის დაცვასა და ხელშეწყობაზე ზრუნვის მაგალითია ის გამოცემები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა. გვინდა ჩვენს მკითხველებს მივცემ ამის შესახებ მოკლე ინფორმაცია და წარვუდგინოთ ეს გამოცემები.

სამაცნიერო პროექტის ბანეორიენტის შედეგი


მიმდინარე წელს სახოგადოების ეურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო და მნიშვნელოვანმა გამოცემამ. ეს გახდავთ ო. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოქვეყნებული „ბიულეტენი - №6“, რომელიც დაბეჭდილია ობილისში გამომცემლობა „საარი“-ს მიერ და 40

გვერდს შეიცავს. მისი რედაქტორია პროფ. ქეთევან გიგაშვილი. დაბეჭდილია სულ ორი ავტორის მეცნიერული ნაშრომი. ერთია მაყვალა მიქელაშვილის სტატია „ონანამედროვე წოვათუშური ენის ხატოვანი სიტყვა“. მისი მიზანი ამ წარმომადგენლობის გამოცემის განხორციელების და მიმღები გამოცემის განვითარების და მისი სტრუქტურულ-ფუნქციური მახასითებლები წოვათუშურ-ქართული ბილინგური დისკურსის მიხედვით. - თბ., გამომც. „საარი“, 2016. – 376გვ.; წიგნის რედაქტორია მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ-ემერიტუსი კაროლ მაიერს-სკოტონი; რეცენზენტები: მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი ანა ლესლი მილროი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მაყვალა მიქელაშვილის სატიტულო გვერდი და საგამომცემლო მონაცემები ქართულთან ერთად შესრულებულია ინგლისურ ენაზე. ასევე ინგლისურად არის მოცემული ნაშრომის წინასიტევაობა და რეზიუმე, დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით შოამბეჭდავია - 267 ერთეული, აგრეთვე ინგლისურ წყაროები, რის გამოც ამ ნაწილს შეიძლება წიგნდართული ბიბლიოგრაფია ეწოდოს.

ვა-თქმანი“, მეორე - ქეთევან გიგაშვილის „ფონეტიკური მახასიათებლები წოვათუშურ-ქართული ბილინგური დისკურსის მიხედვით“. ნაწარმოებში უხვად ვხვდებით წყაროების გამოყენების ფაქტებს. გარდა ამისა, მათ დართული აქვს წყაროებისა და ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული დასახვლებანი.

ადრეული კვლევის ლოგიკური გაბრძელება

გვინდა, ჩვენს მკითხველებს წარვუდგინოთ ახალგამოცემული წიგნი: ქეთევან გიგაშვილი. კოდის გადართვა და მისი სტრუქტურულ-ფუნქციური მახასითებლები წოვათუშურ-ქართული ბილინგური დისკურსის მიხედვით. - თბ., გამომც. „საარი“, 2016. – 376გვ.; წიგნის რედაქტორია მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ-ემერიტუსი კაროლ მაიერს-სკოტონი; რეცენზენტები: მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსი ანა ლესლი მილროი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მაყვალა მიქელაშვილის სატიტულო გვერდი და საგამომცემლო მონაცემები ქართულთან ერთად შესრულებულია ინგლისურ ენაზე. ასევე ინგლისურად არის მოცემული ნაშრომის წინასიტევაობა და რეზიუმე, დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით შოამბეჭდავია - 267 ერთეული, აგრეთვე ინგლისურ წყაროები, რის გამოც ამ ნაწილს შეიძლება წიგნდართული ბიბლიოგრაფია ეწოდოს.



წარმოდგენილი ნაშრომი საკმაოდ რთული სტრუქტურისაა - გარდა წინასიტყვაობისა და ოეზიუმების, დაყოფილია შემადგენელ ნაწილებად განსახილველი ოქმების მიხედვით - პარაგრაფებად; წამდლვარებული აქვს განმარტებები, რაც ითვალისწინებს ზოგიერთი საკითხის წინასწარ გარკვევასა და გაცნობიერებას.

წინასიტყვაობის თანახმად,,წინამდებარე მონოგრაფია ლოგიკური გაგრძელება სოციოლინგვისტიკის დარგში „შესრულებული“ ავტორის კვლევისა, „რომელიც წოვათუშური ენის მატარებელ საზოგადოებას ეხება და რომლის შედეგებიც მონოგრაფიის სახით გამოქვებდა 2014 წელს“.

პოეტური თაიგული

წოვათუშური ენისადმი გულისხმიერი მიღების მნშვნელოვანი ნიმუშია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოქვეყნებული „წოვათუშური ტექსტების მესამე ნაწილი“, რომელიც მოლიანად ეთმობა ალექსი მიქელაძის პოეტური შემოქმედებებს კრებულს, რომლის სათაური დასახელებული წიგნის ყდაზეა წარმოდგენილი და პარალელურ ტიტულზეცად მოცემული - „ხეო, ვაშლისა!..“, რომელშიც 100 ლექსია გაერთიანებული. გამოცემულია თბილისში 2015 წელს.

როგორც წიგნზე დართული საგამომცემლო ცნობებიდან ვიგებთ, ლექსები გამოსაცემად მოამზადეს არსენ ბერთლანდა და მაყვალა მიქელაძემ; რედაქტორია ქეოვან გიგაშვილი. ლექსები წარმოდგენილია როგორც წოვათუშურ, ისე პარალელურად ქართულ ენებზე. საგულისხმოა, რომ ლექსების ქართული თარგმანი ავტორისეულია.


ეს შესანიშნავი კრებული, მასში გამომზეურებული პოეტური შემოქმედება

უეჭველად იმსახურებს სპეციალურ განხილვასა და შეფასებას, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია მისი წარდგენა ფართო საზოგადოებისათვის და შეოავაზება პოეზის მოვარულებისათვის. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ალექსი მიქელაძის ლექსები გამოირჩევა ოქმატური მრავალფეროვნებით, პოეტური აღმაფრენით, მშვენიერი მეტაფორებით, სისადავით, უშუალობით, აქტუალობით. თითქმის ყველაფერს ვხვდებით აქ: განცდები სამშობლოზე, მშობლების მოგონება, ბუნება, მეგობრობა, ფიქრი ცხოვრების არსზე, წუხილი ნასახლარებზე, ზეობა და მორალი, ადამიანური, ჰუმანური შეხედულებები, გულისტკივილი ადამიანური რესურსების კლებაზე... მთელი კრებული აღსავსეა კეთილშობილებისა და თანადგომის განცდებით.

წიგნს წინ უძღვის ავტორის გულანთებული სიტყვები, თითქოს, გვიზიარებს თავის წუხილს, გვაცნობს თავის ჩანაფიქრს. როგორც ის ამბობს, „ეს მცირედი ამონაოქვამია, ძახილის სახით გაცხოველებული ჩემი წინაპრის ხალხისათვის“.

ამას მოსდევს არსენ მერთლანის წინასიტყვაობა კრებულზე მომუშავე ჯგუფის სახელით, აგრეთვე დანართი ტექსტისათვის, რომელიც წოვათუშური ენის ბგერითი სისტემის სირთულის გამო, ცხრილის სახით იძლევა ტრანსკრიფციათა ნიმუშებს. ამით ეს წიგნი სცილდება მხოლოდ პოეტური კრებულის დანიშნულების მქონე გამოცემას; აქვს დართული განმარტებითი ხასიათის შენიშვნები მეტი გარკვეულობისათვის; შედგება 264 გვერდისგან ილუსტრაციებით. წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა შესრულებული და ესთეტიკური გემოვნებითა და გაფორმებული.

დაინტერესებული მკითხველები უდავოდ ინტერესით გაეცნობიან ალექსი მიქელაძის პოეტურ კრებულს - „ხეო, ვაშლისა!..“



ნაშრომი „დედაენის“ შესახებ

ც გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემისთანავე (1876) ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა სხვადასხვა ავტორთა წერილები, გამოხმაურებები, რეცენზიები. მათ შორის იყო კრიტიკული, ამ დეტალის ადგილს და დანიშნულარაცედაგოგიური შეფასებები წიგნებას. ავტორი ასევე გონივრულად ნისა. გამოხმაურებათა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებდა „დედა-ენის“ როლსა და დანიშნულებას მშობლიური ენის სწავლებისა და ბავშვის გონებრივი განვითარების საქმეში. „დედა-ენისადმი“ ინტერესი არ შენელებულა ქართული პედაგოგიური აზროვნების ადრინდელ, თუ თანამედროვე ეტაპზედაც.

ახლახან გამომცემლობა „სვეტი“-მა



გამოსცა მარინე კიკნაველიძე-პაპიძის ნაშრომი „იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საიდუმლო. ნაშრომის ავტორი ორიგინალური ხერხებითა და მეორდებით ნის „დედაენის“, როგორც სახელმძღვანელოს აგების გოგებაშვილისეულ პრინციპებს. აღნიშნავს, რომ „დედაენაში“ გამოყენებული ყოველი ასო-ნიშანი, სურათები, ფოლკლორული მასალები, ქართველ მწერალთა შემოქმედების ნიმუშები ლოგიკური თან-მიმდევრობითაა წარმოდგენილი, რომ ისინი მარტივად, გარკვეული თანმიმდევრობით ნისან ბავსვის გონებას და ხელს უწყობენ მის ინტელექტუალურ ხრდას. ავტორი გააზრებულად, პედა-

გოგიური ალდოთი ხსნის „დედა ენაში“ წარმოდგენილ თითოეულ მასალას, ნახატს, ფოლკლორის თუ პოეზიის ნიმუშებს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს, მეცნიერულად ხსნის თითოეული ბებს, ამ დეტალის ადგილს და დანიშნულარაცედაგოგიური შეფასებები წიგნებას. ავტორი ასევე გონივრულად იყენებს ს. დოდაშვილის, მ. მამარდაშვილის, შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ ავტორთა ბრძნულ გამონათქვამებსა და მოსაზრებებს ეროვნული ცნობიერების შესახებ, რითაც ორიგინალურად ხსნის ი. გოგებაშვილის, როგორც დიდი პედაგოგისა და მოღვაწის შეხედულების შესახებ მოხარული თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღხრდის საქმეში. ავტორი საგანგებოდ ჩერდება

6. ფიროსმანაშვილის ნახატებზე და თავისებური გააზრებით ხსნის მათი აღქმის მნიშვნელობას შესასწავლი მასალის ათვისებაში. მ. კიკნაველიძის ნაშრომი მხატვრულ-ფილოსოფიურ ასპექტში მიმოიხილავს „დედაენის“ სტრუქტურას, მარჯვედ იყენებს ქართული ენის შინაგანი ბუნების დეტალებს და მის პრაქტიკულ დირექტულებას მშობლიური ენის შესწავლის საქმეში.

ნაშრომი თავისი შინაარსითა და ანალიზით, ვფიქრობთ, თავის ადგილს დაიკავებს - გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ილუსტრირებული ბიბლიოგრაფიის პრეზენტაცია

6 მაისს საქართველოს პარ-
ლამენტის ეროვნული ბიბ-
ლიოთეკის საკონფერენციო
დარბაზში „ვეფხისტყაოსნის“ გა-
მოცემათა ილუსტრირებული ბიბ-
ლიოგრაფიის (1712-2015 წწ.) მეორე
შევსებული და შესწორებული გა-
მოცემის პრეზენტაცია გაიმართა.
გამოცემა „სეზანის“ საგამომცემ-
ლო ჯგუფის მიერ თბილისის მე-
რიის კულტურული დონისძიებების
ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა.

პირველი გამოცემა ამავე საგა-
მომცემლო ჯგუფის მიერ 2009
წელს დაიბეჭდა.

პროექტის იდეის ავტორია მანანა
კარტოზია, ხელმძღვანელი - ლევან
თაქთაქიშვილი, მთავარი რედაქტო-
რი - ელზა ნაბახტეველი. შეად-
გინეს მამუკა ჩხეიძემ და ლევან
თაქთაქიშვილმა. დიზაინერ-დამკა-
ბადონებელი - მაკა ცომაია.


გამომცემლები „ვეფხისტყაოს-
ნის“ გამოცემათა ილუსტრირებუ-
ლი ბიბლიოგრაფიის მნიშვნელო-
ბას ასე აფასებენ: „რუსთაველის
საიუბილეო წელს ახალი კატალო-
გის გამოცემა ლოგიკური და მისა-
სალმებელი მოვლენაა. როგორც
აღმოჩნდა, 2009 წლამდე ჩვენთვის
ცნობილ 383 სხვადასხვა გამოცე-
მას მომდევნო შვიდი წლის გან-
მავლობაში 120 ახალი გამოცემა
დაემატა, მათ შორის 50 ქართულ
ენაზე. ბიბლიოგრაფიული გამოცე-
მები ხელს უწყობს მკვლევრებს
მათვის სასურველი გამოცემების
მოძიებაში. ეს ბიბლიოგრაფია კი
რუსთაველოგიური პრობლემა-
ტიკის აქტუალიზებასაც ემსახურე-

ბა. საძიებელი-კატალოგი არაერთ
საგულისხმო მონაცემს უყრის
თავს და განსჯასა და შეფასებას
მოითხოვს. რუსთაველოლოგებსა
და ყველა დაინტერესებულ პირს
შესაძლებლობა ეძლევათ, ამ გა-
მოცემით მოიძიონ და ერომანეოს
შეადარონ „ვეფხისტყაოსნის“ რო-
გორც სამამულო, ისე უცხოური
გამოცემები, გაარკვიონ, თუ რამდე-
ნად ხარისხიანია თარგმანები და
ვინ არიან ამა თუ იმ ენაზე პოე-
მის ხელმეორედ ამმეტყველებელნი,
მოძებნონ ილუსტრაციები. დროა,
ვიზრუნოთ იმ ჩავარდნებზეც, რაც
„ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ ენებზე
თარგმნის მხრივ შეინიშნება; მა-
გალითად, „ვეფხისტყაოსანი“ არ
თარგმნილა ბერძნულ, ინდურ, შვე-
დურ, პორტუგალიურ, ვიეტნამურ, ინ-
გუშურ ენებზე. „ვეფხისტყაოსნის“
ბიბლიოგრაფიის ბეჭდვის პროცესს
დაემთხვა სასიხარულო ცნობა: სა-
მხრეთ კორეაში, სეულში დაიბეჭდა
„ვეფხისტყაოსნის“ პირველი კო-
რეული თარგმანი, ანუ ეს საძიებე-
ლიც უკვე აღარ არის სრულყოფი-
ლი. ამდენად, რუსთაველის უკვდავი
ქმნილების სიცოცხლე გრძელდება
და პოემის გავრცელების არეა-
ლი იზრდება, ამიტომ მომავალ-
ში „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა-
თა ბიბლიოგრაფიის შევსება და
ხელახლა დასტამბვა აუცილებელი
გახდება. რუსთაველი ხომ საუკუ-
ნეზე მეტია, რაც ქართული პოლი-
გრაფიის ორბიტიდან გავიდა და
ათასობით ცალი იბეჭდება მსოფ-
ლიო სასტამბო ხელოვნების ნიმუ-
შად.

მაის მიუბახიძე

„ემიგრანტის წერილი-2016“

ორებული „ემიგრანტის წერილი-2016“ ამ სახელმწოდებით ჩატარებული ლიტერატურული კონკურსის ლოგიკური დასრულებული შედეგია. მასში შევიდა კონკურსში გამარჯვებული ავტორების პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. ლიტერატურული კონკურსი „ემიგრანტის წერილი“ მეორედ ჩატარდა (პირველი იყო 2014-ში) და მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვმა არა თუ მოიკლო, მოიმატა კიდეც და ეს გასაგებიცაა - არ კლებულობს სამშობლო განვითნების რიცხვი. ეს კრებული ჩვენი სამშობლოს მძიმე ცხოვრების ანარეპლია და ამავე დროს, ეს კრებული ჩვენი სამშობლოს მძიმე ცხოვრებასთან შეჭიდებული ქართველების სულის სიძლიერისა და სუ-



პროექტის ავტორმა და წიგნის რედაქტორმა, რუსულან გოგბერაშვილმა, 20 წელზე მეტი გაატარა ემიგრაციაში და საკუთარ თავზე გამოსცადა სამშობლოსა და ოჯახურ გარემოს მოცილებული ადამიანის მდგომარეობა. პროფესიონალ პედაგოგ, ინტელექტუალი ქალბატონისთვის პოეზია

იყო ერთგვარი შეგძაც და გამხნევებაც. ალბათ ამიტომ იყო, რომ საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში მან შექმნა „ქართული სალონი“, სადაც „სულის მოსაოქმედად“ თავს იყრიდნენ ქართველი ემიგრანტები. სწორედ „ქართული სალონისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანების“ ურთიერთობანაშრომლობით ჩატარდა ეს კონკურსი. კრებული გამოცემულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო მხარდაჭერითა და დაფინანსებით.

კონკურსის მონაწილეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრდენ და შრომობენ. მათი მონაწილეობით ამ პროექტში, თითქოს ერთ წრედ შეიკრა და გამოლიანდა მთელი მსოფლიო. ნაცნობი გრძნობები, ნაცნობი ტკივილები, სამშობლოსთან ყოველი შეხებით გამოწვეული სიხარულის ნაცნობი განცდა და მოლოდინი...მოლოდინი, რომ ყველაფერი მაღე კარგად იქნება! უკეთესი ცხოვრების მოლოდინში კი შრომობენ ჩვენი თანამემამულეები მუხლჩაუხელად და ცდილობენ საკუთარი ლამაზი სამშობლო გააცნონ თავიანთ „კირიებს“ („ქალბატონი“ ბერძნულად).

გამოხატვება

მაბე სოცოლაშვილი

ემიტრანტის ერთი ლექსი

ეჭყდლებელია ამ ლექსის უემოციოდ წაკითხვა, დიდ სეგდას ატარებს ის. თითოეულ სიტყვაში სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული და მონატრება იგრძნობა. ავტორს უნდა, რომ ყველას ხმამაღლა მოუყვეს თავისი ქვეყნის შესახებ. გადმოგვცემს საქართველოს სილამაზეს და ქართველი ერის დირსებებს, ემამაჯება, რომ ამ ქვეყანას ახლოდან იცნობს და უფრო მეტიც, მისი შეილია. ლექსი მისი გულის გულიდან ამოძახილია. ოცნებობს იმ დროზე, როცა კვლავ დაბრუნდება სამშობლოში და მუხლს მოიყრის უძველეს ტაძრებში ხატების წინ. მზეც უყვარს აქაური.

თითოეული ემიტრანტისთვის, სამშობლოს მონატრებაზე არანაკლები, ოჯახის მონატრებაა. ავტორი ამასაც ვერ უვლის გვერდს, მათ ტკიფოლს იქაც განიცდის, დედის მუხლები მა-

საც სტკიფა.

ბევრის საოქმედი ერთი ლექსით თქვა აგრორმა, ამ საოქმედის მიღმა მოელი მისი წარსულია.

...და ჩანთა.. ეს ის საკრალური ნივთია მისთვის, რომელიც სამშობლოს სურნელს ჯერ კიდევ ატარებს. აღბათ როგორი ძვირფასია და როგორ უფრთხილდება მას?!

ავტორს, ისევე როგორც ყველა ემიგრანტს, კუსურვებ ძალიან მაღე დაბრუნებულიყოს სამშობლოში.

კრებულმა „ემიგრანტის წერილი-2016“ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. თითქოს კარგად გვესმის ემიგრანტთა გასაჭირისა, მაგრამ ასე შეატვრულად გადმოცემულმა ამბებმა ოუგანცდებმა კიდევ უფრო საცნაური გახადა ჩვენი თანამემამულებების სულიერი ტკიფილი. გთავაზობოთ ერთ-ერთ ლექსს.

ნანა გოგოლაური ფრაუ მარტა

ჰო, ფრაუ მარტა, გსურთ, მოგიყვეო ერთი ამბავი?!
ოდონდ ნამდვილი...როგორც სუნთქვა, ისე მართალი.
არის ქვეყანა...მასზე მითებს დღესაც ჰყვებიან-იცით?! - იქ თოვლიც უწვეულოდ ისხვერია.
ცა ფირუზია და ხმელეთი - ფერი ზურმუხტის,
ერი პურადი და გულადი, ლადი, გულუხვი...
და სიყვარული, სიყვარული როგორ იცია?
-სიტყვა სიტყვაა, ერთგულება თითქოს ფიცია.
ჰო, ფრაუ მარტა, ამ ქვეყანას მე ახლოს ვიცნობ.
როცა გიამბობთ, ოცნებებით იქა ვარ თითქოს.
არა, რას ამბობთ, სიმართლეა, განა ზღაპარი?!
მხოლოდ მადროვეო, შეგისწოროთ მხრებთან საბანი...
და თქვენ რომ გიყვარო „მზე შინაო“, ჩემი სიმდერა -
იმ ქვეყანაში, მზე მაისში თაფლად იღვრება.
თქვენ უნდა ნახოთ, რა ნაზია ლურჯი აპრილი...
ან ვაზი, ვაზი მსხმიარე, დალალდაყრილი.
გრემი, იყალთო, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი...
ოთ, მის ხატებთან მუხლის მოყრას რარიგ მოველი.
არა, რა ცრემლი?! თვალში მტკერი მომხვდა ნამცეცა.
იცით, ქორწილში, ენკენისოფეს, იცით, რა მეცვა?..
და ტყუპი ბიჭი, მერე გოგო, სამი ნუგეში...
ოჲ, მონატრების ცრემლს ვერ ვმაღლავ თვალის უპეში.
თქვენ არ ინალვლოთ, ფრაუ მარტა, გედგებით მცველად.
(ნეტავ, მუხლები ისევ სტკიფა ჩემს მოხუც დედას?).
არა, რა მითი?! სიმართლეა, ასეა, მართლა...
იმ ქვეყნის სურნელს კვლავ ინახავს ეს ძველი ჩანთა.
იდიშით ვხედავ, გეთანხმებით, მე გამიმართლა -
ჰო, იმ ლამაზი ქვეყნიდან ვარ,
ჰო, ფრაუ მარტა!..

ეორესპონდენცია

მეცნიერებების მოსახლეობის სახალხო სახლის ბიბლიოთეკის გამგე


თბილისის 42-ე სახალხო სახლის ბიბლიოთეკის გამგე

ახალი ტექნოლოგიები ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკაში

ც ბიბლიოსის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას დიდი ხნის ისტორია აქვს. დაარსების პირველივე წლებში, მასთან არსებობდა საბიბლიოთეკო სასწავლებელი, რომლის ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკიდან დღესაც გვაქვს შემორჩენილი რარიტეტული წიგნების ფონდი, რომელიც ჩვენი ბიბლიოთეკის მეტად საინტერესო ნაწილია.

ბიბლიოთეკა მუდმივი განახლების პროცესშია. მიმდინარე სასწავლო წელს იგი გარემონტდა, რაც ერთ-ერთი დადგენითი ფაქტორი გახდა მოსწავლეთა ბიბლიოთეკით დაინტერესებისა.

შექმნილმა გარემოებებმა დღის წესრიგში დააყენა საბიბლიოთეკო საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიების შემოტანის აუცილებლობა, რისთვისაც სკოლამ შეიძინა საბიბლიოთეკო პროგრამა „ოპენბიბ-



ლიო“, გაკეთდა ელექტრონული კატალოგი. დღეს მოსწავლეებს სახლიდანაც შეუძლიათ დაათვალიერონ და მოინიშნონ მათვის სასურველი წიგნი.

მოსწავლეთა სწრაფად და ხარისხიანად მომსახურებისა და სხვა საბიბლიოთეკო

საქმიანობების უკეთ წარმართვის მიზნით, საჭირო გახდა საინვენტარო წიგნის ელექტრონული გერსის შექმნა, რამაც ძალიან მარტივად გადაგვაწყვეტინა ბევრი პრობლემა. მოელი ფონდი დალაგდა განყოფილებებად და დარგებად და გადატანილ იქნა ცალ-ცალკე Sheet-ებში, ამით შესაძლებელი გახდა იმის განსაზღვრა, თუ რომელ განყოფილებაში, რომელ დარგში რა და რამდენი წიგნი გვაქვს.

გაკეთდა ჯამობრივი აღრიცხვის ურნალის სამივე ნაწილის ელექტრონული ვერსია. რამაც თავიდან აგვაცილა მექანიკური შეცდომები ფონდის რიცხობრივ მონაცემებზე მუშაობის დროს.

ამ ურნალის ელექტრონული ვერსიის შექმნამ, შესაძლებლობა მოგვცა, შეგვესწორებინა წინა წლების მიღება-ჩაბარების აქტების დანართებში დაშვებული მექანიკური შეცდომები. ამ მიზნით, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა კომისია, რომელმაც გადამოწმა ეს ხარვეზები და შედგა ახალი შესწორებული დანართები, რომელიც წარედგინა ბუდალტერს.

ჯამობრივი აღრიცხვის ურნალის ფოლდერში არის აგრეთვე, წლების განმავლობაში ბიბლიოთეკაში შემოსული და გარიცხული წიგნების აქტების ყველა დანართი, განთავსებული ცალ-ცალკე შპეტ-ში, რომლითაც შესაძლებელი ხდება ნებისმიერი წლის, ნებისმიერი აქტის დანართის მოძიება.

ინტერნეტის ხშირი გათიშვის გამო, ჩვენთვის უფრო მოსახურებელი გახდა მოსწავლეთა მიერ წიგნების გატანა-ჩაბარების აღრიცხვიანობის წარმოება ელექტრონულად Excel-ის ფაილში, რომელიც აგრეთვე საშუალებას იძლევა, სწრაფად დაახარისხოს მოთხოვნადი წიგნების, აქტიური მკითხველების და დაგვინებული წიგნების სიები.

მოსწავლეობა და პედაგოგისათვის ინფორმაციის სწრაფად მიწოდების მიზნით, გაკეთდა ბიბლიოთეკაში არსებული 29 სერიული გამოცემის ტომების და მათი სარჩევების ელექტრონული ვერსიები. აგრძელება, ყველა მეორდური ჟურნალ-გაზეთის, ძველი სახელმძღვანელოების და ბროშურების ჩამონათვალთა ელექტრონული ვერსიები.



ბიბლიოთეკაში გადაირჩა წლების განმავლობაში პედაგოგების მიერ მოწოდებული მოსწავლეობა საინტერესო საპრეზენტაციო ნაშრომები, რომლებიც საგნების მიხედვით ჩალაგდა ბაინდერებში, თავისი სარჩევის ელექტრონული ვერსიით და ამით შეიქმნა კიდევ ერთი საინტერესო საინფორმაციო წყარო.

ბიბლიოთეკაში პრეზენტაციებისა და სხვადასხვა დონისძიებებისათვის ძალიან მოოხვენადია ჟურნალები „ისტორიანი“ და „National Geographic“, ამიტომ სასურველი ინფორმაციის სწრაფად მოძიების მიზნით, გაკეთდა ამ ჟურნალების სარჩევების ელექტრონული ვერსიებიც, რომელშიც არა მარტო ოქმატიკის, არამედ რუბრიკების მიხედვითაც შეიძლება ინფორმაციის მიღება.

ჩვენი ბიბლიოთეკის ფაილში ელექტრონულად გვაქვს ყველა ის მასალა, რაზეც გვიმუშავია წლების განმავლობაში: ანგარიშები, განცხადებები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიები კლასებისა და საგნების მიხედვით, ბრძანებები, კვლევის შედეგები წლების მიხედვით, აქტები, ოქმები, ჩვენი ბიბლიოთეკის პრეზენ-

ტაციები, ბიბლიოთეკის ფოტო-მატიანე, სტაჟიორნებთან მუშაობის გამოცდილება, ხელშეკრულებები, პროექტები და სხვ.

ამჟამად, სკოლის ბიბლიოთეკაში 4200-მდე წიგნია. ძირითადად ამ წიგნების უმრავლესობა ნახევარ საუკუნეზე მეტი წელისაა, რაც აშკარად დაბლა სწევს მოსწავლეობა ბიბლიოთეკით სარგებლობის აქტივობას. ბავშვებს ძალიან მოსწონო ახალი, სუფთა წიგნები, რასაც ხშირად სიტყვიერადაც გამოხატავენ. გამოიკვეთა, რომ ესთეტიკურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოსწავლეობა წიგნით დაინტერესებისა და მათი კითხვაში ჩაბმის მიზნით, სკოლის ბიბლიოთეკის მიერ, უკვე 5 წელია ტარდება კვლევები, რომლის შედეგადაც ვლინდება:

1. ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ მოსწავლეობა აღრიცხვა კლასების მიხედვით და კლასების რეიტინგი აქტიური მკითხველების მიხედვით;

2. აქტიურ მკითხველთა საერთო რაოდენობა კლასების მიხედვით;

3. აქტიურ მკითხველთა მიერ წაკითხული წიგნების საერთო რაოდენობა;

4. მოსწავლეობა დაინტერესების სფეროები;

5. მკითხველთა ბიბლიოთეკით სარგებლობის აღრიცხვა თვეების მიხედვით.

და ბოლოს, ხდება აქტიური მკითხველების დაჯილდოება სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით; გამოვლინდება აქტიურ მკითხველთა ჯგუფი.

ყოველი სემესტრის ბოლოს, კვლევების შედეგები, ცხრილებისა და გრაფიკების სახით, განთავსდება საინფორმაციო დაფაზე. ყოველი კვლევის შემდეგ კი ტარდება გასული წლების კვლევების შედარებითი ანალიზი, სადაც აშკარად იკვეთება, რომ კითხვადობამ იმატა, მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკას შეემატა ბეჭრი ახალი წიგნი, მხედველობაში გვაქვს მსოფლიოს კლასიკოსთა ლიტერატულის სერიები: „50 და 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“; აგატა კრისტის ტომები; საკითხავი ყმაწვილთავის (მრავალტომეული); ჟურნალი „ისტორიანი“; „ჩემი სამყარო“; მეორდური ლიტერატურა პედაგოგებისთვის; ლექსიკონები და სხ.

ცის მასშეჩანა
ციტაცია აფრიკი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტი მიძღვნილი ლონისძიებები

N 129 სკოლა მდებარეობს გლდანის ნინაძალადევის რაიონის სამდერეთის ქ. №9-ში. ეს სკოლა დაარსდა 1965 წელს და შარშან მას 50 წელი შეუსრულდა. ნახევარი საუკუნის მანძილზე სკოლას ხელმძღვანელობდნენ განათლების დარგის დვაწლმოსილი და დამსახურებული პიროვნებები: ალექსანდრე შარაშიძებიორგი ზაქარეიშვილი, პავლე ხატიძე, მიხეილ სანიკიძე, ოვიდურაზე ანდრულაძე, ია ასლამაზიშვილი და სხვები, ხოლო ამჟამად სკოლას ხელმძღვანელობს მაია აღვესებაძე.

ნახევარი საუკუნის მანძილზე სკოლაში მოღვაწეობდნენ დვაწლმოსილი პედაგოგები. მათ შორის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელენე თეორაძე-ორგზის „სახალხო განათლების წარჩინებული“, მრავალი საპატიო და მაღლობის სიგელების მფლობელი, რომლის მიერ ჩატარებული დია გაკვეთილები დღესაც სამაგალითოდ ითვლება და ამ დამსახურებულმა პედაგოგმა პედაგოგიური მოღვაწეობის 58 წლის მანძილზე 50 წელი № 129 სკოლაში გაიტარა.

დღესაც ბევრი პყავს სკოლას წარმატებული მასწავლებელი, გამორჩეულია 2010-2011 სასწავლო წლის ერთ-ერთი სერთიფიცირებული მასწავლებლის მაია ჩხიკვიშვილის დამსახურება პროექტ „სასკოლო პარტნიორობაში“ გამარჯვება.

სკოლის კონკურსში „საუკეთესო მასწავლებელი - 2009“ წელს გამარჯვებული გახდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ხუციშვილი, 2010 წელს -მუსიკის მასწავლებელი შორენა ბულალაური; წლის საუკეთესო მოსწავლე 2009 წელს გახდა მე-11 კლასელი თამარ მამადაშვილი, რომელმაც 15 წლის ასაგში გამოუშვა ლექსების კრებული და მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „გწერთ თავისუფალ თემას“ გამარჯვებისათვის 2 კვირით გაიგზავნა დიდ პრიზანებში სასწავლებლად. 2010 წელს წლის საუკეთესო მოსწავლე გახდა მე-12 კლასელი მარიამ კვერდველიძე, რომელმაც ეროვნულ გამოცდებზე 100% გრანტი მოიპოვა.

სკოლაში თავისი არსებობის მანძილზე უა-

მრავი მოსწავლე აღზარდა, რომლებიც მომავალში ცნობილ პიროვნებებად მოგვევლინენ, ესენი არიან: პარლამენტარები- შოთა მალაშვილი, მერაბ სამადაშვილი, სამების ეკლესიის პროექტის ავტორი არჩილ მინდიაშვილი, პროფესორები: ქეთევან და თამარ ბარამიძეები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ხელმძღვანელი მუშაკები, მათ შორის- გიორგი ზარდიაშვილი, რომელმაც 2004-2005 წლებში გაიმარჯვა კონკურსში და მოიპოვა ა.შ.შ.-ში ერთწლიანი სწავლის უფლება.

ადსანიშნავია, რომ სკოლაში წინ გაუსწორო განათლების რეფორმას იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ინკლუზიური სწავლება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირთაოვის.

2006 წელს სკოლაში ერთ-ერთმა პირველმა ჯილდოდ მიიღო 15 პერსონალური კომპიუტერი, პროგრამა „ირმის ნახტომში“ გამარჯვებისათვის. აგრეთვე 2008-2009 წლებში მასწავლებელთა ზამთრისა და ზაფხულის კონფერენციებში გამარჯვებისათვის. 2007 წელს ფონდ „დია საზოგადოება საქართველოს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „სასკოლო პარტნიორობაში“ 3300 დოლარის გრანტის მოპოვებისათვის სკოლა დაჯილდოვდა ლეპტოპით. ჩამოთვლილ კონკურსებში გამარჯვებული მასწავლებლები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფულადი პრემიებით.

მრავალ საქველმოქმედო აქციათა შორის სკოლაში დევნილ მოსწავლეთა დასახმარებლად განახორციელა პროექტი მათოვის წიგნებისა და ტანსაცმლის შესაძენად.

დღეისათვის № 129 სკოლის კონტინგენტი 760 მოსწავლეს შეადგენს. ეს რაოდგნობა ზრდადია და სკოლა გამოირჩევა თავისი მატერიალურ- ტექნიკური ბაზით, ტრადიციების აქტიური მიმღებარი ახალგაზრდა კოლექტივით, რომელთა საშუალო ასაკი შეადგენს 38 წელს. სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო გლდანი-ნაძალადევის რაიონში, არამედ დედაქალაქშიც, რადგან ყოველწლიურად სკოლის კურსდამოავრებულები ეროვნულ გამოცდებზე აჩვენებენ მაღალ შედეგებს. საშუალოდ მოსწავლეთა რაოდენობის 43% სწავლობს სახელმწიფო დაფინანსებით. ეს

მაჩვენებელი ყოველწლიურად იწრდება. სკოლაში ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებმა მოიპოვეს 30-100%-მდე სახელმწიფო დაფინანსება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

აღნიშნულ სკოლასთან № 42 ბიბლიოთეკას მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობა გვაკავშირებს, რაც არა მარტო მოსწავლეების მკითხველური ინტერესების დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული, არამედ დაწყებითი ქლასების ღონისძიებების მუდმივი დამსტრეები გართ, რადგან მათი პედაგოგები ლია მაისურაძე და ია ღლოონტი ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არაია მოსწავლეებთან ერთად.

2015-2016 სასწავლო წელს 4ა კლასის გამოშვებაზე (კლასის ხელმძღვანელი ლია მაისურაძე) ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოსწავლეებმა ქართული ზღაპრის „მუჭანახევარას“ მოტივებზე შექმნილი სპექტაკლი „ჭკვაუხმარ არს ბრიყვათოვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“ წარმოადგინეს. მოსწავლეებმა კარგად გააცნობიერეს ზღაპრის ფაძლა და იდეა. სამწუხაროდ, დღევანდელ ყოვაში ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია და პატარებმა გაითავისეს ზღაპრის დედააზრი, კარგად შეძლეს გარდასახვა და თითოეულმა მოსწავლემ თავისი როლი, ადამიანის მოვალეობა გაიაზრა და მხატვრულად მაღალ დონეზე შეასრულა.



უცილობელია, აღინიშნოს მოსწავლეების: გიორგი ქეპრაძის - „მუჭანახევარა“, ლუკა ალიმბარაშვილის, ელენე გოგოლაძის, მარიამ ფოფხაძის, მარი ექიზაშვილის, გენო ტორონჯაძის, გიორგი ქართველიშვილის, სალო პაპიტაშვილის, ირაკლი ჯალაბაძის, ლუკა სამხარაძის, მერაბ მერაბიშვილის, გიორგი თეთრაძისა და ამ კლასის ყველა მოსწავლის აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ სპექტაკლში.

ამ სკოლის 4ბ კლასში სიით 24 მოსწავლე



ირიცხება, მიმდინარე სასწავლო წლის 20 მაისს კლასმა ჩატარდა ღონისძიება: „ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დაგრებით“!

სცენარი დაწერა კლასის ხელმძღვანელმა ია ღლონტმა, მუსიკალურად გააფორმა მუსიკის პედაგოგმა ქეოვან ჩხაიძემ. პატრიოტული ღონისძიების მიზანი იყო, მოსწავლეები გაცნობოდნენ ქართველ გმირებს, მათ გმირულ საქმიანობას, თავდადებასა და სამშობლოსთვის თავანების დროლას; ყოველ მათგანს გაეთავისებინა, თუ რა არის სამშობლოს სიყვარული, რანი ვიყავით ქართველები, რანი ვაროდეს და რანი ვიქებით ხვალ... ბახტრიონის ომის გმირები გაცოცხლდნენ სცენაზე. ბავშვებმა მთელი გულიო შეიყვარეს თითოეული გმირი და თავისებურად, თავიანთი ინტერაქტიული წარმოადგინეს ისინი.

ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ნიკა მელაძე-ბაში-აჩუკის როლის შემსრულებელი, მიხეილ ჩორგოლიანი - აბდუ - შაჰილი, ბელა ლეჟავა-პირიმზისა, მარიამ ნაბიჯაშვილი - მელანო, დემნა აფაქიძე - თავადი ჩოლოფაშვილი, გმირი თუში მხედრები: ილია ჩხაიძე, ნიკა მარაქელიძე, რატი ასლამაზაშვილი, დაჩი გიორგობიანი, ლუკა გურგენაძე, გიორგი ქენქაძე და სხვები.

ეს დაუვიწყარი დღე დიდხანს დარჩება 4ბ კლასის მოსწავლეთა გულებში.

ღონისძიებას სიხარულოან და სიამაყესოან ერთად, თან ახლდა კლასის ხელმძღვანელისა და მოსწავლეების გაცილების თბილი და სეგდიანი ნოტები, რადგან მათი თანამშრომლობა ოთხ წელიწადს ითვლის და სხვა მასწავლებლებისაგან განსხვავებით, ეს ურთიერთობა ყოველდღიურია. მაგრამ მომავლის იმედი და ახალი თაობის აღზრდა, რომლის ესტაფეტას გადაცემა ტრადიციადაა ქცეული № 129 საჯარო სკოლაში, დიდ იმედებს უსახავს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

აოცა აღიარებული

შეხვედრა პროფესორ იური სიხარულიძესთან საპატიო იური სიხარულიძესთან

5 მა წლის 27 მაისს, საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ცნობილი მეცნიერისა და ჟურნალისტის იური სიხარულიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს უმასპინძლა. მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ისტორიკოსს, ფოლკლორისტს, ეთნოგრაფსა და



საქართველოს სისტემური ტოპონიმიკური კვლევის ერთ-ერთ პიონერს იური სიხარულიძეს 24 მაისს, დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

საღამოზე მოწვეულმა სტუმრებმა მეცნიერს საიუბილეო თარიღი მიულოცეს, ასევე ისაუბრეს მისი დამსახურების შესახებ. ლონისმიებას იური სიხარულიძესთან ერთად მისი ოჯახის წევრები, მეგობრები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. საღამო თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ინიციატივით ჩატარდა.

საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ ჟურნალისტთან მიცემულ ინტერვიუში ბატონმა იურიმ განაცხადა: - „დღეს ჩემი ცხოვრების დიდი დღეა, 90 წელი შემისრულდა 24 მაისს, ეს 90 წელი მე ბავშვობიდან მოვახმარე საქართველოს ისტორიის შესწავლას, პატარა ბავშვობიდან, ეტყობა, ვიყავი მიდრევილი, თუ არ ხარ მიდრევილი, არაფერი არ გამოვა ისე, შვილო, მე დავიბადე 1926 წელს. მწყინს, რომ 26-ში დავიბადე, უფრო ადრე მინდოდა დავბადებულიყავი. იმიტომ რომ, ადრე უფრო დიდი ისტორია იყო... არა?! პოდა მე აღტაცებული ვარ იმით, რომ ქართველებმა იმსელა იღვაწეს თავის დროზე, რომ ქართველმა კაცმა კარლო ჩხეიძემ დაპატიმ-

რა რუსეთის იმპერატორი, პოდა თქვენ მოერევით ამას?! იმპერიას მოერევა ჭიათურა, თვარა... ჩვენ საჭიდაოდ არ გვცალდია, თუმცა ჭიდაობაშიც არ ჩამოვრჩებით, მაგრამ, ჩვენ უფრო აზრიანი ვიყავით წინათ, ახლა ღმერომა ნუ მოგვაკლოს ეს აზრი.“

ქალბატონმა ცისანა ქოჩებაშვილმა ინტერვიუში ასევე თქვა: „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის „ლიტერატურული სალონისთვის“ და საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის „წიგნის სავანისათვის“ გამორჩეული დღეა! ჩვენი მეგობრობა, საერთოდ, ცნობილია, მაგრამ დღეს გამორჩეული დღე გვაქვს იმიტომ, რომ პატივს მივაგებო, საიუბილეო შეხვედრას ვუწყობო ძალიან ცნობილ მეცნიერს, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტს, 50-ზე მეტი წიგნის ავტორს, 500-ზე მეტი საგაზეოო წერილის ავტორს, ბატონიური სიხარულიძეს, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ შეუსრულდა 90 წელი.“

თბილი და ძალზე საინტერესო საიუბილეო საღამო სამ საათზე მეტი ხანს გაგრძელდა. გამოითქვა სურვილი და გადაწყდა, რომ ბატონმა იურიმ საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ჩატაროს საჯარო ლექციები ახალგაზრდებისათვის.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ იურის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, რათა გააგრძელოს დვაწლი და ამაგი სამშობლოსა და ქართველი ერის სასიკეთოდ.



დღეები სიტყვის სამოსელში

ორს და სივრცეს ირეკლავდა საბიბლიოთეკო დღესასწაული, რომელიც წყალტუბოში 27 აპრილს დაიწყო და 27 მაისს დასრულდა.

საბიბლიოთეკო დღეების პროგრამა საზოგადოებას ამცნობდა, რომ გაიმართებოდა ლიტერატურულ - მუსიკალური საღამოები და სპექტაკლები,



პოეზიის საღამოები, რომელიც ეძღვნებოდა წლის იუბილარ კლასიკოსებს - შოთა რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძეს; ქართულ ენასა და ახალ ლიტერატურას.

წყალტუბოს ბიბლიოთეკებს ძალას ჰქმატებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

სწორედ მუნიციპალიტეტმა განახორციელა 11 სასოფლო ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ პროექტის ფარგლებში - „წიგნიერება ქვეყნის მომავალია“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საბიბლიოთეკო ერთვიურის შემადგენელი ნაწილი გახდა ნოუთბუქების გადაცემა. მკითხველმა იგრძნო, რომ წყალტუბოს „ბებერ“ ბიბ-

ლიოთეკებში, რომელთაგან 24 ბოლო 2 წელში ადადგინეს, სიცარიელე ადარ ითარებებს, მიღებული ტექნიკა და ინტერნეტი წიგნის ცნობიერების წადილს გააღვივებს და ბიბლიოთეკების სამსახურში ჩადგება.

ამასთან, მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა გაითვალისწინა ახალგაზრდა მკითხველთა მოთხოვნები და იგივე პროექტით დაკომპლექტდა ახალი ლიტერატურით 26 სოფლისა და ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა, რაც სულ შეადგენს 2670 ერთეულს. თითოეულ სასოფლო ბიბლიოთეკაში შევიდა 90 წიგნი.

ერთოვიურის საპატიო სტუმრებს წარმოადგენდნენ: პროექტის აღმასრულებლები - ოქმთა სოციალურ და ეკონომიკური განვითარების ასოციაციიდან „იმერეთი“ და ჩეხური ორგანიზაციიდან „ადამიანი გაჭირვებაში“, მიხეილ უშვერიძე, დავით გასაძე, რომლებიც პროექტის ფარგლებში არსებულ თერთმეტივე ბიბლიოთეკის დონისძიებაში იღებდნენ მონაწილეობას; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, საჯარო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები...





ወጪዎች የሚከተሉ አገልግሎቶች

ინტიმი რომ არ კვდება წიგნსა და
მკითხველს შორის, ამიტომაც დადიო-
და თითქოს ხორცშესხმული რუსთა-
ველის პოეზია სოფელ წყალტუბოს,
მეორე უბნის, გვიშტიბის, გუბისწყლი-
სა და პირველ წყალტუბოს ბიბლიო-
თეკების ახალი თაობის მკითხველებ-



ში. მათ საჯარო სკოლებთან ერთად
ჩაატარეს ლიტერატურულ-მუსიკალუ-
რი საღამო „სულმნათო“, მაღლი შენს
გამჩენს“.

პოეზიის და მუსიკის რიტმის უნიკალურ ბუნებას მიმართეს და „ვეფხისტყაოსნიდან“ ოეატრალური წარმოდგენები შექმნეს ოფურჩეთის და მუხიანის ბიბლიოთეკუბმა.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო ხანებში გაუმჯობესდა ფარცხანაყანე-
გის ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექ-
ნიკური ბაზა. ბიბლიოთეკარი ლელა
ფხაკაძე ჩართულია იუსტიციის სამი-
ნისტროს სსკ სახელმწიფო სერვისე-

ბის განვითარების სააგენტოს პროექტში - „BEYOND ACCESS”, რათა გაიაროს ტრენინგები ახალი იდეებისა და სერვისების გასახორციელებლად. სულ მალე ამ ბიბლიოთეკას იუსტიციის სამინისტრო 2 კომპიუტერს გადასცემს...

ამ ბიბლიოთეკაში და დერჩის, ტყაჩი-
რის და ოფშვეგითის ფილიალებში
ქუხდა გალაკტიონ ტაბიძის პოეზია,
რომელსაც დიდი გატაცებით დაეწაფ-
ნენ მკიოხველები.

„ქართული ენის სიყვარულის ფესვიც
და ყლორტიც ჩვენი ცხოვრების ო-
ნამდევია“ - ასე დაიწყო ქვილიშორის
ბიბლიოთეკაში ლიტერატურული სა-
დამო „ენა -შემქული და კურთხეული“.

ქვილიშორელმა ახალგაზრდობამ
გააკოცხლა ჩვენი ენის ისტორია.
იმ დღეს ბიძლიოთეკაში ჩატარებულ
საღამოს ესწრებოდნენ ბავშვები, ინ-
ტელიგენცია, მრავალი დაინტერესე-
ბული პირი.

საყულიის, მაღლაკის, ქვიტირის, რიონის, ცხენკურისა და გუმბრის ბიბლიოთეკებში ცოცხალი, თითქოს ხორცშესხმული ვაჟა-ფშაველა და-დიოდა.

ლამაზად, გაზაფხულის ექსპონატებით მორთულ ქონების ბიბლიოთეკაში 40 წელს გადაცილებულ მომხმარებლებს გარს ეხვეოდა ანაკალანდაძის პოეზია. ეს საღამო სოფლის ახალგაზრდობას მიეძღვნა.





საბიბლიოთეკო ზეიმის გვირგვინს წარმოადგენდა „თამარიძის“ დღესასწაული გეგუთში, თამარის ხესნების დღეს, რომელიც გეგუთის ბიბლიოთეკამ, კულტურის სახლმა და გეგუთის 1 საჯარო სკოლამ გამართეს თამარის ციხეზე დია ცის ქვეშ.

საქართველოს ოქროს ხანად წოდებული მე - 12 საუკუნის უბადლო მეფე ხშირად სტუმრობდა გეგუთის ციხე-დარბაზს, რომელიც მეფეთა და სასვენებელი იყო ზამთრის პერიოდში.

სოფლის ახალგაზრდებმა, სპორტული შეჯიბრებების შემდეგ თეატრალიზებული წარმოდგენა უჩვენეს საზოგადოებას, იყო თამარის გამეფება, იყო „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები პატრიოტული სიმღერებითა და ნაციონალური ცეკვებით; რაც მთავარია, ამ ღონიცძიებამ თავისი შინაარსით მთელ საქართველოს მიუ-



ლოცა არამარტო უძლეველი თამარ მეფის დღესასწაული, არამედ შოთა რუსთაველის 850 წლისთავი.

მაღალმთიანი სოფლებია დღნორისა და საჩხეურა - სულ მწვანე და მთიანი, ზემოდან ხვამლი და მთაშავა გადმოჰყურებთ.

აქ, ამ ნაშრომ - ნაჯაფმა მოსახლეობამ უველაზე კარგად იცის წიგნის ფასი, ამიტომაც ორივე სოფელში „ქუდზე კაცი“ იყო გამოსული წიგნების წარდგენაზე მონაწილეობის მისაღებად.

დღნორისაში წყალტუბოს მუზეუმების დამაარსებლის, ღირსების ორდენის კავალერის, იმედის გმირის ციალა ღვინიანიძის ამავე სოფელზე



შექმნილ წიგნს იხილავდნენ, ხოლო საჩხეურაში ძნელაძის წიგნს „შენ გებარებოდეს ჩემი საჩხეურა“.

საბიბლიოთეკო დღეების მთავარი შედეგი იყო მომხმარებელთა აქტივობა და თანამდგომთა დახმარება. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა - ჩვენი ბიბლიოთეკების მომხმარებელს უკვე აქვს საინტერესო სამყარო, სადაც ახალ წიგნებთან ერთად, საინფორმაციო ტექნოლოგიებიც ელოდება და, როგორც ოტია იოსელიანი გვმოძღვრავდა: „ასე ვასწავლით ახალგაზრდობას გზას ბიბლიოთეკისაკენ, ცხოვრების გზაზე კი თავად ბიბლიოთეკა გაიყვანს“.

სუჟი ბერძნი

დიდი მამულიშვილის სახელის უკვდავსაყოფად

მ ადო აღნიაშვილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითა და ქვეყნის სამსახურში თავდაუზოგავი შრომით დირსეული ადგილი დაიმკიდრეს მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოს კულტურის ისტორიაში; მისი დვაწლის უკვდავსაყოფად მრავალი საინტერესო დონისძიება გაიმართა საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, უმაღლეს სასწავლებლებში. 2016 წლის 28 მაისს ქ. რუსთავის გ. ლორთქიფანიძის სახ. სახელმწიფო თეატრში გაიმართა საიუბილეო სადამო ამ დღეს აღინიშნა ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან 155, ცნობილი ჩეხი მუსიკოსის, ლადო აღნიაშვილის გუნდის ლოტბარის, იოზეფ რატილის დაბადებიდან 175, „ქარ-



აღალეონ (ლარ) აღნიაშვილი

ბ ი რ ბ ი ბ ა ბ ა ბ რ ბ რ ა უ ბ ა

რატილის შთამომავლები. შთამბეჭდავი იყო საჯარო ლექცია აღასანიას უნივერსიტეტში. ლექციას ესწრებოდნენ ცნობილი პიანისტი ნიკო ხუციშვილი, ფერეიდნელი ახალგაზრდები, ცნობილი ორანისტი ალექსანდრე ჭულუხაძე.

კომპლექსურ ღონისძიებაზე ერთხმად იყო

აღიარებული დიდი მამულიშვილის დგაწლი და ამაგი ქართველი ერის წინაშე. გამოითქვა მოსაზრება, ხელმეორედ გამოიცეს მისი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

როგორც ცნობილია, ლადო აღნიაშვილს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქართულ ენაზე წიგნების გამოცემასა და გავრცელების საქმეში. 1887 წელს მისი ინიციატივით დაარსდა „ქართული წიგნების გამომცემელობა“; მანვე გამოსცა „ახალი ანბანის“ რგა წიგნი. 1896 წელს გამოსცა „ხალხური ხდაპრები“.

ლადო აღნიაშვილი, როგორც პედაგოგი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაძე იძრმდა და თანმიმდევრულდა იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს. მისი მრავალმხრივი შემოქმედება დირსეულად იქნა შეფასებული ქართველი ინტელიგენციის მიერ. ლადო აღნიაშვილის საიუბილეო თარიღობან დაკავირებული დონისძიებები, შეხვედრები, საჯარო ლექციები და სხვა სახის ინფორმაციები აისახა სპეციალურ გაზეთში „ბურჯი“. აქვე გაეცნობით იოზეფ რატილის საქართველოში მოდგაწერის ცალკეულ ეპიზოდებს.



საასამთი და იქაური

ქართველები

(ავტორი წერილი)

თავმინდეს მრავალმხრივი მოდელი

თული ქოროს“ დაარსებიდან 130 და ლადო აღნიაშვილის წიგნის „სპარსეთი და იქაური ქართველების“ გამოცემიდან 120-ე წლისთვის. დონისძიების საინიციატივო ჯგუფში აქტიურად მონაწილეობდნენ შ. მამალაშვილი დან. ქიმაძე.

საიუბილეო თარიღის აღნიაშვნამდე გამოიცა ჩვენ მიერ შედგენილი ლადო აღნიაშვილის ბიბლიოთეკაში (ობ., 2002) და „ლადო აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (ობ., 2010); ამ ნაშრომის გამოცემაში თავისი წვლილი შეიტანა ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, ანზორ ერქმაიშვილმა. გარდა თბილისისა, ლადო აღნიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად დონისძიებები გაიმართა ყვარელსა და თელავში.

დონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, მეცნიერ-მუშაკები, მოსწავლეები, ბიბლიოთეკარები. წიგნის „ვლადიმერ აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ განხილვაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ფერეიდნელი ქართველები და იოზეფ



მანანა ბვახამის

ზუგიშვილის ცენტრული ბიბლიოთეკის მიერკობი


ღვაწლი დაუვიწყარი

ვინ არის ნიკოლოზ (კოლია) ბუკია

კ ევრი რამ შეიძლება ითქვას ზუგ-
დიდელი მოღვაწის ნიკოლოზ (კო-
ლია) საბას ძე ბუკიას პიროვნებისა
და ღვაწლის შესახებ. ის XIX საუკუ-
ნის მიწურულსა და XX საუკუნის და-
საწყისში იყო ყოველივე სიახლის შე-
მომტანი ქალაქ ზუგდიდში, უკვარდა
თავისი ქალაქი და
იდვწოდა მისი განვი-
თარებისათვის.

ნიკოლოზ ბუკია
დაიბადა 1876 წლის
6 მარტს, შეძლებუ-
ლი ვაჭრის საბა ბუ-
კიას ოჯახში. ის ჯერ
ზუგდიდის ორქლა-
სიან სასწავლებელ-
ში მიაბარეს, შემდეგ
კი სენაკის საქალაქო
და ფოთის სამრევლო
სკოლებში მოუწია
სწავლა, ბოლოს ქუ-
თაისის სასულიერო
სემინარია დაამთავრა
1902 წელს.

1905 წელს დაინიშნა
ზუგდიდის საქალაქო
სასწავლებლის ქარ-



თული ენის მასწავლებლად, 1913 წელს
პატრიოტული სულისკვეთებისა და რე-
ვოლუციონერებისადმი თანაგრძნობის,
განსაკუთრებით იმის გამო, რომ ის იბ-
რძოდა სამეცნიერო სკოლებში ქართუ-
ლი ენის დასაცავად, სასწავლებლიდან
დაითხოვეს. გაიფიცნენ მოსწავლეები
და მათი მშობლები, სამი დღე სწავლა
არ იყო, სასკოლო ხელისუფლება იძუ-
ლებული გახდა ნიკოლოზ ბუკია თავის
ადგილზე დაებრუნებინა.

იმავე წელს სამუშაოდ გადაიყვანეს
სამტრედიაში, სადაც იმუშავა 1914-1916
წლებში.

1916 წლიდან 1918 წლამდე ცაცხვის
დაწყებითი სკოლის გამგე იყო. 1918
წლიდან კვლავ მშობლიურ ქალაქს
დაუბრუნდა და ერთ-ერთ სკოლას ჩაუდ-
გა სათავეში.

ისტორიკოსი აბესალომ ტუდუში გან-
საკუთრებულ ხაზს უსვამს ნიკოლოზ
ბუკიას ღვაწლს ქარ-
თული ენის დაცვის
საქმეში და წერს „ნი-
კოლოზ ბუკია ერთი
მათგანი იყო, ვინც
საქართველოს და მე-
ტადრე მის განუყოფე-
ლი ნაწილის- სამეც-
ნელოს ერთადერთი
სწორი გადაწყვეტი-
ლების მიღებისას, წი-
ნამდლოლის ჭაპანი
რომ ზიდა“ - (აბესა-
ლომ ტუდუში- დაუ-
დეგარი ზუგდიდელი
- ნიკოლოზ ბუკია.
შურნალი „დისკუ-
სია“, 2007. №5. - გვ.24.
რუბრიკა- „ზუგდიდის
მამშვენები“).

არაერთ წერო-
თული ენის მასწავლებლად, 1913 წელს
დაწყებითი სკოლის გამგე იყო. 1918
წლიდან კვლავ მშობლიურ ქალაქს
დაუბრუნდა და ერთ-ერთ სკოლას ჩაუდ-
გა სათავეში.

„ზუგდიდში პროგრესულად მოაზროვ-
ნე ახალგაზრდა სასულიერო სემინა-
რიის სტუდენტი ნიკოლოზ (კოლია)
საბას ძე ბუკიამ წამოყო თავი - ინიცია-
ტივა აიღო შედგომოდა აგიტპროპაგან-
დას: დაეფუძნებინა ჯერ ზუგდიდში და
მერე მის რაიონის ცენტრში „საჯარო

ბიბლიოთეკა სამკითხველოები“ - იგონებს პეტრე მეუნარგია.

მან ითავა წიგნადი ფონდის შექმნა ბიბლიოთეკისთვის, ჯერ კიდევ 1899 წელს ქალაქ ზუგდიდში ჩამოაყალიბა სცენის მოყვარულთა წრე და იმავე წელს დადგა პირველი წარმოდგენა-გიორგი ერისთავის „გაყრა“ კინტირია ლუკავას სადურგლო ფარდულში, რომლის ინიციატორი, როლის შემსრულებელი, დეკორატორი, გრიმიორი და რეჟისორი თვითონ იყო. წარმოდგენას უამრავი მაყურებელი დაესწრო, შემთხული თანხა მოახმარა ზუგდიდის სამკითხველოს. მისი თაოსნობით ბიბლიოთეკის ასაგებად შეგროვდა 1200 მანეთი, ამ თანხით აიგო სამოთახიანი სახლი, შეგროვდა 1500 - მდე წიგნი. მრავალწლიანი დვაწლის შემდეგ მიაღწია მიზანს, შეა ბულვარის ცენტრში გაშენებულ იქნა აგურის კაპიტალური შენობა აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა - სამკითხველოსათვის. ეს მდგრმარეობა დაუკავშირა აკაკის მოდვაწეობის საიუბილეო დღეს. ბიბლიოთეკის კურთხევა და საზეიმო იუბილე მომზადდა და დაინიშნა 1912 წ. 19 მაისისთვის, მისივე ინიციატივით ბიბლიოთეკას უნდა დარქმეოდა აკაკი წერეთლის სახელი. „პირველი მისასალმებელი სიტყვა ზუგდიდის მოწინავე ინტელიგენციის სახელით წარმოქვა ნიკოლოზ (კოლია) საბას ძე ბუკიამ, შემდეგ, კალისტრატე კობახიძემ, ვანო ოსიძემ და სხვ“. - იგონებს პეტრე პავლეს ძე მეუნარგია (ლეილა მაია დარჩიას წერილი პეტრე პავლეს ძე მეუნარგიას ხელნაწერი წერილი №25860-ის შესახებ, რომელიც დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდში).

1935 წლის ნოემბრიდან მუშაობდა ქალაქ ზუგდიდის პირველი რუსული საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც მუშაობდა 1938 წლამდე. პეტრი მუშაობის 48 წლის ერთი თვისა და 23 დღის სტაჟი.

1925 წელს ნიკოლოზ ბუკია იყო სრულიად საქართველოს მასწავლებელთა

პირველი ყრილობის დელეგატი.

1949 წლის 2 მარტს განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

გარდაიცვალა 1959 წელს.

აბესალომ ტუდუში წერს მასზე თავის ერთ-ერთ წერილში: „XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ზუგდიდის კულტურული ცხოვრების ერთ - ერთი ბურჯი იყო ფრიად განათლებული და დაუდევარი მოღვაწე ნიკოლოზ ბუკია“ (აბესალომ ტუდუში - დაუდევარი ზუგდიდელი - ნიკოლოზ ბუკია. უერნალი „დისკუსია“, 2007. №5. გვ.24. რუბრიკა - „ზუგდიდის მამშვენები“)

ნიკოლოზ ბუკია წერდა ლექსებს, მისმა შთამომავლობამ შემოინახა და ქალაქ ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადასცა ლექსების კრებული და მის მიერვე შედგენილი საკუთარი ბიოგრაფიის ხელნაწერები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კოლექციაში მისამართზე - <http://www.ds-space.nplg.gov.ge> (მასალების მოძიებაში დახმარებისთვის მადლობას ვუხდით შვილიშვილებს გიორგი და სანდრო ბუკიებს).

ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა გეგმავს ბეჭდურად გამოსცემს ნიკოლოზ ბუკიას ლექსთა კრებული და ამით ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მისი შემოქმედება, გააცნოს ნიკოლოზ ბუკია საზოგადოებას. არის აზრი, რომ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას მიენიჭოს ბიბლიოთეკის დაფუძნების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზაციონის ნიკოლოზ ბუკიას სახელი. ჩვენი მიზანია, ისტორიის სიბეჭდეს წავართვათ მივიწყებულ ადამიანთა სახეები, ეს იქნება მაგალითი ახალგაზრდებისათვის, თუ როგორ შეიძლება დაუფასოს უანგარო დვაწლი საზოგადოებამ საქვეყნო საქმისთვის თავდადებულ ადამიანებს.

ბიბლიოგრაფიული ცენტრი

საყურადღებო საბიბლიოთეკო ცენტრის ეული მოვლენები

ეროვნულ ბიბლიოთეკაში
კონსტანტინე გამსახურდიას
სახელობის კაბინეტი გაიხსნა

15 მაისს, კონსტანტინე გამსახურდიას და-
ბადების დღეს, საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსში
კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის
სამუშაო კაბინეტი გაიხსნა.



კაბინეტი გამოფენილია მწერლის ნაქო-
ნი ლეგენდარული სავარძელი, ეროვნული
ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული მწერ-
ლის ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა, მათ
შორის - უცხოენოვანი გამოცემები. ასევე
წარმოდგენილია ეროვნული ბიბლიოთეკის
ფოტოარქივში დაცული მწერლის უნიკალუ-
რი ფოტოები.

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის
სამუშაო კაბინეტი ხელმისაწვდომია მკითხ-
ველებისთვის და ნებისმიერი დაინტერესე-
ბული პირისთვის.

რიჩარდ ალექსი ჯორჯიანის საჯარო ლექცია

19 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონ-
ფერენციო დარბაზში გაიმართა რიჩარდ
ალექსი ჯორჯიანის (ალექსი გოგონიას
შვილიშვილი) საჯარო ლექცია თავისი წიგ-
ნის „ქართველ მხედართა მატიანე“ შესახებ.

ლექციაზე რიჩარდ ალექსი ჯორჯიანმა
მოგვითხოვ ამერიკაში უკეთესი და უხრუნ-
ველი ცხოვრების დაპირებებით მოხიბლულ
ქართველ მხედართა თავგადასავლების, რო-
მანტიკული და ტრაგიკული ისტორიების
შესახებ. მან გაგვაცნო ამერიკის შეერთე-
ბულ შტატებში, ინგლისა და საქართველო-
ში ჩატარებული თექვსმეტწლიანი კვლევის

მასალები. შეგვახედა Wild West Shows და
საცირკო სანახაობის ფარდის მიღმა. აღ-
მოგვაჩენინა, თუ როგორ დაიპყრო ამერიკე-
ლი კოვბოების წარმოსახვა ქართველ მხე-
დართა ვირტუზულმა ჯირითმა.

„ბიბლიოთეკის საუკეთესო მკითხველი“ აკურის სკოლიდან

27 მაისს სოფელ ვარდისუბნის ბიბლიო-
თეკის საქართველოს პარლამენტის ეროვ-
ნულმა ბიბლიოთეკამ თელავის საკრებუ-
ლოსთან ერთად ინტელექტუალური თამაში
„ბიბლიოთეკის საუკეთესო მკითხველი“
გამართა. თამაშში თელავის რაიონის ოც-
დაერთი საჯარო სკოლა იღებდა მონაწილეობას.

ფინალურ ეტაპზე სამი გამარჯვებული
გუნდი გამოვლინდა. ინტელექტუალურ თა-
მაშში სოფელ აკურის სკოლის გუნდმა
გაიმარჯვა. ეროვნული ბიბლიოთეკის გენე-
რალური დირექტორის მოადგილემ მირიან
ხესიერაშვილმა სოფელ აკურის სკოლის გა-
მარჯვებულ გუნდს „აი პადი“ გადასცა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-
ლიოთეკა მომავალში სხვა რეგიონებშიც გმბ-
ჰავს ინტელექტუალური თამაშის „ბიბლიოთეკ-
ის საუკეთესო მკითხველი“ ჩატარებას.



ვასწავლოთ ბავშვებს ქადაგმოქმედება

ტრადიციულად, ბავშვთა დაცვის საერთაშ-
ორისო დღეს საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა „მზის ფესტივალს“
შეუერთდა.

წელს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა, ლაგოდების რაიონის სოფელ ბაისუბნის მცირე საოჯახო ტიპის სახლს წიგნადი ფონდით დაეხმაროს. ბავშვთა სახლში 50-მდე ბავშვი ცხოვრობს, რომელთაც მცირე ბიბლიოთეკა აქვთ.

„მზიურის პარტში“ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სოფელ ბაისუბნის საოჯახო ტიპის სახლისთვის წიგნები შეაგროვა. აქციაში მონაწილეობა მიიღეს 7-დან 16 წლამდე მოსწავლეებმა.

აქციაში მონაწილეობა ფოტოები სოციალურ ქსელში ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდზე განთავსდა. იმედი გვაქვს, რომ ეს აქცია მათი სხვა თანატოლებისთვისაც სამაგალითო გახდება.

შრიფტების კონკურს „ქართული „ა“-ს დაჯილდოების ცერემონია

9 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში „თი ბი სი ბანკის“ პროექტის „წერე ქართულად“ ფარგლებში გამართულ შრიფტების კონკურსის „ქართული



„ა“-ს დაჯილდოების ცერემონია ჩატარდა.

ღონისძიებაზე ქართული ანბანის პირველი ასო „ა“-ს საუკეთესო დიზაინის ავტორები გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ მადლობა გადაუხადა დონის მიერ საუკეთესო აღნიშვნის მიზნის სახის წიგნებში მოგზაურის ფიქრების” პრეზენტაცია გაიმართა.

ფოტოალბომის „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“ პრეზენტაცია

22 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ფოტოალბომის „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“ პრეზენტაცია გაიმართა.

ალბომში შესულია ექსკლუზიური მასალა მდიდარი საოჯახო არქივიდან, რომელიც მოიცავს 6 თაობის ფოტოებს, წერილებს, და ბარათებს, მოსაწვევებსა და სხვა. მათ უმრავლესობას პირველად გაეცნობა დაინტერესებული მკიონხელი.

პროექტის ავტორია დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი თამარ მიქაძე. შემდგენლები თამარ მიქაძე, სოფიო ისაკაძე, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე.

გიორგი კილაძის წიგნის პრეზენტაცია

22 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის ეზოში მდებარე მარო მაყაშვილის ბადში ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის გიორგი კილაძის წიგნის „სხვის წიგნებში მოგზაურის ფიქრების“ პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიება გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. სიტყვით გამოვიდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, პოეტი იგა ქადაგიძე და სხვები. მათ გიორგი კილაძის ამ წიგნზე და მისი იდეითა და ხელმძღვანელობით განხორციელებულ არაერთ წარმატებულ პროექტზე ისაუბრეს.



იუბილე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაარსებიდან 75 წლისთავის საიუბილეო

აქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდში დაარსდა - 1941 წელს, ბეჭედის დაიწყო დიდი სამამულო ომი. მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკამ შეძლო, წარმატებით გაერთმია თავი მრავალი სიძნელისათვის და საბოლოოდ ერთერთ ყველაზე მასშტაბურ თრგანიზაციად ქცეულიყო. თუ პირველ ხანებში მას აუწერებდ სივიწროვესა და მძიმე ტექნიკურ პირობებში უხდებოდა საქმიანობა, 1967 წლიდან მისოვის სპეციალურად აგებულ სხვადასხვა დარგობრივ დარბაზებიან შენობაში გადავიდა, რამაც ხელი შეუწყო მისი მოღვაწობის დინამიკის ზრდას ყოველი მიმართულებით. მართლია, სხვადასხვა სტატუსით, მაგრამ დღემდე განაგრძობს მემკვიდრეობით მი-

დებულ ტრადიციებს და კიდევ უფრო ავითარებს მათ თავისი ფონდით, რომელიც 2 მილიონს საგრძნობლად აჭარ-ბებს, უანგაროდ ემსახურება მომხმარე-ბებს და ხემიწასვდომს ხდის ყველა რესურსს, რომელიც გააჩნია.

კავშირი ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ბიბლიოგებობან, წიგნცვლა, ფონდების შევსება უახლესი ლიტერატურით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კადრების გეგმიური შევსება, ქართველოლოგიური მასალის შეგროვება სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკებიდან, რარიტეტული ფონდების დაცვა - ყოველთვის იყო და არის ამ ბიბლიოთეკის პრიორიტეტი.

ვუსურვებთ მას თავისი მოღვაწეობის პეიოდში ახალ-ახალ წარმატებებს!





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - 170



